

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი
საშუალო, პროფბაქნოვური და უმაღლესი სკოლების კომისია
გაგლთა დაცვის სამმართველო



დ. ბერკენიშვილი, ი. ბანკელაძე,
მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია

ლ ე რ ს უ მ ი

განს. სუკვებოვძე
ბ. ჭყიტიანი
25. IV. 84



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1983




ნარკვევი ეხება საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ პროვინციას — ლეჩხუმს. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის ფონზე დახასიათებულია ლეჩხუმის უმოაერესი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია ამ კუთხის როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში.

წარმოდგენილი ძეგლების უმეტესობა ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო მკითხველთა ფართო წარსათვის შესაძლოა საერთოდ უცნობიც იყოს.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიითა და კულტურის ძეგლებით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

K 190233

რედაქტორი — რ. მეფისაშვილი



„ვინც იხილავს ლენხუმის მშვე-
ნებას: სარეწველასა და ორპირის
კლდეკარებს, ლაჯანურის ხეობას,
მურის, ორბელის, კვენოს ციხეებს—
ის პოეზიის ერთგული დარაჯი იქ-
ნება მუღამ!“

ლ ა ღ ო ა ს ა თ ი ა ნ ი

ლენხუმი, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, ცხე-
ნისწყლისა და რიონის შუა წელზე მდებარეობს. თანამედროვე
ადმინისტრაციული დანაწილებით, მისი სოფლების უმრავლესობა
ცაგერის რაიონშია, სამხრეთის და აღმოსავლეთის განაპირა სოფ-
ლები კი შესულია წულუკიძის, წყალტუბოსა და ამბროლაურის
რაიონებში.

ლენხუმის აღმოსავლეთი საზღვარი ტრადიციულად ასკის-
წყალზე (რიონის მარჯვენა შენაკადი) იდო. ჩრდილოეთით სვანე-
თისაგან მას ე.წ. „ლენხუმის ქედი“ ჰყოფდა; დასავლეთიდან ას-
ნისა და უნაგირას მთები ესაზღვრებოდა (ოდიშის ქედი); სამხრე-
თით ცხენისწყალზე ლენხუმი გორდამდე ვრცელდებოდა, რიონზე —
მის მარცხენა შენაკად ლეხიდრის ხევამდე, მათ შორის კი სა-
საზღვრო ხაზი ხვამლის მთიდან დასავლეთით გამავალ ქედს მის-
დევდა (იხ. სქემა).

ისტორიულად ეს მხარე იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში
ითვლებოდა, რაჭით, სვანეთით, ოდიშითა და ოკრიბით გარშე-
მორტყმული. ამ მეზობლობას ლენხუმზე ღრმა კვალი დაუტოვებია
და იყო პერიოდები, როცა ადმინისტრაციულად იგი ჯერ რაჭასთან,
შემდეგ კი ოდიშთან იყო დაკავშირებული.

XVIII ს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბა-
ტონიშვილის სიტყვით, „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჯეობა
ლენხუმისა“, აქ იგი ცხენისწყალსა და მის შენაკადებს გულის-
ხმობს; შემდეგ განაგრძობს: „ხოლო ამის აღმოსავლით მთას იქით,
არს ჯეობა სხვა ლენხუმისა, რომლის წყალი გამოსდის მასვე კავ-
კასის მთასა და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი და მიერ-
თვის ... რიონს ჩრდილოდამ“ [1, 18]. ამ შემთხვევაში ავტორი.

ლაჯანურაზე საუბრობს და, როგორც ვხედავთ, იგი ლეჩხუმს ორ ნაწილად ჰყოფს.

საქართველო
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

ბოლო ხანებამდე შემორჩენილი ტრადიციის მიხედვითაც, ეს კუთხე ორად იყოფოდა: 1. ზ ე მ ო ლ ე ჩ ხ უ მ ი, რომელიც აერთიანებდა ცხენისწყლის ხეობის სოფლებს გორდიდან მურის კლდეკარამდე, ლაჯანურის ხევისა და რიონის ნაწილის სოფლებს



- | ქ ი რ ო ბ ი თ ი | | ა ლ ნ ი მ ა ნ ა ბ ი | |
|-----------------|----------------------|---------------------|--------------------------------|
| ● | მასშტაბიანი ქვეყნები | □ | სოფ. სეპარატული ქვეყნის ზღვები |
| □ | სოფ. | ■ | აქავე უმუშაოები |
| △ | ქვეყნები | ▲ | ტანსაცემის უმუშაოების |
| ○ | მონეტარული | □ | ტანსაცემის უმუშაოების |
| □ | ქოხი | △ | ქ. ს. სეპარატი |
| □ | სასადა | | |
| △ | ბაშტაქი | | |

ლეჩხუმის უმაღლესი ხეობის ტერიტორიული და ადმინისტრაციული დაყოფის სქემა

ასკის წყლიდან ლახეფას ჩათვლით; 2. ჰ ე ე მ ო ლ ე ჩ ხ უ მ ი, ანუ კ ლ დ ე დ ა ლ მ ა რ თ ი — რიონის ხეობის სოფლები ტვიშიდან ლეჩხუმის შესართავამდე [2,85].

დასავლეთ კავკასიონზე მდებარე ლეჩხუმი თავისი რელიეფით მთაგორიანი მხარეა. განსაკუთრებით მაღალია ჩრდილოეთით მდებარე მთები. ლაჯანურის უმაღლესი მწვერვალების აბსოლუტური სიმაღლე 2600 — 2700 მ სჭარბობს.

ცხენისწყლის ლეჩხუმში მოქცეული მონაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ცაგერის ქვაბულს. იგი მურიდან სარეწკელას კლდეკარამდე გრძელდება. სარეწკელას ქვევით ცხენის-

წყლის ხეობა ისევ ფართოვდება, წარმოშობს რა ზუბის ქვაბულს. ეს უკანასკნელი ლეჩხუმის მხრიდან ასნის საძოვრებისაკენ ერთ მისადგომს წარმოადგენს.

მდ. ლაჯანურასთვის სახელწოდება სოფ. ლაჯანას მიუცია. ეს მდინარე რიონის ერთ-ერთი უდიდესი მარჯვენა შენაკადია. იგი სათავეს იღებს მთა თეთნარსა და ლელააშხას შორის და რიონს უერთდება სოფ. ალბანასთან.

ლაჯანურის აუზი 2000—2100 მ სიმაღლემდე ფოთლოვანი ტყით არის შემოსილი (წიფელა, მუხა, რცხილა, წაბლი). წიწვია-ნი ხეების არარსებობა ამ აუზის თავისებურებას წარმოადგენს. ლაჯანურისაგან განსხვავებით, რიონის მარჯვენა შენაკად ასკისწყლის აუზში შერეული ტყეების მნიშვნელოვანი მასივებია (სოჭი, ნაძვი, წიფელი).

რიონის საკმაოდ ფართო ხეობა სოფ. ალბანასთან ვიწროვდება; მის ქვევით იგი თითქოს კლდის ნაპრაღში მიედინება, ტვიშის კლდეკარიდან კი ხვამლის მასივსა და რაჭის ქედის დასაგლეთ ბოლოს შორის მიექანება. სწორედ ამ გარემოს მანასიათებლად გაისმის სახელი „კლდედაღმართი“.

ხვამლის მთა ლეჩხუმის ერთ-ერთი საოცრებაა. ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს შორის გაწოლილი ვეება კირქვიანი მასივი ნაქერალას ქედის გაგრძელებას წარმოადგენს დასავლეთისაკენ. ზღვის დონიდან 2002 მ აზიდული, იგი სამხრეთით ქარაფოვანია, ჩრდილოეთისაკენ — დამრეცი ფერდით. კირქვიანი რელიეფის ამგვარ ფორმებს შორის, ხვამლის სამხრეთი ქარაფი უდიდესია საქართველოში: მისი შვეული ნაწილის სიმაღლე რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს. ხვამლის თხემის პლატო სამხრეთისაკენ წინ არის გაწეული, როგორც ზღვაში შეჭრილი კლდოვანი კონცხი.

ხვამლის მასივზე, ზღვის დონიდან 1710 მ სიმაღლეზე, მდებარეობს ბოგას საყინულე, რომელშიც მუდმივად ყინულის დიდი რაოდენობაა. ქარაფზე რამდენიმე ადგილას მოჩანს გამოქვაბულები. 1938 წ. იქ ცნობილი ქართველი ალბინისტი ალ. ჯაფარიძე ავიდა. ხვამლის შვეული კლდე, ჩანს დროდადრო ინგრავოდა, რადგან მის ძირში კირქვის ლოდების ვეება ვროვებია. მასივის უმეტესობა ტყიანია (შერეული), არის ფოთლოვანი ბუჩქნარიც.

შუა ლეჩხუმის სერა მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებს, იგი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ხვამლის მასივს ლეჩხუმის ქედთან აკავ-

შირებს. მისი შეფარდებითი სიმაღლე 300—500 მეტრია, ხოლო კალთები ინტენსიურად იმეწყრება.

საერთოდ, მეწყერები ლენჩუშში ტექტონიკურ მოვლენებთანაა დაკავშირებული. მძლავრი მეწყერებია შენიშნული ლაილაშთან, ცაგერთან, საირმესთან, ლუნჯანოსთან ... საირმის კლდეები, მაგალითად, ასე რომ წააგვიანან ნანგრევებს, კირქვის უზარმაზარი ბლოკების ჩამოცურებით წარმოქმნილა. ხალხური გადმოცემით აქ ყოფილა ქალაქი, რომელიც უხსოვარ დროს ჩაქცეულა. ერთგან, კლდის ნაპრალიდან ამოდის კვამლი, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია ზამთარში.

კირქვის ბლოკების დაცურებით წარმოქმნილა ლაილაშის პლატოც და ცაგერთან ამართული ზორცივი, რომელზედაც გვესოს ციხე დგას. ზღვის დონიდან 500—800 მ სიმაღლეზე, ცაგერსა და ლაილაშში ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი 1100—1200 მმ-ია, საშუალო წლიური ტემპერატურა ლენჩუშის შედარებით დაბალ, მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში 12 და 8° ფარგლებში მერყეობს; სექტემბერი აქ შესანიშნავი თვეა.

ლენჩუში და მისი მოსაზღვრე რაჭა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მოსაზრებებით, ერთობლივ რაიონადაა მიღებული. ქართულ ხალხურ მეტყველებაში ანლაც ერთად გამოითქმის „რაჭა-ლენჩუში“. ფიქრობენ, რომ ამის საფუძველი არა მარტო ტერიტორიული მეზობლობაა, არამედ მათი თროგრაფიული ურთიერთკავშირი, ბუნებრივი და სამეურნეო მსგავსება [3,58—77].

* * *

„თუმცა არს ლენჩუში მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, სილიანი, მოვალს ეოველნი მარცვალნი თნიერ ბრინჯ-ბამბისა...“

ვახუშტი ბატონი

ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებანი ლენჩუშში ბარული ტიპის მეურნეობას ქმნიდა, განვითარებული მეღვინე-მევენახეობით, მემინდვრეობით, მესაქონლეობით.

ცაგერის საყდრის გამოსავლის დაეთარში, რომელიც XVII ს-ის ბოლოს ეკუთვნის, ჩამოთვლილია გლეხებზე შეწერილი გადასახა-

დები, რომლებშიც კარგად ჩანს ლენხუმელი გლეხის მაშინდელი მეურნეობის დარგები; იქ იხსენიება ღვინო, პური, ღომი, ცერცვი, ძროხა, ცხვარი, ტახი, ბატი, ქათამი, თევზი, სანთელი [5]; XVII—XVIII ს-ის საბუთებში ჩანს ზღვრები და სათიბი, ქერი და სიმინდი, ცხენები, ხარ-ძროხა და თხა; მეფუტკრეობის განვითარებაზე მეტყველებს ხშირად ნახსენები თაფლი და სანთელი [6, 29—32, 44].

ღვინოს ლენხუმში იმდენს ამზადებდნენ, რომ მას აღრევეჭარბად ჰყიდდნენ. XV ს-ის მიწურულის ერთ საბუთში საუბარია აქ ნაყიდ 400 საპალნე ღვინოზე, რომელიც სვანებს წაუღიათ [8, 31].

XIX ს-ში ცნობილი იყო ორბელისა და ჩხუტელის, ჭყვიშის, უსახელოსი და ოყურეშის, ალბანა-ზოგვიშისა, ტვიშის, ორხვისა და დერჩის ვენახები. ყურძნის მრავალგვარ ჯიშებში, რომლებსაც აქ ახარებდნენ, გამოირჩეოდა ადგილობრივი რამდენიმე ჯიშიც: ოყურეშული, საირმულა და ორხულა. შესაძლოა აქაურ სოფელთა სახელები ჰქონდეს ყურძნის ჯიშებს — უსახელაურს, მურს [9, 446, 501].

ყურძენი და ღვინო ლენხუმში ახლაც ბევრია და საუკეთესო ხარისხის. ორბელი, ოყურეში, უსახელო, ტვიში თუ დერჩი ღვინის ძირითადი მწარმოებლები არიან.

ხორბალს ლენხუმში ახლა აღარ თესავენ, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში კი აქ ჯერ კიდევ იყო იფქლის, ზანდურის, მახას ყანები. ეს უკანასკნელი ველურიდან კულტურულ პურეულში გარდამავალი ჯიშია. საინტერესოა, რომ ლენხუმში დადასტურებულია ზანდურისა და მახას „საკრეფავი“ იარაღი — შნაკვი, რომლითაც ნამკლისაგან განსხვავებით, მხოლოდ თავთავის მოგროვება ხდებოდა. ზანდური და მახა რაჭა-ლენხუმისათვის ენდემური მარცვლეულია; მათთან ერთად შნაკვის თანაარსებობა კი აშკარად მიუთითებს, რომ „მსოფლიოში პურეული მცენარეების აკულტურაციის ერთ-ერთ წრეში ლენხუმ-რაჭაც შედის“ [10, 264].

XIX ს-სა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ლენხუმში უმთავრესად მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ღომი, ფეტვი, ლობიო, ცერცვი, მუხუნო, ოსპი, კარტოფილი. მარცვლეულის ნათესების უმეტესობა ცხენისწყლის დაბლობზე, ცაგერსა და სარეწკელას შორის იყო. მემინდვრეობისა და მებოსტნეობის ხარჯზე ახლა ძალიან იმატა მეხილეობამ, რომელსაც უკვე საბაზრო მნიშვნელობაც აქვს; ხილი აქ საღი იცის და ძალზე გემრიელი.

ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, ლენხუმში აქლემისა და ვირის გარდა ყოფილა ყოველგვარი პირუტყვი, ოღონდ არცთუ

მრავალი. მესაქონლეობას, ჩანს, იმთავითვე მეურნეობის დამხმარე როლი ჰქონია. ეტყობა ამაზე გავლენა იქონია საძოვრების ნაკლებობამ და ტყეების სიხშირემ. სამაგიეროდ ეს უკანასკნელი სანადიროდ იყო ხელსაყრელი და მოსახლეობაც მესაქონლეობის პროდუქტს ნანადირევით იყებდა. ლენჩუმის ზოგიერთი ტომონიმი აქაურ მესაქონლეობას ეხმაურება; ასეთებია მაგალითად ლაილაში, რაც. სვანურად საცხერეს ნიშნავს, ლეკურა — ძროხის საძოვარს, ლახამეილაში — „საღორიას“, ოკრიბა — საბატკნეა ზანურად და სხვა [12, 67—77].

ნიშანდობლივია ამ მხრივ ლაბეჭინაში დამოწმებული ბურვაკის მსხვერპლად მიტანის ჩვეულება. ეს მოვლენა ღორის კულტს უკავშირდება, რომელიც ქართველი ტომების უძველესი სარწმუნოების კომპლექსში შედიოდა [10, 266]. ღორის დაკვლა შესაწირად ახლაც წესია კახეთში, ნეკრესის უძველეს ტაძართან.

ლენჩუმელთა რაციონში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თევზს, განსაკუთრებით ძველად, როცა მარხვას ინახავდნენ. თევზი, აქმთის მდინარეებში ყოველთვის ბევრი იყო. ზოგი მკვლევარი იმასაც კი ვარაუდობს, რომ თვით ქვეყანამაც სახელწოდება მიიღო მეგრული სიტყვისაგან ჩხომი (თევზი) ... XVII—XVIII ს-ის აქაურ საბუთებში ეკლესიის სასარგებლოდ გათვალისწინებულ გადასახადებში, თითქმის ყველა გლენზე შეწერილია თევზი. ამას გარდა, აქ ჩანან შერჩეული მეთევზე გლენები, რომელთაც სხვა არაფერი ევალებათ გარდა ეკლესიის სასარგებლოდ კალმანის ჭერისა ბაბუშერის ტბასა თუ ასკის წყალში.

ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეებიდან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხისა და ქვის საშენ მასალას, საჭურჭლე თიხას. საშენი ხე იყო ხვამლის, ზოგიშის, ქულბაქის ძველ ტყეებში და ლენჩუმელებიც ცნობილი ხის ოსტატები იყვნენ. ზოგჯერ მასალად იყენებდნენ ვაზსაც, მაგალითად კარისათვის.

ცხენისწყალზე საუბრისას, რომელიც ლენჩუმის აღწერას უძღვის წინ, ვახუშტი გვაწვდის კიდევ ერთ საინტერესო ცნობას ვაზის გამოყენების შესახებ: „არამედ წყალი ესე ვინადგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე საგელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქვეითნი მას ზედა“ [1, 147].

მეტურჭლეობით განთქმული იყო საირმე, რომლის არემარეზე — უთილაშში, კახურაშსა და არმოდიაში საუკეთესო ხარისხის თიხა მოიპოვებოდა. აქ ამზადებდნენ ყოველგვარ ჭურჭელს,

რომლის შესაძენად მოდიოდნენ რაჭა-ლეჩხუმიდან, ქვემო სვანეთიდან.

საირმის უდაბნოში იჭრებოდა ე.წ. ბაღდადის ქვა, თეთრი ფერისა, ადვილად საჭრელი, კარგი საშენი მასალა. ამიტომაც აქაური კალატოზები ფართოდ იყენენ ცნობილნი. საერთოდ კი ქვით ხუროთბის ძველი, მშვენიერი ნიმუშები ახლაც არაერთია ლეჩხუმში, რაც ამ საქმის ტრადიციულობას ადასტურებს. კირის ფართოდ გამოყენების მოწმობა ტომონიმიასაც შემორჩენია: ნასაკირები ადგილის სახელად გჩხვდება ლუხვანოში, ლეშკაშში, ორხეში, ალბანასა, ლახეფაში და სხვაგან ...

* * *

მოსახლეობა ლეჩხუმში უძველესი დროიდანვე გაჩენილა, რასაც მოწმობს ნეოლითური ხანის კაჟის იარაღების აღმოჩენა რიონ-ლენხიდარის შესაყარსა და სოფ. ზედა ტეიშთან [13].

შემდგომი, განუწყვეტელი ცხოვრების მანქნებელი ფაქტები ამ მხარეში ბევრგანაა დადასტურებული შემთხვევითი მონაპოვრებით, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებითა თუ დაზვერვებით. მათ შორის საინტერესოა შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები, გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ცხენოსნის ქანდაკება სოფ. ცაგერადან, ამავე ეპოქის თოხები, რომლებიც ქვიშარსა და ცაგერშია ნაპოვნი, აქვეა ნამგალიც.

არქეოლოგიურად გათხრილი და შესწავლილია ნამოსახლარი სოფ. მცხეთასთან, რომელიც ძვ.წ. VIII-V სს. ვანეკუთვნება. აქ აღმოჩენილი კერამიკა, ძვლის ანკესი, ნამგლის ჩასართავეები კაჟისა, ისევე როგორც ადრე ნაპოვნი ბრინჯაოს თოხები და ცულები, აშკარად მიუთითებენ იმდროინდელი ლეჩხუმელების მეურნეობაზე [14]. ჩანს, იგი მაშინაც დაახლოებით ისეთივე ყოფილა როგორც შემდეგ: ტყიან-ნადირიანი გარემო, თევზით სავსე მდინარეები, მიწათმოქმედება და მემინდვრობა, მესაქონლეობა ...

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბრინჯაოს ნივთებთან ერთად აქ ლითონის ზოდებიც მოიპოვება; ეს კი მიუთითებს სპილენძის მადნის ადგილობრივ არსებობასა და წარმოებაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. მაშინ ამგვარ უბირატესობას უნდა გამოეწვია აქაური ტომების დაწინაურება სანეურნეო თუ სამხედრო საქმიანობაში.

ლენჩუმში მოსახლე უძველესი ტომების შესახებ მეცნიერები წერილობითი წყაროების, უფრო მეტად კი, ტოპონიმის მიხედვით მსჯელობენ.

აქაურ სახელთა უმრავლესობა სვანური წარმოშობისაა, შედარებით მცირეა ზანური წარმომავლობის სახელები; სახელწოდება „ლენჩუმი“, ზოგიერთის მოსაზრებით, წარმომდგარია მეგრული ჩხუმი-საგან (თევზი), ზოგი კი მას სვანურ ცხუმ-ს (რცხილა) უკავშირებს; პოულობენ კავშირს ამ ცხუმ-სა და ჩქუმ-ს შორის, ეს უკანასკნელი კი სოფელია ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადზე.

როგორც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ აქელან წარმოდგება ბიზანტიელი მწერლების მიერ ლენჩუმის აღსანიშნავად ხმარებული ტერმინი სკვიმნია.

გეოგრაფიულ სახელთა ანალიზის შედეგად მიღებულია აზრი, რომ სვანური, მეგრული, შემდეგ რაჭული და იმერული ტომების აქ საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა დღევანდელი ლენჩუმის მოსახლეობა [16]. ცხადია, იგი დროდადრო ივსებოდა მეზობელი მხარეებიდან ვადმოსახლებული ოჯახებით; ამიტომაცაა, რომ ახლა სვანურ, მეგრულ გვარებთან ერთად ბევრია იმერული და რაჭული გვარებიც, არის უფრო შორეული წარმომავლობისაც.

უზებიან რა საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს, ქართული ისტორიული წყაროები დასავლეთ საქართველოში იხსენიებენ არგვეთს, ეგრისსა და სვანეთს; ლენჩუმს არ ასახელებენ. ქართველი მემატიანის ჯუანშერის ცნობით, V ს-ში ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველოში ჰყოლია „სამნადირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთავი მარგესა და თაკურისა“ [17, 185]. სვანეთში აქ ლენჩუმი და მთიანი რაჭა იგულისხმება, რომლის ქვემო ნაწილი თაკვერშია სავარაუდო.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ლენჩუმს სკვიმნიის სახელით მოიხსენიებს; მისი სიტყვით, სკვიმნია და სვანია მეზობელი ტომებია, რომელთაც საკუთარი მთაგრეხი ჰყოლიათ. იქვე ავტორი ასახელებს ლაზეთის ძლიერ ციხე უქიმერიონს; იგი თურმე სკვიმნია-სვანეთისაკენ მიმავალ გზას ჰკეტავდა [18, 202].

დაახლოებით იმავე ხანებში დასავლეთ საქართველოს მთიელ ტომებში სომხური გეოგრაფია ერთმანეთის მეზობლად იხსენიებს სკვიმნებისა და თაკვერლების ტომებს, რომლებიც დასახლებულია მარგველებსა და ალან-დიგორელთა შორის [19, 102].


შემოთ განხილული ცნობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიური და სომხური წყაროების სკვიმნები ლენხუმელები არიან და, პირველ ყოვლისა, ალბათ, ცხენისწყლის ხეობელები. ამის საფუძველს იძლევა უქიშერიონის ციხის მდებარეობის გათვალისწინება: იგი ლენხუმ-სევანეთში ქუთაისიდან მიმავალი გზის ჩამკეტი იყო; ეს გზა ცხენისწყლის ხეობაზე უნდა ყოფილიყო (იხ. ქვევით). ამავე ხეობის სოფელია ჩქუმი, რომელიც შესაძლოა მართლაც კავშირში იყოს სკვიმნიასთან და ამდენად მისი მალოკალიზებელიც გამოდგეს.

VIII ს-ის ამბების გადმოცემისას, ჯუანშერი დასავლეთ საქართველოში ჩამოთვლის ეგრისის, სვანეთის, თაკვერის, არგვეთისა და გურიის ადმინისტრაციულ ერთეულებს [17,241]. მაშასადამე, თაკვერი არგვეთს ჩამოშორებია, რომელთანაც V ს-ში ერთ საერისთავოს შეადგენდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლეონ აფხაზთა მეფის რეფორმების შედეგად, VIII ს-ის ბოლოს დასავლეთ საქართველოს საერისთავოთა შორის, რაჭა-ლენხუმი ერთიან საერისთავოდ ჩამოყალიბდა [7, 796]. მისივე აზრით, თაკვერი ჯერ რაჭის, შემდეგ ლენხუმის ძველი სახელწოდება იყო; გამოდის, რომ ჯუანშერის მიერ VIII ს-ში თაკვერად წოდებული ქვეყანა, ვახუშტის გვიანი ტერმინოლოგიით, რაჭა-ლენხუმის საერისთავო ყოფილა.

არქიტექტურული ძეგლებით საერთოდ მდიდარ ლენხუმში უძველესი ეკლესიები ნაკლებად შემორჩენილა. სამაგიეროდ მეტია ციხეები და კოშკები, რომელთა სიჭარბე ამ კუთხის თავისებურებაა და გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის ისტორიული სხედრით უნდა აიხსნას.


კლიმატური პირობების გამო მცენარეული საფარი აქ ადვილად აუჩინარებს ძველ ნანგრევებს; მიუხედავად ამისა, წინაპართა სალოცავების ადგილმდებარეობა მოსახლეობას ტრადიციულად ახსოვს; ქედზე შერჩენილი ტყის ქოჩორიც მათზე მიუთითებს, რადგან ხატის ირგვლივ ტყის გაკაფვას ყოველთვის ერიდებოდნენ. სოფლებში ხშირად შეხვდებით სალოცავად აჩემებულ ასწლოვან მუხას ან რცხილას. ახლა თუ აღარავის ახსოვს, უნდა ვიგულისხმოთ აქაც ეკლესიის ოდესღაც არსებობა.



სურ. 1. გვესოს კომპლექსი. გველა.



ՀԱՄԱԵՆԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿՆԵՐ



ადრეული ხანის ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვესოს კომპლექსს, ვინაიდან იგი ლენჩხუმის უძველეს საკულტო ნაგებობას შეიცავს. ეს კომპლექსი სოფლის განაპირას, პლატოზე მდებარეობს. იგი აგებულია კლდოვან შემადგენლობაზე, რომელიც ხელოვნურადაა შემოსწორებული და შემაგრებული გალანის კედლით; ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში კარიბჭისა და სამეურნეო ნაგებობის ნაშთია. სამხრეთით, ხეობისკენ ოთხკუთხა კოშკი, ხოლო შუაში ოღესღაც მშვენიერი, დღეს ნანგრევებად ქცეული ტაძარი დგას.

მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა ჩანს, რომ ეკლესია რთული აგებულების მქონე, ეგრეთწოდებულ სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენდა. შედარებით უკეთ გადარჩენილი აღმოსავლეთის კედელი ნახევარი სიმაღლით დგას, შუაში განგრეულია. ნაგებობის დასავლეთის ნაწილი და სამხრეთის ეკლესია მიწის პირასაა გასწორებული. არც კარ-სარკმლებია დაცული. ნაწილობრივ არის შემორჩენილი შუა ეკლესიის ჩრდილოეთის კედელი და გვერდითი ეკლესიის გადამხურაჲი კამარა. მთავარი აფსიდა ღრმაა და ფართო. მას ოდნავ ნალისებური მონახულობა აქვს. აქეთ-იქით თანხება მოწყობილი. საინტერესოა გვერდითი ეკლესიების დიდი და მაღალი ნიშნები, რომლებსაც კონუსური გადახურვა აქვთ. ძეგლის საერთო აგებულება, მისი მონუმენტურობა, აფსიდების მცირედ ნალისებური მოყვანილობა და კედლის წყობის ხასიათი, რაც IX—X საუკუნეებზე მიუთითებს, ერთადერთი საყრდენითი თქმის განადგურებული ეკლესიის თარიღის განსაზღვრისათვის. ეს დიდი ზომის სამეკლესიანი ბაზილიკა შიგნიდან მოხატული უნდა ყოფილიყო, რაც კიდევ უფრო საზეიმო იერს მისცემდა ნაგებობას.

მასიური, ძლიერი კოშკი გალანის გარეთ ციცაბო კლდეზეა შემდგარი. ამ მხრიდან ნაგებობა 11 მ სიმაღლით არის შემორჩენილი, ხოლო ეზოდან 3—4 მ აღწევს. გეგმაში კვადრატული კოშკის (8 X 8 მ) ყრუ კედლები ნაშენია საშუალო ზომის რუხი ფერის ქვით. მტკიცე, თარაზული წყობა კუთხეებში მსხვილი კვადრებით არის შემაგრებული. ნაგებობის ქვედა ნაწილში ძველი ფენაა დარჩენილი. ჩანს, აქ მდგარი უფრო მცირე ზომის უხეშად ნაშენი კოშკი, რომლის ნანგრევებზე დიდი, ძლიერი სიმაგრე აღუშრთავთ. მასზე აღმოსავლეთიდან, კიბის გასამართავად მიუშენებიათ 2 მ სიგანის კედელი.

გვესოს „ციხის“ საერთო გალანით შემოზღუდული დიდი ეკლესია და კოშკი ერთი ღროის მშენებლობას განეკუთვნება.


კოშკისათვის ფართო კიბის მიშენება, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, ამ ნაგებობის სარეზიდენციო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, სადაც, საფიქრებელია, სასულიერო ხელისუფალი იჯდა.

სოფ. გვესოს მეორე ციხე სრულიად განადგურებულია. ეს ნაციხარი სოფლის დასავლეთის კონცხზეა, მოსახლის ეზოში. მიწითა და ბალახით დაფარულ ნანგრევებში ძნელად, მაგრამ მაინც იხაზება ციხის ზოგადი კონტური. მიწის პირზე ქვევრები შეინიშნება. ციხის სიძველეს მოწმობს კედლის ფრაგმენტი. ეს სათავედაცვო ნაგებობა სოფ. ლუხვიანოში გადასასვლელი ძველი გზის მაკონტროლებელი უნდა ყოფილიყო.

სოფელში მესამე სიმაგრეც არის, ზემოთ აღნიშნულ ციხეთა გზასაყარზე. აქ გამოედინება ყინულივით ცივი წყარო, რომელზეც ოთხკუთხა (6 X 5, 5 მ) კოშკია დაშენებული. მის კედლებში მოწყობილი ჭის მეშვეობით წყალს ზევით ეზიდებოდნენ. კოშკის წინ მრგვალ მოედანს ბურჯებით შემაგრებული გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავნის დიდი ნაწილი განადგურებულია. მონგრეულია კოშკის ზედა სართულები და სამხრეთის კედელი. საპირე წყობა ძირითადად შემოქარცულია. მოპირკეთება მხოლოდ შიდა კედლებზეა გადარჩენილი. კოშკისა და გალავან-ბურჯების აგებულება, კედლების წყობის ხასიათი, ზემოხსენებულ ციხეებთან შედარებით გვიანდელი ჩანს. ხალხური გადმოცემით, ეს სიმაგრე თათრებისაგან თავის დასაცავად აუშენებიათ ჩარკვიანებს.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ცხენისწყლის აღმოსავლით (უნდა იყოს: დასავლით ...) არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა. ამას ზევით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებლისა, და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული. არს შვენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად“ [1, 148].

მაქსიმე აღმსარებელი VII ს-ის ფილოსოფოსი და საეკლესიო მოღვაწე ქრისტიანულ აღმოსავლეთში, თავის მოწაფეებთან ერთად, ბიზანტიიდან ლაზიკაში გადმოსახლდეს. მოწაფეთაგან ერთმა — ანასტასი აპოკრიისიარმა აღწერა ყოველივე და იერუსალიმში მოღვაწე თეოდოსი განგრელს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელის მიერ გამოქვეყნებული ანასტასის წერილიცა და თავისი „მოსახსენებელიც“ შემდეგ ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. არის ქართული ვერსიებიც.



სურ. 3. სოფ. გვესო. „ჩარკვიანების ციხის“ გეგმა.

ზემოხსენებული თხზულებიდან ჩანს, რომ მაქსიმე აღმსარებელი ლაზეთში ჩამოყვანის შემდეგ „მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიოშარი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა“. მოწაფეთაგან (ორივეს ანასტასი რქმევი) ერთი გაუგზავნიათ აბაზგიის მახლობლად მდებარე სკოტორის ციხეში, მეორე კი ბუკოლუსის ციხეში, რომელიც ალანთა საზღვრებში მდებარეობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მაქსიმე აღმსარებლის ორივე მოწაფე მოუყვანიათ. „ეგრეთწოდებულ მუკორისისში“, საიდანაც ერ-



თი გადაუგზავნიათ „სვენეთის ციხეში“, მეორე კი „თაკრიის ციხეში აბაზგიის მახლობლად“. ლათინური ვერსია თაკრიის ციხეს იბერიის მახლობლად ათავსებს.

მაქსიმე აღმსარებელი სქიომარის ციხეში გარდაცვლილა და დაუკრძალავთ ციხის მახლობლად. თეოდოსი განგრელის მიხედვით, ამის შემდეგ კარგა ხანს, საფლავზე ყოველ ღამე ლამპრები ჩნდებოდა და ანათებდა არემარეს. ამას ადასტურებსო „სხიმარის ციხის უფროსი მისტრიანე, რომელსაც თავის ჯარისკაცებთან ერთად დარაჯობის დროს არა ერთხელ და არა ორჯერ, არამედ სწორად უნახავს ეს ლამპრები და პირველს მას უამბნია ეს ყველასათვის“. ავტორს თვითონაც განუზრახავს ამ ციხისა და საფლავის ნახვა, მაგრამ „ვერ შევძელით იქ მივვლწოა, რადგან მეტად ძნელია ასვლა იმ მთაზე ... თანაც ზამთარი იყო და იმ მხარეში ხალხი ლეღავდაო“ [20, 50—52].


ამ ციხეთა ლოკალიზაციით, ჩანს, ადრევე დაინტერესებულან და გაჩენილა ქართველი სქოლიასტების მინაწერები სხვადასხვა ხელნაწერებზე. ერთ-ერთ მათგანზე იკითხება: „ამის წმიდისა მაქსიმეს ნაწილნი მას მახლობელად ცაგერისა“. ამრიგად, პირველად ამ მინაწერში ცხადდება სქოლიასტის აზრი, რომ მაქსიმე ცაგერის მახლობლად დაუკრძალავთ (ეს წყაროებით არ ჩანს) და სქიომარიც სადღაც აქვე ყოფილა.

XI ს. ხელნაწერზე, იქ, სადაც ლაბარაკია, რომ მაქსიმეს ერთი მოწაფეთაგანი წაიყვანეს „ციხესა სუნთა სოფლისასა“, ამის გასწვრივ, უფრო მოგვიანო ხელით მიუწერიათ: „სუნთა სოფლის ციხე, რომელ არს მური“. არც ამ ციხის სახელია ცნობილი წყაროს რომელიმე ვერსიიდან [20, 51—54], ხოლო ტექსტის იმ ადგილას, სადაც თაკრიის ციხეზეა საუბარი, იკითხება „ანასტასი დიაკვანი წარიყვანეს ციხესა თაკვერისა კვარას“ [21, 49—51].

წერილობით ცნობებს ემატება კიდევ ლეჩხუმში გავრცელებული ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვით მაქსიმე აღმსარებელი მურის ციხის მახლობლად, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას არსებულ, გვიანი საყდრის ნანგრევებშია დაკრძალული. ეს შიშარული ლეგენდა 1914 წ. სპეციალურად ჩაიწერეს.

გადმოცემის შესამოწმებლად, 1914 წ. ზაფხულში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით აღნიშნულ ადგილზე ჩატარდა გათხრები: იგი დაათვალიერა ნ. მარმა. მისი აზრით, არქეოლოგიურმა ძიებამ პირდაპირი პასუხი ვერ გაცა კითხვას მაქსიმე აღმსარებლის საფლავის შესახებ; აუცილებელი იყო კვლევის გა-

2. ლეჩხუმი




გრძელბა უმთავრესად მაქსიმეს ცხოვრების ქართული ვერსიების შესწავლის გზით [22,6].

ზემოხსენებულ ციხეთა ადგილმდებარეობის შესახებ ამის მერე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებანი: 1. სქიომარი // სნიმარი უნდა იყოს უცხოური შესატყვისი ქართული „ციხე მური“-სა [21, 49—51]; 2. თაკვირიის ციხე—დენჯირია, ხოლო იქვე მოხსენიებული ბუკოლუსის ციხე — ბოკელვან-ბოკერვანი, სოფ. დერჩის მახლობლად [23,135]; 3. სქიმარისა და ბუკოლუსის ციხეები მისიმიანთა ქვეყანაშია, კოდორის სათავეებში [24, 121—122].

მურის ციხე თავისი მდებარეობითა და მიუვალობით ერთ-ერთი შთამბეჭდავი ციხეა მთელს ლეჩხუმში. იგი მდებარეობს ზუსტად სვანეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, ცხენისწყლის ვიწრო გასასვლელში, კლდოვანი ქედის თხემზე, რომელიც პერპენდიკულარულად ებჯინება მდინარის მარცხენა ნაპირს. ეს დიდი მნიშვნელობის სიმაგრე ყოველთვის მოქმედი იყო; გვიან პერიოდში დადიანებს მურში სამთავრო-სასახლე ჰქონიათ; 1770 წ. ამ სასახლეში გარდაიცვალა ერეკლე მეორის და — ელისაბედი, რომელიც კაცია დადიანის მეუღლე იყო. იგი ცაგერის ეკლესიაში დაკრძალეს [28,179].

მურის ფორტიფიკაცია ციხითა და ცალკე მდგომი ოთხი მოკავშირე კოშკით ერთიან რთულ სათავედაცვო სისტემას ქმნის.

ციხეს მაღალი, კლდოვანი თხემის შუა ნაწილი უკავია. მისგან აღმოსავლეთით, ციხის მისაღვომი ოთხკუთხა კოშ-



სურ. 4. მურის ციხის გეგმა.

კით არის დაცული. ქედზე მათ შორის უნაგირია. დასავლეთით, თხემის განაპირას, მეორე, სათვალთვალო კოშკი მდგარა. ამ კოშ-

კებს შორის ადვილად ვასასვლელი კლდოვანი მონაკვეთები დამატებითი კედლებით იყო დაცული. ქვემოთ, შთის ძირში, იქ, სადაც მდინარის კალაპოტი საგრძნობლად ვიწროვდება, ორთავე ნაპირას თითო კოშკია.

დამრეც ფერდობზე აღმართულ ციხეს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. კარს, მის ზემოთ მოწყობილი საბრძოლო ბილიკიდან იცავდნენ. ციხის ცხოვრების უადრეს პერიოდს განეკუთვნება დასავლეთის ნაწილი. აქ არსებული კოშკის ორი კედელი, რომელიც გვიანდელი მაშეკულებით სრულდება, თითქმის მთელ სიმაღლეზე ამოყვანილია მტკიცე თარაზული წყობით; კარგად შერჩეული, თანაბარი ზომის კვადრები საგულდაგულოდაა მორგებული ერთმანეთზე. მსგავსი წყობა შეინიშნება კედლის ქვედა რიგებში, ციხის შესასვლელის მარცხენა მხარეს. აქვე არსებული კედელი, რომელიც დიდრონი კვადრებით არის ნაგები, განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს, ხოლო ნატეხი ქვით ნაშენი, მაშეკულებითა და სათოფურებით აღჭურვილი შედარებით თხელი კედლების მქონე ციხის სხვა ნაგებობანი გვიანი შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ციხის აღმოსავლეთის ნაწილი დათმობილი აქვს წაგრძელებულ სწორკუთხა ფორმის „ციხე-სახლს“, რომელიც ყველაზე მაღალი შენობა უნდა ყოფილიყო. მისი აწ დანგრეული სამი გვერდი ორმაგი კედლით ყოფილა ნაშენი; მეორადი კედელი შიგნიდან ამოყვანიათ. ოთხსართულიანი ნაგებობის პირველ სართულს სამეურნეო დანიშნულება ექნებოდა. დასავლეთის მხარეს შემორჩენილია მეორე სართულის კარის დიობი. შესასვლელის საპირისპიროდ გაჭრილი სარკმლიდან, როგორც ჩანს, ციხის მისადგომებს უთვალთვალებდნენ. მესამე სართულზე ფართო ოთხკუთხა დიობებია. სულ ზემო, საბრძოლო სართული მაშეკულებით სრულდებოდა. აღწერილი „ციხე-სახლი“ შეიძლება მივიჩნიოთ ზემოხსენებულ დადიანების სასახლედ.

ციხის ეზოს შუა ნაწილში შემორჩენილია კედლების ფრაგმენტები. იკითხება სწორკუთხა სათავსოს გეგმა, რომელიც აღმოსავლეთით „ციხე-სახლს“ ემიჯნებოდა. ჩრდილოეთის მხრიდან ციხეს ზღუდავს პიტალო კლდეზე დაშენებული გალავნის კედელი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ტრაპეციის მოხაზულობის მონაკვეთს ზღუდავს. აქეთ შეინიშნება სამეურნეო სართული, თახჩებითა და მიწაში ჩაფლული ქვევრებით. ზემოთ საცხოვრებელი სართული უნდა ყოფილიყო — კედლებში სარკმლებია დაყოლებული.

ციხის გარეთ, შედარებით გაუაკებულ ადგილას წყლის რეზერვუარი და დამხმარე ნაგებობათა ნაშთებია.

თხემის აღმოსავლეთით მდებარე კოშკი შედარებით უკეთ არის შენახული. კოშკის კედლები ერთობ თხელია (60 სმ). კარი აქაც მეორე სართულზეა, დასავლეთით პირველ და მეორე სართულზე თითო სარკმელია ქერთან ახლოს გაჭრილი. დიობები მრავლად არის მესამე სართულზე. სულ ზემო მეოთხე სართული მაშვიკულე-ბით იყო აღჭურვილი. სართულშუა ხის გადახურვები ამჟამად ჩამოქცეულია. კოშკს ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გალავნის თხელი კედელი ერთვის.

მურის ციხე გზაჯვარედინს კეტავდა: ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადმოსული გზა, ორბელსა და ჩხუტელზე გამოვლით, ციხის ქვეშ ხილთან გამოდიოდა; ამის შემდეგ ერთი გზა ლენტეხისაკენ აყვებოდა მდინარეს, მეორე კი, მარჯვენა სანაპიროთივე ცხენისწყალს ქვევით ჩამოყვებოდა. კლდეკარის სიგანე მურთან 50 ნაბიჯი იყო, ხიდის სიგრძე კი—40. ციხის გაღმა, მარჯვენა, კლდოვან ნაპირზეც მდგარა ერთი კოშკი, რომელსაც რ ა გ ვ ი ს ციხე, ანუ ლ ა წ უ ნ დ ა რ ა რ კმევი. იგი მურის მდინარისპირა კოშკის სიმაღლეზეა და მისი თანადროული ნაგებობა უნდა იყოს — ციხის ძველ ფენებთან შედარებით, უფრო მოგვიანო. ცხადია, სიმაგრეთა ამ სისტემით, მურის გასასვლელი ცხენისწყალთან საიმედოდ იკეტებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მურის ციხის უძველესი ფენები შესაძლოა მაქსიმე აღმსარებლის ეპოქის თანადროული იყოს, ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, რომ სწორედ ისაა სხიმარი; მით უფრო, რომ არქეოლოგიური გათხრები, რომელიც მის მახლობელ ეკლესიაში ჩაატარა ნ. მარმა ამის საშუალებას არ გვაძლევს.

რაც შეეხება ხალხურ გადმოცემას ცნობილია, რომ წმინდანთა დაკრძალვის ადგილებს (თუნდაც ერთი და იგივე წმინდანისას), ხშირად სულ სხვადასხვა მხარეებში მიუთითებდნენ; არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც მაქსიმე აღმსარებლის ნეშტი ლაჩიკიდან წაუღიათ ... როგორც ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნდა, საფიქრებელია, რომ მაქსიმეს სახელი, რომელიდაც არსებულ თქმულებას გვიან ჩაექსოვა.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ბიზანტიური ეპოქის ბერძნული ენის მიხედვით, თეოდოსი განგრელთან მოხსენიებული „თაკრიის ციხის“ შესატყვისად, უფრო „ცაგერი“ უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე „თაკვერი“. მაქსიმეს სახელი ისედაც იქნებოდა დაკავშირებული ლეჩხუმთან, რადგან ერთ-ერთი მისი მოწაფე თაკვრიაში (ცაგერში) იყო მოთავსებული“ [20,51-56].

თუ პირველწყაროში მართლაც „ცაგერის ციხეზე“ საუბარი, მაშინ სრული უფლება გვაქვს ასეთად გვესოს ციხე მივიღოთ; ისიც შეიძლება, რომ მის გვერდით არსებული ეკლესია წმ. მაქსიმესა და მის მოწაფეთა სახელს დაუკავშირეს. ცნობილია, რომ ქრისტიანობის ადრეული ხანებიდანვე, ეკლესიები შენდებოდა მარტივლთა პატივსაცემად, თუ შესაძლებელი იყო — მათ საფლავებზე. ეს კი უდიდესი სტიმული იქნებოდა შემდგომში აქ საეპისკოპოსო კათედრის დაარსებისათვის. გვესოს სამლოცველო თავისი სიძველეთა და გამორჩეული ხუროთმოძღვრებით, სავსებით შეეფერება საეპარქიო ცენტრს, რომლის მსგავსი ლენჩუმში სხვა არა ჩანს.

გვესოს ციხე არაა მხოლოდ თავდასაცავი კოშკი, იგი საცხოვრებელი რეზიდენციაა დიდი ფეოდალისა (შესაძლოა სასულიეროსი); ეს აზრი უფრო სარწმუნო ხდება, როცა ვითვალისწინებთ ირგვლივ მყოფ ნაგებობათა მთელ კომპლექსს. ციხე ბატონობს ცაგერის ფართო ჭილაზე დაახლოებით სარეწკელას ვიწროებამდე. დამახასიათებელია, რომ ის მთავარ გზაზე კი არ დგას, არამედ განაპირას და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი სამიწათმოქმედო რაიონის ცენტრია. მისი საუკეთესო ნაწილი კი, ცაგერის საეპისკოპოსო ტაძრის უძველესი საკუთრება იყო (ამაზე ქვემოთ).

ცაგერი და გვესო ისეა ერთმანეთს მიკრული, რომ ახლა მეორე პირველის უბანი გეგონება. ასევე ერთიანი ივარაუდება ეს დასახლებანი 1880 წ. ცაგერის ეკლესიის წარწერაში, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია: „მრველი ცაგერ-გვესოს სოფლისა“; ამასვე უნდა მოწმობდეს ისიც, რომ გვესოელებს საკუთარი სასაფლაო არა აქვთ, არც ახსოვთ როდისმე ჰქონოდათ, და იმარხებიან ცაგერის ეკლესიის ირგვლივ დღესაც მოქმედ სასაფლაოზე, სადაც შესაძლოა მოგვიანებით გადმოიტანეს საეპისკოპოსო ტაძარი.

ნიშანდობლივია, რომ VII-IX საუკუნეთა ბიზანტიურ წყაროებში, სადაც ლაზიკის საეპისკოპოსოებია დასახელებული, ცაგერელი ეპისკოპოსი არ ჩანს. ამიტომ მართებულია ვარაუდი, რომ ამ დროს აქ მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენითა და მწიგნობრობით [25,152]..

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საეპისკოპოსო კათედრა ლენჩუმში IX-X სს. დაარსდა. აქ საინტერესო ისაა, რომ ამ ეპარქიაში ლენჩუმთან ერთად შედიოდა ქვემო სვანეთი და, ჩანს, ზემო სვანეთის ნაწილიც; ცხადია, ასეთი ნაბიჯი ლენჩუმ-სვანეთში ქრისტიანობის გაძლიერებისათვის იყო გადადგმული; ნიშანდობლივია, რომ სვანეთის ძველი ეკლესიების უმეტესობა სწორედ ამ პერიოდშია აგებული.


ჩვენთვის ცნობილი, ჯერჯერობით პირველი ცაგერელი ეპისკოპოსი იხსენიება იშხნის (ტაოშია) ჯვარზე. ესაა ანტონი, რომელიც ჯერ იყო ცაგერელი, შემდეგ იშხნელი ეპისკოპოსი გამხდარა. სწორედ იქ, XI ს-ში ანტონ ცაგერელს ვერცხლის ხატი შეუწირავს იშხნის ეკლესიისათვის [4,286].

დღეს ცაგერში მდგარ ეკლესიას მრავალი ნგრევა-განახლების გამო სიძველის იერი სრულიად დაკარგული აქვს. მისი თავდაპირველი აღკაზმულობიდან შემორჩენილი მეტად საინტერესო, დახვეწილი ჩუქურთმებით შემკული კარი XI საუკუნით თარიღდება [49,61. 68].

ცაგერის მახლობლად მდებარე ადრეული ძეგლებიდან, ყურადღებას იპყრობს ცალკე მდგარი გალავნიანი კოშკები სოფ. ლუხვანოში. ეს სოფელი ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის ნამკაშურის ზემო წელზეა, უბნებად დასახლებული: სალეთოდიანო, საკობალიანო. . . აქაურ კოშკებსაც საკუთარი სახელები შემორჩენიათ, რომლებიც შესაძლოა უბნების, ერთ შემთხვევაში კი, იქნებ მფლობელ საგვარეულოსაც გამოხატავდეს: შ ტ უ რ ო, ლ ე ს ა რ ო, თ ა კ ვ ე რ ე ლ ი ა ნ ი. ეს უკანასკნელი გვარია, რომელიც ახლა აღარ ჩანს, მაგრამ ქვემო სვანეთის ჩოლურის თემში, ექვთ. თაყაიშვილმა ნახა XVI ს-ის ჯვარი, რომლის წარწერაში იხსენიებოდა დევნა თაკვერელიანი [4,98].

შ ტ უ რ ო — ადგილობრივთა გამოთქმით „ციხენადგომ“ ადგილს ჰქვია ზემო ლუხვანოს ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ ბორცვზე. აქ ამჟამად კოშკის, საყდრისა და ტერასულად გარშემოვლებული ორმაგი ზღუდის ფრაგმენტული ნაშთებია. კოშკი, ოდესღაც დიდი და ძლიერი სიმაგრე, წყობამორღვეული ნანგრევი მასით არის მოღწეული. ფუძის კედლებში უზარმაზარ მუხას გაუდგამს ფესვები. კოშკის ქვემოთ, დიდრონი ქვებით ნაგები ზღუდის ფრაგმენტია. უფრო დაბლა კედლით შემაგრებული ტერასაა, რომელიც ასევე წრიული ფორმით გარს ევლება ზედა ზღუდეს და შედარებით დიდ ფართობს მოიცავს. დასავლეთით, ფერდობის ძირში შეინიშნება მესამე ტერასა. საყდარი ბორცვის თავზეა, კოშკიდან 5 მ-ის მანძილზე. ეს მცირე ზომის უაფსილო ნაგებობა ნახევრად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვით არის ნაშენი. მისი საკურთხეველი პილასტრებითაა გამოყოფილი. სამლოცველოს კედლები 2 მეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი, დასავლეთის შესასვლელით, სამხრეთისა და აღმოსავლეთის სარკმლის წირთხლებით. ეს ნაგებობა საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ სწორკუთხა საკურთხეველიან ეკლესიათა ნიმუშს წარმოადგენს.

ძირში, კოშკიდან სამხრეთით მიწის პირს მიუყვება თლილი, სწორი კვადრებით ნაშენი კედლები. ეს უნდა იყოს ზღუდის ნაშთი. ციხეები თუმცა ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ ის, რაც



სურ. 6. ლესაროს ციხის გეგმა.

შერჩენილა, თავისი ადგილმდებარეობით, გეგმარებითი აგებულებითა და დიდრონი, ნარჩევი ქვის წყობით მეტად შთაბეჭდილია და გვაფიქრებინებს, რომ ისინი აღრეფეოდალურ ხანაშია აგებული.

ლესაროს ციხის სამხრეთ-დასავლეთით მდ. ნამჭარაშულის ხევს დაღმა, მის მარცხენა კბოლდეზე კოშკის მცირე ნაშთებია დარჩენილი. კედლების უდიდესი ნაწილი მოწყვეტილია და შვეულ ფერდზეა ჩახერგილი ცალ-ცალკე მასებად.


ციხე აუგიათ რუხი, ზედაპირდამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით. კედლის სისქე 1,5 მ-ია. კოშკის აღმოსავლეთით, ხუთი მეტრის მანძილზე მიწის პირს კედელი მიუყვება. ჩანს, აქედან

კოშკის საცხოვრებელი ნაგებობა ე. წ. „პალატი“ კქონდა მიშენებული. აქვე გდია კარის ზღურბლის დიდი თლილი ქვა. კოშკის შემოქრწინილი წყობა საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ეს ციხე ზემოთ აღწერილ სათავდაცვო ნაგებობებზე გვიან უნდა იყოს აშენებული.

საღეთოდინაოში ორი ციხეა. ერთი მათგანი სრულიად განადგურებულია და მხოლოდ საძირკველი მოჩანს. მეორე ციხე დგას მდ. ნამჭარაშულის მარჯვენა მხარეს, მინდვრის ბოლოს, ნაგომრის მიწებზე (შესაძლოა ეს იყოს „თაკვერელიანი“). კოშკი (9,8X9,8), შემორჩენილია ხუთი მეტრის სიმაღლეზე. ქვედა სართული ნანგრევებითა და მიწით არის ამოვსებული. კოშკის ჩრდილოეთით საყრდენი კედლებით შემაგრებული ზედაბრმოსწორებული ბაქანია, ხოლო სამხრეთიდან შედარებით დიდი ტერიტორიის შემომზღუდავი გალავანი.

ლუხვანო მთის სოფელია, გაფანტული მოსახლეობით. აღწერილი ციხეებიდან არც ერთი არაა ერთმანეთთან ახლოს და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი აქაურ აზნაურთა საგვარეულო საცხოვრებლებია. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ლუხვუმს „მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვეთკირისა და შენობანი ყოველნივე ქვეთკირისანი“.

მდინარე ნამკაშურის აყოლებით მიდის გზა ტყემლაეაკეზე, რომელიც შემდეგ ახალქალის გავლით გეგეჭკორის რაიონში გადა-




სურ. 7. სოფ. ზემო ლუხვანო. საცხოვრებელიანი კოშკის გეგმა.

დის; ლაბრახის გადასასვლელით კი, ცხენოსანი კაცი 3-4 საათში
ლენტეხის მთაში ავა.

აღრეული ხანის ციხეების ერთი ჯგუფია კიდეც სოფ. ზუბის
შიდამოებში, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსა და მისი მარჯ-
ვენა შენაკადის — კვერეშულას მარცხენა ნაპირზე.

ციხისწყალ-კვერეშულას შესართავს ქვემოთ, მკაცრი მთებით
გარემოცული ხეობის ცენტრში, მძლავრად ამოზიდულ კონცხზე
ციხის ნანგრევებია. ეს არის ზუბის ციხე.



სურ. 8. ზუბის ციხის გეგმა.



შდინარის კალაპოტი კონცხის გარშემო ვრცელ წრეს მოხაზავს და ისედაც შევეული კლდით დაცული სიმაგრე, აქედან სრულიად მიუვალაია. სხვა მხარეებიდან ციხე ტერასულ ბაქნებზე ნაშენი, დამატებითი ზღუდეებით იყო გამაგრებული. ამ სათაედაცყო ნაგებობას რთული გეგმარება აქვს. გალავნის მრუდსაზოვანი კედელი, რომლის ფორმა რელიეფით არის ნაკარნახევი ზღუდავს სამკუთხა ბაქანს. შუაში დიდი, ოთხკუთხა კოშკია, ცალი მხრიდან ბურჯით შემაგრებული. ნაშალით ამოვსებულ ნანგრევებში შეინიშნება ორმაგი კედელი. ციხის ეზოს ჩრდილოეთის კუთხეში ნახევარწრიული საბრძოლო ბურჯია. აღმოსავლეთით, დიდი ბურჯით გამაგრებული კუთხის მრგვალი კოშკი უნდა ყოფილიყო. მის ძირში გადარჩენილი რეზერუარი, ლეჩხუმში მრავლად არსებული ამ სახის ნაგებობების ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.


ზუბის ციხის კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული კლდის ქვით, რომელსაც ზოგან მოშინდისფრო, ზოგან ყვითელი ფერი დაჰკრავს. კედლების წყობა სხვადასხვა ნაწილებში განსხვავებულია. ციხის ქვედა ზღუდე, ერთიმეორეზე კარგად მორგებული, შედარებით დიდრონი ქვებით არის ნაგები. ციხის ზედა ნაწილებში კედლები ნატეხი ქვების არეული წყობით არის ამოყვანილი. ჩანს, ციხე მოგვიანებით საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ციხის ადგილმდებარეობა და საერთო აგებულება გვაფიქრებინებს, რომ აქ შეიძლება მჯდარიყო დიდი ხელისუფალი.

ზუბის ციხიდან ცხენისწყლის დაყოლებით, ხეობის მარჯვენა კლდოვან შევრილზე დგას ის უნდერის ციხე. მისი ზემო ნაწილი, რომელიც ქედიდან ადვილი მისადგომია, მაღალი ოთხკუთხა კოშკით არის დაცული; კედლით გატიხრულ მართკუთხა ეზოს ხეობის მხრიდან ოვალური მოხაზულობის კედელი აქვს მიშენებული. ციხეს გვერდიდან მთელ სიგრძეზე კედელი მიუყვება, აქედან ყოფილა მთავარი შესასვლელი. ფრაგმენტულად შემორჩენილი ადრეფეოდალური ხანის კედლები, რომლებიც კუთხეებმომრგვალებული კვადრებით არის ამოყვანილი, განვითარებულ ფეოდალურ ხანაში შეკეთების კვალს ატარებს.

ზუბის მეორე ციხე სოფლის თავშია, კვერეშულას მარცხენა მხარეს, მაღალ, ტყიან ქედზე. ადგილობრივები მას ქვააწითლის ციხეს უწოდებენ. ეს სახელი შეერქვა ქვის მოწითალო ფერის

გამო, რომელიც მკვიდრად ნაგებ კედლებს დროთა განმავლობაში მიუღიათ.

ციხის შუა შემადგენელზე ოთხკუთხა კოშკის ნანგრევია. კოშკის წინ გალავნის სქელი კედლებით შემოზღუდული ეზოა, უკან — მცირე, გამაგრებული მოედანი. ციხის ეს ნაწილები ერთმანეთს ვიწრო გასასვლელით უკავშირდებოდნენ. ზღუდის კედლებში თახჩებია მოწყობილი, ჩანს, ეზოში ხის დამხმარე ნაგებობებიც.



სურ. 9. სოფ. ზეზო ზეზი. „ჭეაწილის ციხის“ გეგმა.

მდგარა. ციხის გვერდით ქედს კედელ-ყორე მიჰყვება, რომლითაც დასახლება უნდა ყოფილიყო შემოზღუდული; შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები. ციხეს სხვადასხვა დროის მშენებლობის კვალი ეტ-

ყომა: უმეტესი ნაწილი განვითარებული ფეოდალიზმის ხანისაა, თუმცა შემორჩენილია უფრო ძველი წყობის ფრაგმენტებიც. ქვაწითლისა და ზუბის დიდ ციხეებს შორის ქვაბკარის ციხე ყოფილა აღმართული. მისი ნანგრევები მდინარე კვერეშულას ცხენისწყალთან შესართავის მარჯვნივ, გზისპირა კლდეზეა. შემორჩენილი მცირე ფრაგმენტებიც კი ცხადს ხდის, რომ აქ საყურადღებო ნაგებობა მდგარა; სამწუხაროდ, იგი სრულიად დაუნგრევიათ გზის გაგანიერების დროს. კვერეშულას ხევის ჩამკეტი ეს სიმაგრე, ცხენისწყლის შუა წელის დაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი პუნქტი იქნებოდა.

სოფ. აღვის აღმოსავლეთით, ლაშქოდიის ხევის მარჯვნივ, ბორცვზე ძველი ციხის ნანგრევია. მაღლა მდგარა დიდი ზომის ოთხკუთხა კოშკი, რომლისგან მხოლოდ საძირკველი და საპირე ქვებშემოცლილი კედლის ნაშთია დარჩენილი. კოშკის ქვევით რკალისებური მოხაზულობის მოედანი ყოფილა შექმნილი. დღეს მისი საბჯენი კედლების მცირე ფრაგმენტებილა არსებობს. ციხეს გალავანი უვლიდა გარს, რომელსაც სამხრეთით ნახევარწრიული ბურჯი ჰქონია. დიდი ზომის, უხეშად დამუშავებული ქვის კვადრებით ნაგები ციხის კედლები ყველაზე უკეთ აქ არის შემონახული. უფრო დაბლა, გვიან ხანაში ციხისთვის წრიული, რიყის ქვის ზღუდე შემოუვლიათ. დღეისათვის ისიც ძლიერ დაზიანებულია.

აღვის ციხე ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მისი კოშკის დიდი ზომები (11 X 11 მ) და ბურჯებით აღჭურვილი გალავანი ციხის თავდაპირველ მნიშვნელობაზე მეტყველებს; მით უფრო, რომ ცხენისწყლის ხეობიდან კენაშის, სანორჩისა, ნასპერისა და უსახლოს გავლით აქედან გადადის გზა ლაჯანურის ხეობაში. გვიანდელ ხანაში ახალი გალავნის შემოვლება და ამრიგად მისი გამაგრება ნათელს ხდის, რომ ციხე საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. იგივე ციხე დარაჯობდა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირიდან მიმავალ გზას ზუბის ციხის ხიდისაკენ, რითაც იგი მარჯვენა ნაპირს უკავშირდებოდა. სარეწკელას ვიწრო კლდეკარი, იქაური გამოქვაბული, ზუბის ციხე და მის ძირში, ცხენისწყალზე გადებული ხიდი, ამ გზის სიძველეს ადასტურებს, რომელიც ბოლომდე მოქმედი იყო.

ეს ციხეები განსხვავებით ლუხვანოს კოშკებისაგან, უეჭველად მნიშვნელოვან გზებთანაა დაკავშირებული. ესაა ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, უძველესი დროიდანვე მოქმედი სვანეთ-იმერეთის შემაერთებელი გზა; მას გამოეყოფა კიდევ ოდი-

შისაკენ და ასხის საძოვრებისაკენ კვერეშულას ხევით მიმავალ გზა-ბილიკი, ხოლო ჯანოულას ხევით, ოდიშში გადადიოდა მთავარი გზა ლეჩხუმზე გამავალი. აქ იყო სოფ. ქულბაქი, რაცსავეპრო ადგილს აღნიშნავს ... ცხადია, ზუბის ციხე ყველა ამ გზის მაკონტროლებელი იყო. როგორც ჩანს, ასხის მთებისკენ მიმავალთ, შეეძლოთ გვერდი აქციით ქვემო ზუბის ციხისათვის: მანამდე ისუნდერის ხევს აყოლოდნენ, ან მახურა-ისუნდერზე გამოვლით, ზემო ზუბს მისულიყვნენ, შემდეგ კვერეშულათი ... ამის გათვალისწინებით უნდა იყოს აგებული ისუნდერის ძველი ციხე ცხენისწყლის დაყოლებით, მის მარჯვენა, მაღალ ტერასებზე. აქვეა საინტერესო ტოპონომი „ნაქალაქარი“ — მახურა-ისუნდერის გზაზე. ამავე დროს ზუბის ციხეები გარკვეული ერთეულების მფლობელები, მათზე გაბატონებული პუნქტებია: ქვაწითლის ციხე — კვერეშულას ხევზე, ქვემო ზუბისა კი ცხენისწყლის მონაკვეთზე სარეწველას ქვემოთ.

საყურადღებოა, რომ ზუბის ციხის ძირში, სამხრეთით ცხენისწყალზე ხიდი იყო გადებული, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირის სოფლებს — აღესა და ოყურემს მარჯვენა ნაპირთან აკავშირებდა, ამდენად, ზუბის ციხე გაღმა ნაპირზედაც ავრცელებდა თავის გავლენას.

ზომებითა და მნიშვნელობით ზუბის ციხე ბევრად აღარბებს ქვაწითლის, ისუნდერისა და აღვის ციხეებს, ამიტომაც მისი ცენტრალურობა და გაბატონებული მდგომარეობა ამ ციხეებზე — აშკარაა.

ვახუშტის სიტყვით, „ციხენისწყალს მოერთვის გორდს ზეით, ჩრდილოდამ, კავკასის გამომდინარე ჰევი, და ამ ჰევზედ არს ციხე თაკვერი, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი, არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მღებარისა — იხილე ესე მთა კვერი“ [1, 148]. ვარაუდობენ, რომ ვახუშტის მიერ თაკვერად აღწერილი ციხე, სწორედ ქვემო ზუბის ციხე უნდა იყოს [26, 126]. ამ მხრივ საინტერესოა სოფ. ზუბში დამოწმებული ტოპონიმები: კვერეშულა (წყალი), კვერღმ-გვერდი (ქედი იმავე წყლის მარჯვენა სანაპიროზე), საკვერიე და თაკვერა — ასხის მთის ნაწილები.


ციხენისწყლის ხეობის გარდა ადრეული ხანის ციხეები გვხვდება ლეჩხუმის სხვა ადგილებშიაც. ლაჯანურის ხეობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ო რ ბ ე ლ ის ციხე. იგი ცხენისწყალ-ლაჯანურის აუზების გამყოფ, შუა ლეჩხუმის სერის აღმოსავლეთ კიდეზეა; ლაჯანურის მარჯვენა სანაპიროზე. ეს უნდა ყოფილიყო ამ

ხეობის პოლიტიკური ცენტრი, გაბატონებული ყველაზე ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო მონაკვეთზე. იგი, ამავე დროს, გზაჯვარედინსაც აკონტროლებდა: ერთი გზა რიონ-ლაჯანურის გამოვლით სოფ. ორბელთან ქედს გადავიდოდა და ჩხუტელის გავლით მურის ხიდთან ჩადიოდა. ეს იყო ყველაზე უკეთესი გზა ცაგერსა და ალპანას შორის; მეორე გზა ლაჯანურის მარჯვენა ნაპირის აყოლებით, აღიოდა ჯვრის უღელტეხილზე და ეშვებოდა ლაშხეთის სოფ. სასაშში, ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე. XIX ს-ში იგი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ცხენის გზად, რომელზედაც მოუვლელობის მიუხედავად, მუდამ დადიოდნენ დატვირთული ცხენებით. ის უმოკლესი და უკეთესი გზა იყო ცაგერსა და ლაშხეთს შორის, ვიდრე ცხენისწყლის ხეობას გაყოლილი [27, 189—190, 193—194].


ორბელის ციხე ლეჩხუმის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი სიმაგრეა. იგი გაბატონებულია ლაჯანურის მთელ ხეობაზე ლაშქალიდან ორპირის კლდეკარამდე. ციხე დაშენებულია მაღალ კლდეზე, მისასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. აქედან ციხე ადვილად მისადგომია და ამიტომაც ეს, მხარე ყველაზე უკეთ არის გამაგრებული მაღალი, კოშკებიანი გალავნით. ერთი კოშკი შესასვლელს იცავდა; მისი კედლები მაშვიკულებით მთავრდებოდა.

ყორე ქვით ნაგები გალავანი დიდ ტერიტორიას ზღუდავდა ყველა მხრიდან. ციხეში შესვლა კარის კოშკის გავლით შეიძლებოდა. ციხე ორ დონეზეა განლაგებული. ზედა ციხე, ანუ ციტადელი აგებულია კლდოვან შემადგენლობაზე. იგი ვზოს შუაგული-საკენ წრიული ფორმის, საბჯენი კედლით შემაგრებული ბაქნით იჯარება. ამ ბაქნიდან არაჩვეულებრივად მდიდარი ხედი იშლება: მთაგრეხილებით, ხეობებით, სოფლებით, ზერებითა და მთებზე, ხეებში შემალული სალოცავებით.

ზედა ციხეში უმაღლესი ადგილი უკეთ შემონახულ, დიდ ოთხკუთხა კოშკს უკავია. იგი ნაგებია თანაბარი ზომის, მოგრძო ქვებით, წყობის კარგად დაცული თარახული რიგებით. კოშკი ქვემოდან ზემოთკენ მკვეთრად ვიწროვდება, რაც განსაკუთრებით ამძაფრებს მონუმენტულობის შეგრძნებას. შესასვლელი სამხრეთის კედელში, ხუთი მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი. კოშკი ოთხსართულიანია. სართულშია გადახურვები არ შემორჩენილა. მესამე სართულის გადახურვა კამაროვანია, შუაში თლილი ქვის საბჯენი თალით შემაგრებული. კოშკის კედლებში მცირე თახჩები და სათვალთვალო ლიობებია. მეოთხე სართული მაშვიკულებით მთავრდებოდა და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. კოშ-



სურ. 10. ორბელის ციხის გეგმა.



სურ. 11. ორბელის ციხე. სავარაუდო რეკონსტრუქცია.

კის ზემო, სხვაგვარი წყობით შესრულებული ნაწილები გვიანდელ მშენებლობას უნდა ეკუთვნოდეს. მთავარ კოშკზე მიჯრით მიშენებულ, ორსართულიან პალატს დღეისათვის სართულშუა გადახურვა არა აქვს, ნაწილობრივ მონგრეულია მეორე სართულის კედლებიც. ამ ნაგებობას ეზოს მხრიდან, მთელი სამხრეთი კედლის აყოლებასზე კიბე ასდევს, რომლითაც კარის კოშკის ზემო სართულში აღიოდნენ.

ქვედა ციხის ეზოში ორი კოშკი, მცირე ეკლესია, წყლის რეზერვუარები და რამდენიმე ქვეერია. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის სამსართულიანი კოშკი შედარებით კარგად არის შემორჩენილი. შესასვლელი ეზოდან აქვს. მის კედლებში თახჩები და სათოფურებია დაყოლებული. ქვედა ციხის მეორე, დასავლეთის კოშკი და ეკლესია ძლიერ არის დანგრეული. სრულიად განადგურებულია გალავნის კედელი ეზოს დასავლეთ მონაკვეთში. ქვედა ციხის განაპირას, კლდოვან ბაქანზე კიდევ ერთი კოშკის კვალი შეინიშნება.


ციხის აღმოსავლეთით, ორასიოდე მეტრის მანძილზე შედარებით დიდი ეკლესიის ნანგრევებია, მიწითა და ეკალ-ბარდებით დაფარული. მის დასავლეთ კედელთან ოთხკუთხა სვეტია აღმართული, რომელზედაც გამოსახულია რელიეფური ჯვარი.

ორბელის ციხე ლეჩხუმის სათავდაცვო ნაგებობათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აღსანიშნავია მისი არა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა ისტორიის მანძილზე, არამედ განუმეორებელი მხატვრული სახეც. ორბელის ციხის ესთეტიკური ღირებულება დიდია. მისი მნიშვნელობა სცილდება ადგილობრივ საზღვრებს და იგი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეთა შორის. ორბელის ციხე, მურის ციხის მსგავსად, შუა საუკუნეებსა და XIX ს-შიც მოქმედი სიმაგრე იყო. ამას განაპირობებდა მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა და ღონიერი ეკონომიკური რაიონი. 1802 წ. ორბელის ციხე „იყო სამოურავო ბააკა ჩიქოანისა ... რომელი იყო ეამსა მას ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი“-ო მოგვითხრობს XIX ს. ისტორიკოსი ნიკო დადიანი [28,188—193]. ახლაც ორბელი ერთი უდიდეს სოფელთაგანია. ადრე მისი უბნების სახელები ყოფილა: კურცხობი, სუნარიელი, ქოლბანი, გუგუმიერი. შესაძლოა ასეთივე უბნის სახელს ატარებდეს ჩ ო ხ ა შ ი ე რ ი ს ციხის ნანგრევები; რომელიც ორბელის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაბლა, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე დგას. გარდა თავდასაცავი ფუნქციისა, ჩანს, მას მდინარისპირა გზის გადაკეტივაც ევალებოდა და ორბელის ციხის საერთო სისტემაში უნდა შესულიყო. აქ გადარჩენილი-

წყალსაცავი და ქვევრების დიდი რაოდენობა გვაფიქრებინებს, მეციხოვნეებს ხანგრძლივად უხდებოდათ ციხეში ყოფნა.

ლენხუმის ადრეული ხანის ციხეებიდან აღსანიშნავია უწვა-შის ციხე. იგი რიონის მარჯვენა შენაკადზეა, ლახეფას ხევის მარცხენა სანაპიროს კლდოვან ქედზე, რომელიც მთევრის მთიდან განიტოტება. სამხრეთით ეს ქედი ლახეფას ხევისკენ ვერტიკალურ ქარაფებად ეშვება, ნაკურალეშისკენ — ნაკლებად დამრეცია და შედარებით ადვილად სავალი. ციხე ქედის თხემის მიმართულებით, დასავლეთ-აღმოსავლეთზეა დამხრობილი და უფრო იოლი მისასვლელიც ამ მხარეებიდან, განსაკუთრებით დასავლეთიდან აქვს.

მთის წვერზე დიდი, ოთხკუთხა კოშკი დგას, სამხრეთიდან



სურ. 12. უშვასი ციხის გეგმა.

მიშენებული ბაქნით. კოშკის კუთხეებიდან ეშვება გალაენის კედელი, რომელიც ვრცელ ტერიტორიას შემოზღუდავს. კოშკის მახლობლად კამაროვანი გადახურვის მქონე დაზიანებული სათაესო დარჩენილი. გალაენის ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით წრიული

მოხაზულობის შენობის ნანგრევებია. ყველაზე უფრო საღად დარჩენილია კოშკი. მისი კედლების სიმაღლე ხუთ-ექვს მეტრს აღწევს. გვერდში კოშკის გვერდები ოდნავ მორკალულია, ხოლო კუთხეები მკვეთრად შემომრგვალებული. ორმაგი კედლების შიდა და გარე ფენები მჭიდროდაა შეკავშირებული. ორივე ფენა ფართოა, თითოეული 1,50 მ-მდე აღწევს. საშენ მასალად ნახშირის დიდრონი ქვები. ისინი განლაგებულია სწორხაზოვნად, თარაზული რიგების დაცვით. განსაკუთრებით დიდი, მუცელგამობერილი ქვები გამოყენებულია კუთხეებში. ეზოს მხრიდან მოწყობილ კოშკის მცირე ბაქანზე კარის ნაშთი შეინიშნება.

ციხის ზღუდის კედლები ძირითადად მრუდხაზოვანია, რაც რელიეფის სირთულითაა გამოწვეული. მხოლოდ ერთ მონაკვეთზე, საიდანაც ციხე ადვილად მისადგომია, სწორხაზოვნად ეშვება გრძელი და ფართო კედელი. იგი დიდი, გათლილი კვადრებით არის შედგენილი. უწვამის ციხე, სამწუხაროდ, ძალიან არის დაზიანებული და მცენარეებით დაფარული. კედლების წყობისა და ქვის თლის თავისებურების მიხედვით, უწვამის ციხე ზუბის, გვესოს, მურისა და სხვა უადრეს საფორტიფიკაციო ნაგებობათა რიგში ღგება და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

უწვამი ახლა მხოლოდ ციხეს ეწოდება, მაგრამ შესაძლოა აქ სოფელიც იყო ამ სახელწოდების, რაზედაც მიუთითებს მცირე ნასახლარების არსებობა ციხის დასავლეთით. ხალხური გადმოცემით, ამ ქედზე ახალგაზრდა ტყე დიდ ყინვებს გადაურჩა, არ მოუწვავს და ამიტომაც დაერქვა უწვამი.

ციხისთვის ადგილი შერჩეულია აქ გამავალი გზების გათვალისწინებით: რიონის ხეობის სოფლებიდან ხვამლისა და ოყურეშისაკენ მიმავალი გზები, ან ზემო ლეჩხუმისა და ნაკურალეშის გამოვლით, ტვიშს მიმავალი გზა ამ ციხით იკეტებოდა. ამავე დროს უწვამი რეზიდენციას წარმოადგენდა ამ საციხისთავოში შემავალი სოფლების გამგებელთათვის. უწვამის საბატონო პირველ ყოვლისა ნაკურალეში და მისი ხევი იქნებოდა, შემდეგ კი მას უნდა დამორჩილებოდა ტერიტორია რიონის ხეობისა ალპანიდან ტვიშამდე.

ჩვენს დრომდე ნანგრევებად, თუ ძლიერ გადაკეთებული სახით მოღწეული ლეჩხუმის უძველესი ციხეები საერთო ნიშნებით ხასიათდებიან. ისინი ამავე დროს განსხვავდებიან როგორც მეზობელი, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების სათავდაცვო ნაგებობათგან.

აქ, აზიდულ ბორცვებზე მკვიდრად ნაგებ მასიურ კოშკებს, გარშემო გალავანი აქვს შემოვლებული და მოგვიანებით დამატებითი, ტერასულად განლაგებული ზღუდეები უჩნდებათ. კოშკების ქვედა ნაწილი დიდ სიმაღლეზეა ამოვსებული, ე. ი. მაღალ საფუძველზე არიან აღმართული. კოშკების კუთხეები უმეტესად მონარგვალეული, ხოლო სილუეტი ზევეთკენ შევიწროებულია. მშენებლობის ერთი თავისებურება — ორმაგი კედლის მიჯრით შენება შეიძლება მშენებლობის ადგილობრივ ხერხად ჩაითვალოს, რომელიც უძველესი ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე იჩენს თავს. კედლის მეორე შრის წარმოქმნა, ზოგიერთ შემთხვევაში არსებული ნაგებობის შემდგომი აღდგენა-გაფართოებით იყო განპირობებული.

ლენხუმის ადრეფეოდალური ხანის ციხეებზე საუბრისას, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ყველაფერთან ერთად, სრულიად გარკვეული ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრებსაც წარმოადგენენ. ასე იყო ეს ყველგან, მაგრამ რაკი ლენხუმის ძველი ციხეების შესახებ მასალები არა გვაქვს, ამიტომ გვიანი ანალოგიებით შეიძლება მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, ღეხვირის ციხეს (როინცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე) 6 სოფელი ეკრა: მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ლესინდი, ლეშკედა, წილამიერი; ამათ ყველას საღეხვირო ეწოდებოდა. ღეხვირში ახლაცაა ძველი ნაციხარი, რომელიც მთელ საღეხვიროს დაჰყურებდა. იქ რომ ბუკს დასცემდნენ, მისი ხმა ყველა სოფელში გაისმოდა და მთელი საღეხვირო შეიკრიბებოდა [2, 27, 128]. მათი საერთო სალოცავი მცხეთა იყო.

ამ გადმოცემას ადასტურებს 1836 წ. ერთი საბუთი სადაც ღეხვირში შემავალი 9 სოფელია ჩამოთვლილი; სოლომონ II-ის დროინდელი იმერეთის ციხეების აღწერილობა კი უფრო ნათელსურათს იძლევა: ციხის მოურავი (ადრე ციხისთავი) განაგებდა არა მარტო გარნიზონს, არამედ ციხის ირგვლივ მყოფ ტერიტორიასაც. იქაურ მცხოვრებთაგან იღებდა გადასახადს „საციხოს“, ე. ი. პროდუქტებს მეციხოვნეთა შესახად; ციხიდან ბუკის დაკვრით ხდებოდა ჯარის შეყრა. აქ ჰყვირის მოურავად გელოვანი ჩანს [29].

მსგავსი ვითარება XI—XII ს-ებში დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, სადაც ციხისთავი უკვე VI ს-დან ვეხვდება. აქ უნდა მოვიგონოთ თეოდოსი ვანგრელის ტექსტში მოხსენიებული სხიმარის ციხის უფროსი მისტრიანე და მისი მეციხოვნენი, რომელნიც ლაზების მთავარს ემორჩილებოდნენ...

არ ჩანს რომელი ციხე იყო თავკერის საერისთავოს ცენტრი ადრეფეოდალურ ხანაში, მაგრამ მათი სიმრავლე ცხენისწყლის ზეობაში, ვახუშტის ცნობასთან ერთად, მეტიც თუ არა, ლეჩხუმის ცენტრს მაინც — აქ გულისხმობს.

* * *

დღევანდელი ლეჩხუმის აღმნიშვნელ სახელად თავკერი უნდა დამკვიდრებულიყო რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ; რაჭის ერისთავი XI ს-ში იხსენიება; თამარის მეფედ კურთხევას 1184 წ. კი, უკვე ესწრებოდა „კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თავუერისა“ [30, 27]. ე. ი. თავკერი აქ ლეჩხუმს გულისხმობს, რომელიც რაჭის საერისთავოში შედის. იგივე ვითარება დარჩა XIII ს-შიც.

საქართველოს გაერთიანების ხანიდან მოყოლებული, ლეჩხუმი აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის კულტურული აღმავლობის საერთო პროცესში. აქ შემონახული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების შესანიშნავი ნიმუშები ამის უტყუარი საბუთია. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ლეჩხუმის ისტორიული ვითარების წარმოდგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროის საკულტო ნაგებობებს. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. ესენია: გონის წმ. გიორგი (X ს.), ლაბეჭინის მთავარანგელოზი (XIII ს.), დერჩის ნათლისმცემელი (XIV ს.), თაბორის ეკლესია (XIII—XIV ს.), რომლის მოჩუქურთმებული ქვები გვიან ხანაში აგებული შენობის კედლებშია ჩაშენებული და სხვ.

ე. ქვთ. თაყაიშვილს ლეჩხუმში მოგზაურობის დროს 1910 წელს თითქმის ყველა ეკლესიაში ძველი და საინტერესო ჭედური ხატები უნახავს. დღეისათვის მათი უმეტესი ნაწილი დაკარგულია.


რაც შეეხება მონუმენტურ მხატვრობას, იგი, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაკურალეშისა და დერჩის ეკლესიების კედლებს შემორჩა. შედარებით სრულად. ეს ფრესკები XVII ს-შია შესრულებული. მოხატული ყოფილა, ამას გარდა, გონის, ლაბეჭინის, თაბორის, ჭაშლეთის, ორბელის ციხის ეკლესიები.

უაღრესად საინტერესოა, მაღალმხატვრულობით გამორჩეული, დღემდე ნაკლებ ცნობილი პლასტიკის ნიმუშები. ესენია ჭაშლეთის (X—XI ს.) და გონის (XI ს.) კანკელები.

სოფ. ორხვიდან სამხრეთით, ყანებზე გამავალი ხვეული აღმართებით მთის მოვაკებაზე შეიძლება მოხვედრა. ვრცელი, გამ-

ლილი არემარე შორს მთებით არის შემოსაზღვრული. აქედან ქედზე დერჩისა და დღნორისისაკენ მიმავალი გზა გადიდის. ამ მიდამოებში ძველად სოფელი ყოფილა, რომელსაც საკმაოდ ჰქონია სახნაეი, საძოვარი, ტყე, წყალი ... ორსვიდან მომავალ გზაზე დაცულია ტობონიმი ჯვარი, რაც აქ სალოცავის არსებობაზე მიუთითებს. ამავე გზიდან მარცხნივ, მცირე შემალღებაზე დგას გონის წმ. ვიორგი — ლეჩხუმის ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო ეკლესია. მისი ჩუქურთმითა და რელიეფით მდიდრულად მორთული კანკელი ქვაზე კვეთის დღემდე ნაკლებად ცნობილ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ხეებით გარემოცული მცირე ზომის ეკლესია დარბაზული ტიპისაა, დასავლეთიდან გვიანდელი, სწორკუთხა მინაშენით, რომლისგანაც 1 მეტრის სიმაღლის კედლებიღა შემორჩენილი. ეკლესიის



სურ. 13. გონის ეკლესია. გვება.

სამხრეთით, მოშორებით, რამდენიმე შენობის კვალი იკითხება. დღეს ეკლესია ნაწილობრივ დაზიანებულია; პერანგშემოძარცულია კედლების ქვედა რიგები. გამონგრეულია სამხრეთის კარი და აღმოსავლეთის სარკმელი. ფსადების საღად შემორჩენილი ნაწილები ძეგლის სრული სახის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ეკლესია შიგნიდან და გარედან ღია ფერის შირიმის თლილი კვადრებით არის შემოსილი, წყობა სწორხაზოვანია. სარკმელთა

საპირეთათვის გამოყენებულია შედარებით მაგარი ჯიშის ქვა-
ლუკორი ძირითადად აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფსადებზეა
თავმოყრილი. ყურადღებას იქცევს სამხრეთის სარკმლის ვაფორ-
მება. ერთიან დიდი ზომის ქვაზე მარტივი თავსართი და მის ზე-
მთ სამი რელიეფური ჯვარია ამოკვეთილი. ლამაზი მოყვანილო-
ბის ჯვრები წრეშია ჩახაზული. არანაკლებ საინტერესოა აღმო-
სავლეთის სარკმლის საპირე. მისი ქვები დღეს ეკლესიის შიგნით
დევს. ამ ლიობის თავსართი რომბებისა და სამკუთხედების ცერად
ნაკვეთი ორნამენტით არის დაფარული. ასეთი ჩუქურთმა ზოლად
შემოსდევდა მთელ სარკმელს. თავსართს ზემოთ წრეში ჩახაზული
ჯვარია ამართული. ამ გამოსახულების მარჯვნივ ამოკვეთილია
ნუსხური წარწერა: „წმიდაო გიორგი, შეუნდე ცოდვანი გიორგი
ცოდვილსა“. წარწერა XI საუკუნით თარიღდება [33,103].
ნაგებობას თაო-კარნიზი აგვირგვინებს. საინტერესო არქიტექტუ-
რულ დეტალს წარმოადგენს სამხრეთის ფსადზე, კარნიზის ქვე-
მოთ მოთავსებული, კედლიდან ძლიერად გამოწეული კრონშტე-
ინები (სხვა ძეგლებში, მაგალითად ზემო კრიხში, მსგავსი კრონ-
შტეინები ყავრის სახურავის გასამართავედ იყო გამოყენებული).

ეკლესიის შიდა, ვიწრო და მაღალი სივრცე დასრულებულია
კამარით. ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა სრულდება კარ-
გად ამოყვანილი კონქით. ოდნავ შეისრული ფორმის სატრიუმფო
თალი ბურთულებით გაფორმებულ ლამაზ იმპოსტებს ებჯინება.
შიდა სივრცე სუსტად არის განათებული სამი სარკმლით — აღ-
მოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის, რომელთა წირთხლები
მცირედაა შიგნითკენ გაგანიერებული. შესასვლელი ეკლესიაში
ორია, დასავლეთის — შიგნიდან თალოვანი მოყვანილობისაა, ასე-
თივე უნდა ყოფილიყო სამხრეთის კარიც. კედლებზე ალაგ-ალაგ
შემორჩენილია შელესილობის კვალი. აფსიდაში მოხატულობის
მცირე ფრაგმენტები შეინიშნება. საკურთხევლის დარბაზისაგან
გამმიჯნავ კანკელთან ქვის კვარცხლბეკია, რომელზედაც ჯვარი
უნდა ყოფილიყო აღმართული. საკურთხევლის წინ ჯვრის მოთავე-
სების ტრადიცია უძველესი ხანიდან — საქართველოში ქრისტი-
ანობის გავრცელებიდან მოდის.

ეკლესიის საერთო იერი, კედლების და კონქის წყობა, სარ-
კმლების მორთულობა, ბურთულებით გაფორმებული იმპოსტები,
ოდნავ შეისრული თალი და სხვა ნიშნები ძეგლს X საუკუნით, სა-
ვარაუდოდ მისი ბოლო პერიოდით განსაზღვრავს. სარკმლის თავ-
სართის ქვაზე არსებული წარწერა შესაძლოა მოგვიანებით იყოს
შესრულებული.




Fig. 11. Գրեթե սալակե շինքի հարկերը:

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ეკლესიის ბრწყინვალედ შესრულებული კანკელი, რომელმაც ჩვენამდე შეცვლილი სახით მოაღწია. ერთ დროს დაზიანებული კანკელი ნაწილობრივად შემდეგაა აწყობილი. რიგ ფილებს შემთხვევითი ადგილი უკავია. როგორც კანკელის რეკონსტრუქციამ გვიჩვენა მათი ერთი ნაწილი დაკარგულია.

კანკელის ხუთი თალი ემყარებოდა დეკორირებულ ბარიერზე აღმართულ, რთულად პროფილირებულ სვეტებს; მთელ კონსტრუქციას ორნამენტიანი კარნიზი აგვირგვინებდა. თაღედის შუა მალი ე. წ. „აღსავლის კარს“ — საკურთხეველში ერთადერთ შესასვლელს წარმოადგენს. კანკელის მოჩუქურთმებული ქვედა ნაწილი დანაწევრებულია ორნამენტირებული ზოლებითა და ლილვების კონებით ოთხ არედ, სადაც წმინდანთა სკულპტურული გამოსახულებებია. აქ მახარებლები — ლუკა და მარკოზი, მთავარანგელოზები — მიქაელი და გაბრიელი არიან წარმოდგენილი. მედალიონში ჩასმული ეს წელსზევითა ფიგურები უაღრესად მნიშვნელოვანია. თითოეულს ახლავს მისი ვინაობის მაჩვენებელი ასომთავრული, დაქარაგმებული წარწერა. მთავარანგელოზთა რელიეფები იდენტურია. ასევე ერთმანეთის მსგავსია მახარებელთა გამოსახულებები. ნახევარფიგურები მთლიანად ავსებენ წრიულ არეს, ოსტატი ცდილა მოურთავი არ დაეტოვებინა ფილის არც ერთი მონაკვეთი. იქ, სადაც მედალიონების არე, მთავარანგელოზთა გამოსახულებებში შევსებულია. ფრთებით, მახარებლებთან დიდი გაშლილი ფოთლებია გამოკვეთილი. მთავარანგელოზთა თმა, ფრთები, მახარებელთა სამოსი, წვერი, გრაფიკული, დენადი ხაზებითაა გადმოცემული, ამასთანავე ისინი ხაზგასმულად მოცულობითია. სრულიად განსხვავებულად, კონცენტრული წრეებით არის დამუშავებული მახარებელთა მხრებზე დაფენილი თმები. მთავარანგელოზთა ფიგურები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ნიკორწმინდის ტაძრის ჩრდილოეთ კარის ტიმპანზე არსებულ ანგელოზთა რელიეფებთან. ეს ითქმის როგორც საერთო პლასტიკურ გამომსახველობაზე, ასევე ცალკეული დეტალების — ფრთების, სამოსის, თმების დამუშავების ხასიათზე. საგანგებოდ აღსანიშნავია სახეების მსგავსებაც. მოქნილი ხაზებითა და პლასტიკური ფორმებით ხასიათდება აგრეთვე მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები, რომლებიც აგურისფერ-წითელი და შავი საღებავითაა შეფერადებული.

გონის კანკელი იმ ეპოქას ეკუთვნის, როდესაც საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველთა უხვ დე-

კორატიულ გაფორმებას. მცირე ზომის, სრულიად სადა ეკლესიაში ასეთი მდიდრული, ჩუქურთმითა და რელიეფებით ინტენსიურად მორთული, შეფერადებული კანკელის გამართვა XI ს-ის პირველ ნახევარზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს კანკელის საერთო აგებულება, ჩუქურთმათა რეპერტუარი და მათი კვეთის თავისებურება, შესანიშნავი სკულპტურული გამოსახულებები და წარწერათა ასოების მონახაზები.

თვით სოფელ ორხეში, წყაროსთან „ქვარიანების ციხეა“. დარჩენილია ოთხსართულიანი კოშკისა და საცხოვრებელი ნაგებობის ცალკეული ნაწილები. სოფელში არის ქვაციხვიც — დიდ ლოდზე კოშკის ნაშთი; იხსენიებენ ადგილის სახელებს „საკირეს“, „ნახიდურებს“. ეს უკანასკნელი თურმე რიონზე მყოფ ბურჯებს ერქვა, ახლა იქ ვენახებია.

ორხეთან გამოქვაბულებია, სადაც მთამსვლელი ალ. ჯაფარიძეა ნამყოფი. მისი აღწერით, აქაურ კლდეში (300 მ) შუა ადგილზე, მიუვალი გამოქვაბულია. მისი სიმაღლე 14 მ-ია, სიღრმე — 12 მ, სიგანე — 10 მ; გამოქვაბულის შესასვლელ ნაწილში კუმბეტრანახევრიანი ლოდებით, უდუღაბოდ, ამოუშენებიათ კედელი. შიგ მოიბოვება 10 ცალი გათლილი მუხის ძელი. ორხეის მთავარი გამოქვაბულის მახლობლად არის მეორე, ხელოვნურად გამოჭრილი ქვაბული; ნაშენი ნაწილები არა აქვს. შიგ მოთავსებულია გათლილი ძელები (2 მუხისა, ერთი — ურთხელისა), დახვრეტილი ფიცრის ნაჭერი, ხის ჯამის ორი ნატეხი და ძელის ნაშთები. იატაკში ჩამარხულია ორი პატარა ქვეერი [31, 306—307].

ამრიგად, ორხეი და გონი ქვემო ლეჩხუმის საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტები ყოფილა, სადაც შუა საუკუნეების საინტერესო ძეგლებია შემორჩენილი.

შეუძლებელია ხვამლის მთას თავიდანვე არ მიეპყრო ლეჩხუმელთა ყურადღება. ვახუშტის სიტყვით, „მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ზომლის ვარსკვლავის სწორობით“. იგი ყოველთვის მოქმედებდა აქაურ ამინდზე, მიკროკლიმატს ქმნიდა და ბუნებრივია მიწათმოქმედი საზოგადოების თავყვანისცემის ობიექტი აღრიდანვე უნდა გამხდარიყო. ხვამლობა 20 /VII იმართებოდა; ეს დიდი ხატობა იყო, სადაც მოდიოდნენ ყოველი მხრიდან. ლოცულობდნენ მოსავლისათვის, ხვამლს ევედრებოდნენ გვალვისა და სეტყვისაგან მფარველობას; ამბობდნენ — ვისაც ხვამლი სწყალობს, მისი ბედელი არ დაიცლებათ. ხვამლობისათვის გლეხებს შეწირული ჰქონდათ კაკლის ხე. პატრონი მას არ ჭრიდა, მისი ნაყოფით არც ოჯახში სარგებლობდა და არც ჰყიდდა: სჯეროდათ — თუ ვინმე შეჭამ-

და, ბავშვებს ხეელას დაიწყებინებდა. ამ დღეს, სახვამლო კაცლის ხის ქვეშ სუფრაზე ნიკვზიან ხმიადს, ღვინოსა და შემწვარ ქათამს მიიტანდნენ.

ხვამლის მთაზე იყო დიდად განთქმული ხვამლის წმ. გიორგის ეკლესია. 1886 წ. ჟურნალ „მწყემსში“ მღვდელი იოანე თავვაძე წერდა: „ამ თვალუწვდენელ კლდის თავზედ არის ნამგრევი ეკლესიისა... ვალავანი ეკლესიისა არის ქვის... ამ ვალავანის ირგვლივ არიან ქვის სახლები, ზოგი მათგანი თითქმის ეხლაც ვარგა კაცის დასადგომად...“ 1910 წ. ახალი ეკლესიის შენების დროს უნახავთ წარწერიანი ქვები, რომლებიც ახლა ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია. ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „წმიდაო გიორგი მეოხ და მფარველ ექმენ ერისთავთერისთავსა ენს (ეოანეს? ელარიონს?) სულითა და შეილთა მისთა“ [33,167]. წარწერა XII—XIII სს. ეკუთვნის, რაც ხვამლის ძველი ეკლესიის თარიღსაც განსაზღვრავს. უნდა ვიფიქროთ, აქ რაჭისა და თაკვერის ერისთავთ-ერისთავი იხსენიებოდა კახაბერის ძეთა საგვარეულოდან.

ვახუშტის გადმოცემით, ხვამლის კლდეში „არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები“ [1,157]. ეს მიუვალი გამოქვაბულები შორიდანვე მოჩანს.

1263-64 წწ. საქართველოში ორმეფობის შექმნისას, ნარინ და ულუ დავითმა „განყვეს სამეფო და საჭურჭლენი; გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელი იღვა, მცირე გამოიდეს და გაიყვეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს“, მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი [30,243].

ცხადია, ეს ფაქტი რომანტიკულობის ბურუსს მატებდა ხვამლის მთას და ხალხურ თქმულებებს ასაზრდოებდა. 1940-იან წლებში ხვამლის ქვაბები ალბინისტურ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ კარსტული წარმოშობისა და შემდეგ გაფართოებული მთავარი გამოქვაბული, რომელშიაც წყარო გამოდის, წინიდან მოზღუდული ყოფილა ქვეთაირის მკვიდრი კედლით: აქ სხვადასხვა სიმაღლეზე დატანებულია სარკმლები და საჭვრეტები; შიგნით ორი-სამი სართულია გამართული. ამ ქვაბის ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად შესასვლელი გამოქვაბული, რომელშიც საჭურჭლე უნდა შენახულიყო. ქვემოთაცაა გრძელი და განიერი ბაქანი გამოკვეთილი, თავის ღროზე წინიდან აზღუდული და განიერად დატიხრული; ეს მრავალსენაკიანი, ქვეთაირ-ავურით ამოყვანილი ნაგებობა, მცველი რაზმის სადგომად არის მიჩნეული ამ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და ჩვეულებრივმა მოუჭიქავმა კერამიკამ. ესოდენ მიუვალი საგან-

ძურის მოწყობა უფრო XIII ს-ში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც საქართველოში განუწყვეტელმა შიშიანობამ დაისადგურა (ჯალალ-ად-დინი, მოხგოლეი) [34, 510]

ხვამლის წმ. გიორგის, ლენხუმის ერთ მთავარ სალოცავთაგანს, სხვადასხვა სოფლის ყმა-მამული ემსახურებოდა. „წმიდისა გიორგის ხოპლისა ტაძარს“ სწირავდნენ ჯვარ-ხატებს, გლეხებს, გადასახადებს, ადგილ-მამულებს. ამავე დროს ეს ეკლესია ცაგერის ღვთისმშობელს ემორჩილებოდა როგორც ლენხუმის საეპისკოპოსოთ კათედრას. ამიტომ შეწირულების წიგნებში აღინიშნებოდა: „ცაგერის ღვთისმშობელს და წმინდაო გიორგი ხვამლისაო თქვენთვის შემომიწირავს...“, ან „ცაგერისა ღვთისმშობლისათვის და მის მიერ ხვამლის წმიდისა გიორგისათვის... შემოგვიწირავს“. ხვამლის კუთვნილი გლეხები ცხოვრობდნენ ტვიშში, უსახელოში, ჩხუტელში, ცხუკუშერში, ზუბში, ოყურეშში, ხოჯსა და სხვ.

ხვამლთან მეტი სიახლოვის გამო, სოფ. ოყურეშში, ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე იყო უმეტესი მამული ხვამლის წმ. გიორგისა: ქვარიანისეული „სასახლე გაწყობილი საჯვართა, საჯალაბოთა, ქურმარითა, ზვრითა, მისის ყანითა, სათიბითა, საწისქვილოთი“, 7 კომლი გლეხი ცოლ-შვილითა და სახლკარით, ტბა ბაბუშერი, ჯანოულას ხევში, ორი მეთევზე გლეხით და ზუბის ციხე თავისი გლეხებით. ეს უკანასკნელი ალექსანდრე იმერთა მეფეს მიუცია გაბრიელ ცაგერელისათვის, რომელსაც XVII ს. მეორე ნახევარში ზუბის ციხე ხვამლის წმ. გიორგისათვის შეუწირავს. აქ ალბათ ამ ციხისადმი დაქვემდებარებული გლეხებისა და მათი სამსახურის შეწირვა იგულისხმება [4,66; 5,11; 29,10].


ხვამლის გავლენით იყო, რომ მის მახლობელ უმეტეს სოფლებში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები იდგა. ამას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა: ყოველთვის ყველა ვერ ახერხებდა ხვამლის მთაზე სალოცავად ასვლას... ასეთივე ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა იყო ოყურეშშიაც, სადაც ხვამლის ეკლესიის დანგრევის შემდეგ, გადმოიტანეს იქაური ჯვარ-ხატებისა და ნივთების უმრავლესობა.

ეჭვთ. თაყაიშვილის ცნობით ოყურეშის ეკლესიის შიგნით მოთავსებული ყოფილა 1788 წ. შესრულებული წარწერიანი ქვა: „მხნეო მხედარო შვიდწილ უძლეველო წმინდაო გიორგი მე უღირსი მცირედ ღვაწლისა დამდები ეკლესისა შენისა აღშენებისათვის დადიანი ოტიას ძე ბატონისშვილი გიორგი გვედრები რათა მეოხ მექმნე მეუღლით ძით და ასულით აქაცა და მერმესა მას საუკუნესაც...“ ოყურეშის ეკლესია უკვე 1700-1714 წლების ცაგერის

საეკლესიო საბუთში იხსენიება; დღეს მისგან მხოლოდ ^{სამხრეთ-აღმოსავლეთ} ნაწილი დარჩენილი.

ლენჩუშის აღმოსავლეთ კიდეზე, რაჭასთან საზღვრის ^{სამხრეთ-აღმოსავლეთ} მხარეს მდებარეობს ლაბეჭინის ეკლესია. იგი გველისთავის მთის სამხრეთით წამოსულ ქედზეა, ჟოშხანა და ჭყვიშის დასავლეთით. აქ, ასწლოვანი ხეების გარემოცვაში დგას თეთრი ფერის, ჩუქურთმებით შემკული მშენებრივი ნაგებობა. მაღლობიდან შესანიშნავი ხედები მოჩანს რაჭა-ლენჩუშისა. მთავარანგელოზთა ეკლესიას მრავალჯნის განუცდია რღვევა და შემდგომი შენება, რაზეც მოგვითხრობს წერილობითი წყარო და ამასვე ცხადყოფს ძეგლიც. აღარ არსებობს მისი სამხრეთი მინაშენები, ქვის მოჩუქურთმებული კანკელიც დაღუპულა.

დღეისათვის ლაბეჭინის ეკლესია დიდი ზომის, აზიდული პროორციების, საკმაოდ დამრეცი, ორფერდა საბურავის მქონე დარ-



სურ. 15. ლაბეჭინის ეკლესია. გვემა.

ბაზულ ნაგებობას წარმოადგენს. მისი კორპუსი შემოსილია თარაზულად ნაწყობი თლილი ქვიშაქვის პერანგით, რომლის დაზიანებული ადგილები აღდგენილია შირიმის მცირე ზომის ფილებით.

შენობა ორსაფეხურიან ცოკოლს ემყარება, იგი ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთით მოჩანს. გეგმის სწორკუთხედში მოქცეული ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველი ღრმა და ფართოა; აქ ორი მცირე და ორი ღრმა, მაღალი (3 მ-მდე) ნიშაა მოწყობილი. გრძივი კედლების სიბრტყე დანაწევრებულია ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრის მეშვეობით, რომლებზედაც დეკორატიული თაღედია გადაყვანილი. სამჯგენი თაღებით შემაგრებული კამარა და საკურთხეველის კონქი ერთიანად ჩაქცეულია და ხის ნივინივებზე დაფენილი შიფერის თანამედროვე სახურავი მოჩანს. ეკლესიის შიგნით პილასტრებისა და კარ-სარკმლის წირთხლები-სათვის თლილი ქვაა გამოყენებული. ყორეთი ამოყვანილი ეკლესიის კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა. ბათქაშის ჩამოცვენას მოხატულობა უმსხვერპლია და გაშიშვლებულ კედლებზე მხოლოდ ზოგან მოჩანს ფრესკის გაფერმკრთალებული ფრაგმენტები. მაღალი და ხალვათი შიდა სივრცე განათებულია აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში მოთავსებული თითო, თაღოვანი, დამრეცწირთხლებიანი სარკმლით. სამხრეთით, კარის თავზე მრგვალი სარკმელი ყოფილა, რომელიც გარედან მერმინდელი წყობით ამოუშენებიათ. მისი მოჩუქურთმებული საპირე ქვა საკურთხეველის მარცხენა ნიშაშია ჩაშენებული. ეკლესიის ორი კარი, დასავლეთისა და სამხრეთისა, გარედან სწორკუთხაა, ხოლო შიგნით თაღით სრულდება. მესამე კი—ჩრდილოეთის, საკურთხეველის ახლოს მოთავსებული — თაღოვანია.

როგორც უკვე ითქვა, მინაშენები მიწის პირასაა გასწორებული. გრძივ კედლებს, გარედან თარო მიუყვება, რომელზეც გვერდითი სათავსოების კამარები იქნებოდა დაყრდნობილი. გვიანდელი გადაკეთებების გამო ძეგლის გარეგნული იერი შეცვლილია. შედარებით უკეთ, თავდაპირველი სახით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფსალღებია შემორჩენილი. აღმოსავლეთით, „წვეთებით“ გაფორმებულ, შეწყვილებული ლილვით შემორკალულ ორ სამკუთხა ნიშას შორის მოთავსებულია საკურთხეველის სარკმელი. მის ორნამენტულ საპირესაც წყვილი ლილვი აჩარჩოებს. იგი იკვრება სარკმლის ქვემოთ და ძირს ეშვება სამი ლილვისაგან შემდგარ გრეხილთა კონად, რომელიც კვადრატულ, ორნამენტირებულ ბაზას ეყრდნობა, მსგავსად ნიშათა ლილვებისა. საკურთხეველის სარკმელს გვიან პერიოდში, გაფართოების მიზნით ამომტვრეული აქვს ჩუქურთმიანი საპირის დიდი ნაწილი. დარჩენილი პატარა მონაკვეთიდანაც ჩანს, როგორი ოსტატობით არის შესრულებული ორნამენტი. მარცხენა ნიშაში გამოსახულია განედლებული ჯვარი.

ასეთივე ჯვარია ფრონტონის კეხშიც. დასავლეთის ფასადზე დეკორირებულია კარი და სარკმელი. შათაც ვრეხილ ლილვებს შორის მოქცეული ორნამენტირებული ჩარჩო უვლის გარს. სამხრეთ ფასადის კარ-სარკმლის გაფორმება არ არის თავდაპირველი. სარკმლის საპირის ბრტყელ არეზე წრეებისაგან შემდგარი თავისებური ორნამენტიც ამოკვეთილი. საფიქრებელია, იგი XVIII ს-ში იყოს შესრულებული; ძეგლის აღმდგენელი ცდილა მის მიერ გამოყენებული დეკორატიული მოტივები არ ყოფილიყო მკვეთრად გამორჩეული ადრეული მორთულობისაგან.

ინტერიერში—საკურთხევლის მცირედ გამოწეული კუთხეები, პილასტრებს შორის გადაყვანილი წმინდა დეკორატიული ფუნქციის მატარებელი კედლის თაღები, გარედან—აღმოსავლეთ ფასადის დეკორატიული კომპოზიცია—სამკუთხა ნიშები, ლილვთა კონაზე „შესმული“ სარკმელი, თვით ორნამენტის თავისუფალი, ოსტატური კვეთა და მისი მოთავსება ამოზურცულ ზედაპირზე ლაბეჭინის ეკლესიას ახლო პარალელებს უძებნის XIII ს-ის ძეგლთა შორის.

1910 წელს ლეჩხუმში ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს, აქ ჯერ კიდევ ყოფილა სახარება გადაწერილი XIII ს-ის ხელით, სადაც იხსენიებოდნენ გადამწერი ვიორგი დვალი და ეტრატის შემქმნელი სუფი. სულ ბოლოს ყოფილა გაბრიელ ლაბეჭინელის წერილი, სადაც მოთხრობილი იყო ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები. „... ცოდვითა ჩუენთა დმერთმან მოაგო და მოაწია დიდი და საშინელი ძრვაჲ. მათ პირველთა ლაბეჭინელთა მოჭირვებული და შენებული და თუთ ჩემი ყუელაჲ ერთსა დღესა საფუძვლითურთ დაირღუა. შიგან ეკლესიასა, რაჲცა ხატნი იყვნეს და მოწყობილებაჲ, დაიღუწნეს და იავარ იქნეს, გარეთ ნაშენებიცა ყუელაჲ“. ამის შემდეგ იგი დაწერილებით მოგვითხრობს ეკლესიისა და მის კარიბჭეთა სამი ზაფხულის განმავლობაში შენების შესახებ. აგრეთვე ხატების აღდგენის, შეჭედვის, ახლების დახატვის (32 ხატი), საყრდის შიგნიდან მოხატვის, კანკელის დადგმის, ხელნაწერი წიგნების გამრავლების და მათი შემოსვის თაობაზე. ასეთი რამ წერილობით წყაროებში ხშირი არაა, ამის გამო გაბრიელ ლაბეჭინელის მინაწერი ძვირფასია, არა მხოლოდ ამ ძეგლის ისტორიის შესატყობად, არამედ საერთოდ საქართველოში საეკლესიო მშენებლობის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ყოველივე არსებულის გათვალისწინების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მიწისძვრით განადგურებული ეკლესია შეუცვლია

გაბრიელ ლაბეჭინელის მიერ აგებულ საყდარს — დღევანდელ მთავარანგელოზთა ეკლესიას. შენობის კედლებში ჩატანებული ასომთავრული წარწერები XI—XII სს. განეკუთვნება. ისინი ძველი ეკლესიისა უნდა იყოს. მათ მეორად გამოყენებაზე შემთხვევითი ადგილები და ფილების დაზიანებული კუთხეებიც მიუთითებს. აქ იხსენიება მიქელ ქობულის ძე, რატი დაფქუაძის ძე, კვირიკე ჩოღერი, ნათელ დედოფალი, იოვანე და გაბრიელ გალათონი. XVII ს-სა ყოფილა გიორგი ინსასარიძისა და მისი შვილების — ანა ჩხეტიძის წარწერა, რომელიც დასაუღეთის ეკვდერის აგებაზე მოგვითხრობდა. ეს ქვა დაკარგულია [33,162; 4,13]. ეკლესია ბოლო ხანებამდე კიდევ რამდენჯერმე შეუკეთებიათ. მიუხედავად ამდენი ცვლილებისა ნაგებობის დღევანდელი სახე მაინც უდავოდ საინტერესოა. იგი ლეჩხუმის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს და ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს ამ პერიოდის ეკლესიათა შორის.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაბრიელ ლაბეჭინის ეკლესიის მეურნეობის შესახებაც; სათანადო ნაგებობანი ამავე ქედზე ყოფილა: „ამას ქედსა ზედა თუ სახლნი არიან, ანუ ზღუდენი არიან, და თუ ჭურმარანი არს... და რაჲცა ბელენი არიან, რაჲცა შეშის ვოდა, შევკაჲში და სსუაჲ ახლად აღვაგე“.

ლაბეჭინელის ეს მნიშვნელოვანი მონათხრობი ნათლად წარმოაჩენს ლაბეჭინის ეკლესიის გავლენასა და ეკონომიკურ სიძლიერეს. XI—XVII სს. იგი პირველი უნდა ყოფილიყო ლეჩხუმის აღმოსავლეთი ნაწილის ეკლესიათა შორის. ავტორი არსად ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ლაბეჭინა ნამდვილი მონასტერი ჩანს თავისი ფართო მეურნეობით, ყმა-მამულით; მონასტრად იხსენიება იგი XVII ს-შიაც. XVIII ს-ში კი, იოანე ცაგარელმა ერთი ზღნაწერი შესწირა „ლაბეჭინას მთავარანგელოზის ეკლესიას“. 1766 წ. საბუთის მიხედვით, ახლადაშენებული საირმის უდაბნოს მონასტრისათვის დადიანს შეუწირავს საწინამძღვრო ეკლესია ლაბეჭინისა, თავისი მრევლითა და ადგილ-მამულით [6,30—32]; სამრევლო ეკლესია დახვდა აქ ექვთ. თაყაიშვილს 1910 წ. [4,11].

გაბრიელ ლაბეჭინელი იხსენიებს ლეჩხუმის იმ სოფლებსაც, საიდანაც მას გლეხები თვით უშოვია, ან სხვებს შემოუწირავეთ ეკლესიისათვის. ესენი ამ მხარეში ახლაც არსებული პუნქტებია: ზოგიში, ყოშხა, საირმე, არბანა (ახლა ალბანა).

ზოგიში რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. აქ საყურადღებო ძეგლებია შემორჩენილი.

ძველ სასაფლაოსთან, მცირე შემადლებზე დგას მარტოხი-
ეკლესია, რომელიც ამჟამად ძლიერ დანგრეულია. დარბაზუ-
ლი ტიპის ნაგებობის კედლები დაახლოებით 1 მ სიმაღლეზეა შე-
მორჩენილი. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია აღმოსავლეთის
მხარე. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა შირიმის თლილი კვად-
რებით. დღეს იგი ერთიანად პერანგშემოძარცულია (დამუშავე-
ბული ქვები, როგორც ჩანს ადგილობრივმა მოსახლეობამ გამო-
იყენა). ბათქაშზე აღბეჭდილი ხაზების მკვეთრი კვალი ქვის წყო-
ბის სწორხაზოვნებაზე მეტყველებს. ერთნაიანი ეკლესიისათვის
უჩვეულოდ არის გადაწყვეტილი აღმოსავლეთის მხარე. ნახევარ-
წრიული აფსიდის ჩრდილოეთის კუთხეში ძალზე მცირე ზომის,
გეგმაში სწორკუთხა სათავსოა მოწყობილი, რომელსაც პატარა
სარკმელი აქვს. საკურთხეველში მალაღი, კარგი პროპორციების
მქონე სარკმელია გაჭრილი. ძველს გარს უვლიდა გალავანი, რომელიც
ფრაგმენტულადაა მოღწეული.

ნანგრევებად ქცეული და შემოძარცული ზოგიშის ძველი
ეკლესია მეტად შთამბეჭდავია.

სოფელ ზოგიშის სამხრეთით, მთის წვერზე დგას ახვედ-
დიანების ციხე. მას ირგვლივ დამრეცი, ტყიანი ფერდობე-
ბი აკრავს. საერთო გეგმარების გარკვევა ძნელდება, ვინაიდან
ციხის ნანგრევები ეკალ-ბარდითაა დაფარული. კლდოვანი თხემის
ფართობი (დაახლოებით 30 X 10 მ) გალავნითაა მოზღუდული,
რომელიც ჩრდილოეთით, რელიეფის გამო მრუდ, ტალღისებურ
ხაზს ქმნის. ამ მონაკვეთში კედლის სიმაღლე ზოგან ხუთ მეტრს
აღწევს. სწორხაზოვანი, მტკიცე წყობა ამოყვანილია უხეშად
დამუშავებული კლდის ქვით ბათქაშზე. გალავნის შიგნით, ორგან,
კოშკის ნაკვალევი შეიმჩნევა. შემორჩენილია წყლის სწორკუთხა
რეზერვუარი შიგნით ორკალთიანი გადახურვით. წყალი ახლაც
დგას და ამბობენ პერიოდულად თავისით გროვდებაო. ციხის ტე-
რიტორიაზე მიწაში რამდენიმე ქვევრიც არის ჩაფლული.

ნანგრევების მასშტაბურობა ამ სათავდაცვო ნაგებობის სიდიდე-
სა და სიძლიერეზე მიუთითებს. ახვედდიანების ციხე შესაძლოა
ადგილობრივი ფეოდალის სადგომი ყოფილიყო. ხალხური გაღმო-
ცემით თავადი ახვედდიანები (ყოფილან აზნაურებიც, გლეხე-
ბიც) ცხოვრობდნენ ცაგერში, ზოგიშსა და აჭარა-აღბანაში. 1669
წლის ჭყონდიდე-ცაგერლის განჩინების წიგნში მოხსენიებულია
ლენხუმის ბატონი ხოსია ახვედდიანი. ეგების ციხის დღევანდელი
სახელი ამ ისტორიულ პირთან იყოს დაკავშირებული, თუმცა
ციხე უდავოდ უფრო ადრეული ჩანს.

აქვე ვზა ვადის ორხვისა და დღნორისისაკენ მიმავალი. ციხესთან ახლოს, მინდორს, რომელიც შამბნართ არის დაფარული ნასახლარებს ეძახიან. გადმოცემით აქ ძველად ეკლესია მდგარა.

ლაბეჭინის მერე ვაბრიელ მოძღვარი ყველაზე მეტ მზრუნველობას არპანისადმი იჩენს, რაც გვაფიქრებინებს ამ სოფლის საყდრის ლაბეჭინის ეკლესიისადმი დაქვემდებარებას. აქ მას აუშენებია ეკლესია, შიგნიდან მოუხატვინებია და მოუკაზმავს, ხატები დაუსვენებია, წიგნები შეუწირავს; „ბელენი ახლად გამოცვალენ, სამნი ახალია და ორი ძუძლი. ჩემითა ფასითა მიყიდი. ჭურმარანი შევკაზმენ, ოთხნი კარგნი საწნახელნი დაედვენ ... და ზედა აქუს ქვითკირისა სახლი საკაცე და საპირუტყუშ“; აქვე გაუმართავს საქვაბე, სამჭედლო, სახლში კი, იქ სახმარი ჭურჭელი დაულაგებია. „გარშემო რაჲცა ზღუდენი არიან და ზღუდეთა შიგნით რომელ ვენაენი და ნაშენებნი არიან, იგიცა მე მიშენებიაო“ მოგვითხრობს ვაბრიელი.

ალპანა ახლა სოფ. აჭარასთანაა გაერთიანებული. ეს უკანასკნელი მოგვიანებით დასახლებულა ძველი არპანის მიწებზე, ლავჯანურისა და რიონის შესაყართან. ალპანის ჩრდილოეთით, კონჩხის მთის დიდრონი ხეებით დაბურულ ქედზე, რამდენიმე სალოცავისა და ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი. ალპანისა და აჭარის ამ საერთო სალოცავს შხუ დალას ეძახიან. ამბობენ აქ სასაფლაოც იყო, ხოლო სამხრეთით — ნასახლარებიცო ... ისინი ახლა აღარსადაა. შესაძლოა ალპანის ამ ძველი უბნის სახელი იყო შხუდალა, რომელიც ახლა სალოცავსდა შერჩა. აქაური ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა ყოფილა, გიორგობას ნ/ვ დღესასწაულობენ, იხდიან ხვამლობასაც.

მცირე ზომის, ერთნაიანი ეკლესია ძლიერ დაზიანებული სახით არის ჩვენამდე მოღწეული. იკითხება სწორკუთხა გეგმა. ნაგებობა აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. საკურთხეველი ერთი საფეხურით არის ამალღებული. რამდენიმე რიგად დაცული კედლის წყობა ამოყვანილია დიდი ზომის, თეთრი ფერის კლდის ქვით, ხოლო გარედან მოსაპირკეთებლად, შიგნით კარის წირთხლებისა და აფსიდის ამოსაყვანად გამოყენებულია კარგად გათლილი შირიმი.

ეკლესიისაგან დასავლეთით, 15 მ მოშორებით, დარჩენილია დიდი ზომის, სწორკუთხა გეგმის, გაურკვეველი დანიშნულების მქონე ნაგებობის ნაშთი, რომელიც აგრეთვე კლდის ქვით იყო აშენებული. ეკლესია და სწორკუთხა ნაგებობა საერთო ვალაენით ყოფილა შემოზღუდული.

აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მ მოშორებით დგას ქვის სვეტი სასანთლე ნიშათი. აქაც სალოცავი ჩანს.

ნანგრევების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვითაც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ის ეკლესიაა, რომელზედაც გაბრიელი წერს. ჯერ ერთი, აქ სხვა უფრო ძველი და მნიშვნელოვანი სალოცავი არსადაა; არც ისაა აუცილებელი ყველა ეს ბელელ-საწინახელი, საპირუტყვე სახლი, საქვაბე და სამჭედლო უსათუოდ საყდრის სიახლოვეს ყოფილიყო; მას ისინი სოფელშიც შეიძლებოდა პქონოდა, ან ამავე ქედზე, სადმე მოშორებით. საამისო პირობები რომ იყო, ახლა ტყედ ქვეულ დავაკებაზე, ჩანს ტოპონიმიში: სახნავებია — კონჩხივაკე, საკიბია, ბოსელა, ჭყონიყანები; ასახელებენ: ნაკარვალს, ნაჯიხურებს, სასახლეებს, ბერიკლდეს, ქვაბისკარს. რაც შეეხება მოზრდილი შენობის ნანგრევს ეკლესიასთან, შესაძლოა, ის იყოს „ქეთვიკირის სახლი საკაცე“ ლაბეჭინელ მოძღვარს რომ აუშენებია.

თავისი ნამოღვაწარის ჩამოთვლის შემდეგ, გაბრიელი გადადის არბანიდან შემონაწირ მამულზე (ასეთია მისი თხრობის წესი): „მანდა ზეგანთა ციხისა კერძოთა კაცთაგან ვენაგნი იყუნეს, იგი აქა მკუდართათჳს ეკლესიასა მოაგსენეს და არს იგი“. აღბანასთან („მანდა“) „ზეგანთა ციხე“ მხოლოდ პეტეკარის ციხე შეიძლება იყოს — ადგილობრივებმა სხვა არც იციან, არც ტოპონიმიში ჩანს.

პეტეკარის ციხე სწორედ იმ ქედის დაბოლოებაზეა, რომელზედაც მხუდალა მდებარეობს, ოღონდ კლდესა და ქედს შორის მკვეთრად დაცემული ვაკობია ვენახებითა და სიმინდის ყანებით. ციხისაკენ გზა აჭარიდან ამოდის, რომელიც მის ძირში მარცხნივ უხვევს და მხუდალასაკენ მიმავალ აღმართს მიყვება. ციხეზე მისასვლელში კლდეკარია გაჭრილი ურმის სიგანეზე, რომლითაც გავდივართ სამკუთხა ფერღზე. მის წვერზე კოშკის ნანგრევია და ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი, თითქოს ორკალთიანი გადახურვით. იქვე კლდეში ქვევრი ჩაუშენებიათ. მის გვერდით წყლის ისეთივე გადახურული აუზია, როგორიც ლეჩხუმის სხვა ზემოაღწერილ ციხეებში შეგვხვდა: ორკალთიანი გადახურვა, კვადრატული ჩასასვლელი სახურავიდან და ბუნებრივად დაგროვილი წყალი, რომელიც არასოდეს არ შრება. ციხე სოფელს და რიონს დასცქერის ზევიდან.

კოშკის დაბლა, სოფლის მხარეს გაშლილი ტერასებია, სადაც საცხოვრებელი სადგომები უნდა ყოფილიყო. აქ, ერთ სიმაღლეზე, დაახლოებით 10 ქვევრია ჩამარხული; არ ჩანს, რომ მათ რაიმე ნაგებობა აერთიანებდეს. მათ შორის არის ქვევრი ორმაგი კედლით

(თითქოს ერთიმეორეში ჩასმული...), რაც ლეჩხუმის სხვა ციხეებშიც გვხვდება.


საპირისპირო, ჩრდილოეთის მხარეს, კოშკი ზევიდან დაძველებულ რებს და აკონტროლებს შხუდალასაკენ მიმავალ ბილიკს. ვეგების სწორედ ამ გზის ორივე მხარეს არსებული ვენახები შესწირეს ლაბეჭინის ეკლესიას, გარდაცვლილთა მოსახსენებლად. ყანების განაპირას სალოცავს მიუთითებენ. ნანგრევები აღარ ჩანს, უზარმაზარი რცხილაა მხოლოდ ხელუხლებელი. შესაძლოა შხუდალას მიმავალ გზაზე, მლოცველები ჯერ აქ მოდიოდნენ. ლაბეჭინის ეკლესიასთან მისასვლელშიც არის ასეთი სალოცავი ცაცხვებში; ეს „ჯვარი“ უნდა ელოცათ ეკლესიაზე ასვლამდე.

ვახუშტის სიტყვით „რიონზედ არპანს ძევს ხიდი“, რომელიც ახლა აღარ ჩანს, მაგრამ ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ პუნქტის დიდ მნიშვნელობაზე და ვზასაყარზე, რიონისა და ლაჯანურის ხეობებს რომ მიყვებოდა. იგი სოფ. აჭარის მიდამოებში უნდა ყოფილიყო სადღაც. სოფ. აჭარას გიულდენშტედტი იხსენიებს 1772 წ. ლეჩხუმის დასახლებული პუნქტების ჩამოთვლისას. ვახუშტი კი მას არ იცნობს. არ ჩანს ეს სოფელი უფრო ადრინდელ ლეჩხუმურ საბუთებშიაც. ფიქრობენ, რომ ზესტაფონის რაიონში არსებული სოფ. აჭარის მსგავსად, ალბანასთან მყოფი სოფელიც შექმნილია აჭარიდან გადმოსახლებული მოახალშენების მიერ, სამხრეთ საქართველოში თურქთა მოძალების შემდეგ [35].

სოფელ ჭაშლეთის ქვემოთ, ღრმა ხევის პირას, დგას მაცხოვრის სახელობის ეკლესია. იგი წარმოადგენს მცირე ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობას. ნაშენია შირიმისა და ქვიშაქვის თლილი კვადრებით. დგას სამსაფეხუროვან ცოკოლზე. ნაგებობა შიგნით გადახურული იყო კამარით, რომლის საბჯენი თაღები ეყრდნობოდა თითო წყვილ კონსოლსა და პილასტრს.

ეკლესია გარედან სრულიად სადაა, მხოლოდ შესასვლელთა თავზეა გამოსახული წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრები. ნაგებობა რამდენიმე გადაკეთების კვალს ატარებს. გვიანდელ შეთეთრებას დაუფარავს კედლების მოხატულობა. ძეგლის ინტერიერისა და კედლის წყობის ხასიათი, ჯვრების მშრალი, ხელოსნური კვეთა ჭაშლეთის ეკლესიას განასხვავებს ხუროთმოძღვრების ადრე მოხსენიებული ნიმუშებისაგან და შემდგომ ხანაში, სავარაუდოდ XIV ს-ში აგებულად წარმოგვიდგენს.

ჭაშლეთის ეკლესიის საკურთხეველის წყობაში ჩასმული იყო ოთხი მახარებლის რელიეფური გამოსახულება. ფილების ზომებია



სურ. 16. ჭაშლეთის ეკლესია. გვეგმა.

ოთხივე გამოსახულების შესრულება იდენტურია. გლუვ ფონზე ამოკვეთილი წელზევითა ფიგურები ქვის ზედაპირის მთელ არეს ავსებენ. მათი პოზა მშვიდია. ფილებს ახლავს ლამაზი ასომთავრულით შესრულებული დიდრონი ასოები, საიდანაც ირკვევა მახარებელთა სახელები. ყველაზე უკეთ მოღწეულია მარკონის ფიგურა. იოანე მახარებლის გამოსახულება თითქმის გადაშლილია. ძლიერ დაზიანებულია კედელში ჩამაგრებული რელიეფური ფილის ზედაპირი, რომელზედაც მახარებელი მათეა წარმოდგენილი. ხოლო მეოთხე, გატეხილ ფილაზე მხოლოდ თავია შემორჩენილი. აქ მახარებელ ლუკას ფიგურა უნდა ყოფილიყო.

მახარებელთა შინაგანი ძალით აღსაესე, გასულიერებული სახეები მოცულობითი ფორმებით არის გადმოცემული. ცხოველხატული შარავანდედი, მთა-წვერისა და სამოსის დამუშავება ერთმანეთის პარალელური, მოქნილი ხაზებით დეკორატიულობას ანიჭებს რელიეფებს. გამოსახულებები ამასთან ერთად გარკვეულად მონუმენტურია. ცხადია, აქ დიდი ოსტატის ნახელავთან გვაქვს საქმე. ჭაშლეთის რელიეფები ქართული პლასტიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. სტილისტური ნიშნებით ისინი X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისის ძეგლთა შორის პო-

ვებენ აღვიღს. ამივე თარიღს იძლევა წარწერების პალეოგრაფიული ნიშნებიც.

საინტერესოა 1491 წ. ერთი საბუთი ბაგრატ II იმერთა მეფისა, რომლითაც იგი მთის წმ. გიორგის ეკლესიას მამულების შეწირულებას უახლეს: „რა გეართაც დავით აღმაშენებლისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო და ისევე ჩვენ ... ახლათ დაუმტკიცეთ და შემოწირეთ მამულნი და გლეხნი: სახაღს აგარა ... გლეხნი ჭამლათისა ჭუნჭულაძენი, ჭიშმეიძენი მათითა მიმდგომითა სამართლიანითა ასე და ამა პირსა ზედა, რომ ინასარიძეთა გვარმან ამას ზედა არა საქმე არ ქონდეს“ [32,308].

აქედან ვიტყობთ, რომ სოფ. ჭამლეთის გლეხები ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს შეუწირავს მთის წმ. გიორგისათვის. შემდეგ მათზე, როგორც ჩანს, ინასარიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს გასჩენია პრეტენზიები, XV ს. კი ისინი ისევე საეკლესიო გლეხებად გამოხდარან. საბუთი მოწმობს, რომ სოფლის სახელწოდების ძველი ფორმა ჭამლათი ყოფილა. 1772 წელს საქართველოში მყოფი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი იხსენიებს სოფელ ჭამლეთს, სადაც არის ცნობილი ეკლესია [39,325].


დერჩი ქვ. ლეჩხუმის (კლდედაღმართის) ერთ-ერთი ცენტრალური სოფელია, ადმინისტრაციული ცენტრი იყო იგი XX ს-ის დასაწყისშიაც, როცა ქვ. ლეჩხუმის 12 სოფელს აერთიანებდა [2,33].

ზემო და ქვემო დერჩი საგვარეულო უბნებადაა დასახლებული. დერჩში შემორჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნათლისმცემლის ეკლესია. რომელიც სოფლის შუაგულში, მცირე შემალგებაზე დგას. აქედან ჩრდილოეთით, ხვამლის გრანდიოზული კედლისაკენ შესანიშნავი ხედი იშლება.

ეკლესიასთან მისელისას წარმოვიდგება შვერილაფსიდიანი, ამალღებული ცენტრალური ნაწილისა და გარშემოსაღლელის მჭონე ნაგებობა. მისი საბოლოო სახე რამდენიმე ეტაპად მიმდინარე მშენებლობის შედეგი უნდა იყოს. ამასვე მოწმობს რიგი სამშენებლო თაღისებურებანი და წყობის სხვადასხვაობა. ძველი სავარაუდოდ XIV ს-ით შეიძლება იქნეს დათარიღებული.

ეკლესიის ცენტრალური სივრცე აღმოსავლეთით ღრმა, ნალისებური მოხაზულობის აფსიდით სრულდება. ეს ნაფი ვვერდითი მინაშენებისაკენ თითო ფართო თაღით არის გახსნილი; განათებულია საკურთხეაღის სამი და დასავლეთის კედელში არსებული ერთი სარკმლით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაგებში თითო სარ-

კმელია გაჭრილი. ძირითადი სივრცე, ისევე როგორც შინაშენები-
სა გადახურულია კამარით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს დასავ-



სურ. 17. დერჯის ნათლისმცემლის ეკლესია. გვემა.

ლეთისა და სამხრეთის მხრიდან. დასავლეთის სათავესო — ნარტექ-
სი სამივე ნაეთან კარით არის დაკავშირებული.

ორსაფეხურიან ცოკოლზე დამყარებული ნაგებობა გარედან
მობირკეთებულია მოყვითალო-მომწვანო ქვიშაქვის სხვადასხვა
ზომის თლილი კვადრებით და დაგვირგვინებულია თარო-კარნი-
ზით. ფასადები მოურთავია. დღეს მხოლოდ დასავლეთის სარკმ-
ლის ზედანს შემორჩა ცხოველების რელიეფური გამოსახულებები.

შიგნით ეკლესიის კედლებს მთლიანად ფარავდა მონატულობა.
იგი დღეისათვის ნაწილობრივ დაღუპულია. გადარჩენილი სცენე-
ბის ფერადოვანი გამა ჩამქრალია. მხატვრობა რამდენიმე რევის-

ტრად ნაწილდება. ცენტრალური აფსიდის კონქში ორ მთავარანგელოზს შორის, წარმოდგენილია ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი ყრმით ხელში. მის ქვემოთ „ზიარების“ ტრადიციული კომპოზიციაა, საკურთხევლის ქვედა რეგისტრში მხატვარს გამოუსახავს „მსხვერპლის თაყვანისცემა“. ძირითადი ნავის კამარაში ცენტრალური გამოსახულების ჯვრის აქეთ-იქით „ამაღლების“ სცენის ორი ვარიანტია განაწილებული. ამ რეგისტრის ქვემოთ მოცემულია შვიდი ძირითადი სადღესასწაულო სცენა: „ხარება“, „შობა“, „შირქმა“, „ნათლისღება“, „ლაზარეს აღდგინება“, „იერუსალიმად შესვლა“, და „ჯვარცმა“. მათ შორის თავისუფალ ადგილებს წმინდანთა გამოსახულებები იკავებენ. სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში მოცემულია სცენა ეკლესიის პატრონის (რაზეც ეკლესიის სახელობა მიგვითითებს) — იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან. საკურთხევლის წინ დადგმული კანკელის თაღები მედალიონებით არის შემკული. ზედა მწკრივში მახარებელთა სიმბოლოებია მოცემული. ქვევით, წმინდანთა ნახევარფიგურული გამოსახულებებია. ეს რიგი უწყვეტად გადადიოდა ჩრდილოეთ მინაშენის კანკელზე, რომელიც დღეისათვის დაზიანებულია. ამ მინაშენის კონქში „ვედრება“ წარმოდგენილი, ქვეშ კი ოთხი საეკლესიო მამა. ჩრდილოეთ კედელს ქტიტორთა რიგი მიყვებოდა, რომელთაგან დღეს მხოლოდ სამი ფიგურაა შემორჩენილი. შუაში ახალგაზრდა მამაკაცი, აქეთ-იქით კი მანდილოსნები. საერთო პირის კიდევ ერთი ფიგურაა დასავლეთის მინაშენის პილასტრზეც. წარწერა არც ერთს არ შემორჩენია.

ეკლესიის მოხატულობიდან დასვეწილი ნახატითა და მქლერი კოლორიტით გამოირჩევა ამავე მინაშენის კედლებზე გამოსახული „განკითხვის დღის“ ვრცელი კომპოზიცია. სამხრეთ მინაშენის კონქში წარმოდგენილია „საყდარი განმზადებული“, ხოლო კედლებზე სხვა სცენებთან ერთად დახატულია ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი.

ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა გვიანი ხანის შესატყვისია; რიგ სცენებში ყურადღებას იპყრობს ისეთი თავისებურებანი, რაც ამ დროისათვის არ არის დამახასიათებელი და შემოქმედის ინდივიდუალობის მაჩვენებელია. მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილი მხატვარი გონივრულად იყენებს მათ. დერჩის ნათლისმცემლის მხატვრობა XVII ს-ით თარიღდება [50,38].

ცენტრალური საკურთხევლის ზედა რეგისტრებს შორის მოთავსებული ვრცელი ორსტრიქონიანი წარწერაც ამავე პერიოდს ეკუთვნის. ძლიერი დაზიანების გამო ტექსტი სრულად არ იკით-

ხედა. ქტიტორთა სახელები არ შემორჩენილა. დაცული ფრაგმენტებიდან საინტერესო ცნობას ვიგებთ: ეკლესიის მომხატველებს მისი რომელიღაც ნაწილი სამარხად გამოუყენებიათ. აქვე იკითხება: „... და შევაგვეთ ჯვრითა, ხატითა, წიგნებითა ...“.

სოფ. დერჩი იხსენიება XII ს-ის ერთ საბუთში, რომლის მიხედვით მეფე გიორგის იგი გელათის სამეფო-სამწირველოსათვის შეუწირავს: „ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირველესა ჩუენსა ... მისითა მზღვრითა და მიმდგომითა, მითთა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა, საღვინითა, სათიბითა ... თავისუფლად და შეუვალად, ვითა სხუანი მონასტრისა სოფელნი შეუალნი არიან“ [32,50].

სოფელში რამდენიმე კოშკის ნანგრევია გვიანი შუა საუკუნეებისა. ლაბეჭინის მახლობლად მის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის სოფ. ჭყვიში. ზედა და ქვედა ჭყვიშის უბნები გვარების მიხედვითაა დასახლებული. ზედა ჭყვიშში სასაფლაოს კვირიკე ჰქვია, საკვირაო არის შუა სოფელშიც ...

ვახუშტის აღწერით, ლაჯანურას აღმოსავლეთით „არს მთას იქით ჭყვისი, მინდორსა კლდე-აშოსულსა ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი“. სოფლის აღმოსავლეთით ამოზიდულ კლდეზე მართლაც არის ციხის ნანგრევი: მას მთლიანად უჭირავს კლდის ორი ბოლო და მათ შორის მყოფი მცირე დავაკება. ამჟამად ციხე მიწასთან არის გასწორებული და დაფარულია ტყით. რელიეფზე დაკვირვებით ჩანს, რომ იგი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ყველაზე მაღალ, ვიწრო ადგილას დიდი ოთხკუთხა კოშკი იყო აღმართული. უფრო ქვემოთ შედარებით მცირე ზომის კოშკი მდგარა. ზღუდის კედელი მრგვალი ბურჯებით იყო შემაგრებული. ფრაგმენტულად გადარჩენილ კედლებში სხვადასხვა პერიოდის, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მშენებლობის ფენები შეიმჩნევა.

ჭყვიშის ციხეს ორივე მხრიდან ნაგზაური მიუყვება რიონის ხეობიდან გორმალალსკენ; თაბორისა და ლაილაშის გავლით, იგი ლაჯანურის ხეობაში გადადის, ე. ი. ჭყვიშის ციხე კეტავს უმოკლეს გზას რაჭიდან ლეჩხუმსა და სვანეთისაკენ, ასევე ლეჩხუმის გავლით ოდიშისაკენ მიმავალს. ჩანს, საზღვარზე მყოფი ამ პუნქტის სტრატეგიული მნიშვნელობა ადრინდელ კარგად იყო შეფასებული. 1802 წ. იმერეთის მეფესთან მოსულ რუსეთის მოხელეს ამ ციხის შესახებ უთხრეს, რომ სვანები დადიანს მხოლოდ მას შემდეგ დაემორჩილნენ, რაც ჭყვიშის ციხე აშენდა. საერთოდ კი, ისინი იმას ემორჩილებიან, ვისაც ლეჩხუმი უჭირავსო [36,28,66].

ჭყვიშის ციხეს 1650-52 წწ. იხსენიებს რუსეთის ელჩი იმერეთში ალექსი იევილიევი. იგი მას იმერეთის სამეფოს სხვა ციხესიმაგრეთა შორის ასახელებს [37,166]. 1766 წ. მისი მოურავი იყო გიორგი ჩიქოვანი [38,112], 1802 წ. კი — გელოვანი. 1810 წ. ჭყვიშის ციხე მეფის რუსეთის ჯარმა დაანგრია.

„დაგუიწყეთ მტერობა ... და აღარ გაგუიშუით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშირაოდ გამოგუიშუით. შუიღს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომე სრულიად სუანეთის ქუეყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს“-ო, წერდნენ სვანები XV ს. ბოლოს [8,31]. ამ უაღრესად საინტერესო დოკუმენტში პირველად ვხვდებით ლეჩხუმის ხსენებას თანამედროვეთა მიერ და ამ დროს იგი იმერეთის მეფეს ეკუთვნის.

ბერი ეგნატაშვილიც აღნიშნავს, რომ საქართველოს სამ სამეფოდ დაშლის შემდეგ, იმერთა მეფეს სხვა მიწებთან ერთად ეპყრა „ლენტეხი და თაკუერი, რომელსა აწ ჰქვან ლეჩხუმი“ [30,341].

ვახუშტის სიტყვით, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, მეფეების ძირითად სამხედრო ძალას ჰქმნიდნენ მოხვევე-მთიულები, „ხოლო იმერთა — რაჭა და სრულიად ლეჩხუმი“, ე. ი. განსაკუთრებით ლეჩხუმიო. ეს იმიტომ, რომ XVI ს-ში იმერეთის მეფემ რაჭა საერისთავოდ მისცა შოშიტა ჩხვიძეს, ლეჩხუმი კი, „იყო ტალანი იმერთა მეფისა“ — მისი დარაჯი, მცველი. იმერეთის სამეფოს მეოთხე სადროშო იყო ლეჩხუმი და ოკრიბა — „მეფისა თანა მყოფნი“ [1,22,162,157].

ბალსზემო სვანეთისა და ჯაფარიძეთა სასისხლო საქმის წიგნი, რომლის ამონაწერი ზემოთ მოვიტანეთ, კარგად აჩვენებს, რომ რაჭასთან ერთად ლეჩხუმი იყო ის პირველი მხარე, სადაც სვანები საჯამაგიროდ, სამუშაოდ დადიოდნენ. ჯაფარიძეთა მიერ 7 წლის განმავლობაში გზადახშულებს, გასაჭირი ველარ აუტანიათ, 400 საბალნე ცხენს 800 კაცი წამოჰყოლია; „ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც საჯაჭრო გუახლდა გავყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ლუინო და წამოვედით“. აქ კარგად ჩანს რა უნდოდათ სვანებს ლეჩხუმში: ესაა საკუთარი საჯაჭრო საქონლის გაყიდვა, ლეჩხუმიდან კი ძირითადად ღვინის წაღება. ღვინო ხომ აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო ქრისტიანული მღვდელთმსახურებისა (ზიარება).

სვანების მოსისხლე ჯაფარიძე სარგისი, რაჭის უძლიერესი ფეოდალი მარტო არ იყო ამ ბრძოლაში, მის გვერდით იყვნენ სხვა თავადებიც. „თავი მორჭმული გვეგონა, აღარას მოველოდით — გუნაგრძობენ სვანები — თურმე კუჭაიძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გუყუა. როგორც ჩვენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს თქვენთვის კაცი გამოგვზავნა“. ყველაფრიდან ჩანს, რომ კუჭაიძე და ლაშხიშვილი ლეჩხუმ-სვანეთის საზღვართან მყოფი ფეოდალები არიან; თან ლაშხიშვილი ლაშხეთის თემიდან გადმოსასვლელის სიანლოვესაა, კუჭაიძე კი — ცხენისწყლის ხეობაშია; ისინი კარგად იცნობენ თავის საბატონოში გამავალ გზებზე არსებულ ვითარებას. ლაშხიშვილები XV ს-ში ლაშხეთის თემში ბატონობდნენ [40,9], მოგვიანებით ლეჩხუმში ჩანან. „საკუჭაიძო“ კი XVII ს-ში „საცაგერლოს“ ესაზღვრებოდა [41,72] ცხენისწყალზე და შეიძლება ვიფიქროთ, ადრეც ასე იყო.

სასისხლო საქმის წიგნიდან ჩანს, რომ სარგის ჯაფარიძეს „სრულიად რაჭუელნი“ შეუყრია, უჩუმრად წინ დახვედრია სვანებს, უკან კი კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე დასხმიან თავს. სვანები დამარცხებულან, 400 კაცი დაღუპვიათ, 400 საპალნე ღვინო მათთვის წაურთმევიათ და გადარჩენილები დაუტყვევებიათ.

თავადური გვარების ჩამოთვლისას ვახუშტი ლეჩხუმიდან არავის იხსენიებს. ინასარიძესაც რაჭაში ასახელებს, თუმცა XVII ს-ში საინასარიძო უეჭველად ლეჩხუმის აღმოსავლეთითაა და ადრეც ასე უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ლაბეჭინელის ჩანაწერი მოწმობს. ილაჯგაწყვეტილ სვანებს, დადიანის მეშვეობით იმერეთის მეფისათვის ჯაფარიძესთან შუამდგომლობა უთხოვიათ: ალექსანდრე მეფეს უპასუხია: „ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო; თუ ჯაფარიძის სისხლს გარდინდიანო, სუანთ გზას მიეცემო ...“ თუ არა და „ჯაფარიძენი ... მწუხედ მძღაერნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგუიანო“.

აქ კარგად ჩანს, რომ მიუხედავად რაჭა-ლეჩხუმის იმერთა მეფისადმი კუთვნილებისა, ჯაფარიძენი იმდენად გაძლიერებულან, რომ შეიძლება რაჭველნი და ლეჩხუმელნი მეფეს „დაუკარგოს“, ე. ი. მისი მორჩილებიდან გამოიყვანოს. სარგის ჯაფარიძეს ეს მხოლოდ ლეჩხუმელ თავადებზე დაყრდნობით შეეძლო, ესენი უნდა ყოფილიყვნენ კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე.

XVII ს-ის ჯვარ-ხატების წარწერებში, საბუთებსა, თუ მინაწერებში თანდათან ჩნდება ფეოდალური საგვარეულოები ყიფიანებისა, ახვლედიანებისა, გელოვანებისა ... 1651 წ. ალექსანდრე

იმერთა მეფის ფიცის წიგნში მის უახლოეს თავადთა შორის დასახელებულია ინასარიძე ქაიხოსრო, ლაშხიშვილი ხოსია და ცავარელი ეპისკოპოსი. ამავე დროს, რუსი ელჩების მიერ ჩამოთვლილ ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეთა შორის ჩანს გელოვანებისაც [37,166—7, 174—5].

ხოსია ლაშხიშვილი იყო „თავი ლეჩხუმისა“; იგივე შესაძლოა ყოფილიყო „დიდი ბაიარი ჩვენი სარდალი ხოსია“, როგორც მას იმერთა მეფე უწოდებს რუსეთის მეფისადმი ვაგზავნილ წერილში [42,207—10].

1654 წ. ერთ საბუთში ალექსანდრე იმერთა მეფე მიმართავს გიორგი და ხოსია ახვლედიანებს: „თავდადებით ნამსახური იყავით ... ვიბოძეთ ღვირიშის ციხე და ღვირიშის შემავალი კაცი სოფელი სრულად. აგრეთვე ცხუკუშერი სოფელი ხელშეუალად“ და 4 კომლი გლეხი ტვიშს; იგივე ხოსიაზე უნდა გვაუწყებდეს 1669 წ. საბუთი: ახლა ლეჩხუმის ბატონი ხოსია ახვლედიანი არის“ [41,63—4,72—3].

XVII ს-ის მეორე ნახევარში ლეჩხუმის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ რიონის ხეობის მონაკვეთზე უკვე არსებობს „საინასარიძო“, ე. ი. ინასარიძეთა სათავადო: ამას ამტკიცებს მარტვილის ფრესკის წარწერა 1681 წ., სადაც იხსენიება „ლეჩხუმის და საინასარიძოს და სალიპარტიანოს პატრონი [4,76]. 1701 წ. ერთ საბუთში კი დასახელებულია „ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელი, ლეჩხუმისა და საინასარიძოს მჭირავ-მქონებელი“ [41,86]. მაშასადამე, საინასარიძო ისეთი მოცულობის და მნიშვნელობის ყოფილა ლეჩხუმში, როგორც სალიპარტიანო ოდიშში. საბუთების მიხედვით, ინასარიძეთა ყმა-მამული ჩანს ზოგიშში, ჭაშლეთში, საჩხეურსა და წუგნაში; მათივე იყო ლეხიდარსა და ჯვარდამწვარს შორის „რაც სარჯულავი და მოსაკრეფელობა მოვიდოდა“ (ე. ი. გადასახადი) და სხვ. ხალხური გადმოცემით კი XVII ს. 70-იან წლებში გიორგი ინასარიძეს ეკუთვნოდა ლეჩხუმის სოფლები რიონის ხეობაში ასკის წყლიდან იმერეთ-ლეჩხუმის საზღვრამდე. გიორგი ინასარიძე და მეუღლე მისი ანა ჩხეტიძის ქალი აშენებენ ლაბეჭინის ეკლესიის ეკვდერს, სადაც დაიმარხა კიდევ გიორგი ინასარიძე [43,122-7].




გვიანი შუა საუკუნეების ლეჩხუმის ძეგლებიდან ერთ-ერთი საყურადღებოა გუდულაშის წმ. გიორგის ეკლესია. იგი სოფელ უსახლოს, ხოჯს უცხერს, ნასპერსა და ღვირიშს შორის აღმართულ მთის წვერზე მდებარეობს და მათ საერთო სალოცავს წარმოადგენს. საშუალო ზომის ნაგებობა თირის ქვის ფილებით მოგებული, ოვალურ მოხაზულობის მოედანზე დგას. ჩრდილო-დასავლეთით დარჩენილი ნანგრევები კარიბჭისა უნდა იყოს. სამხრეთ-დასავლეთით, მოშორებით, სწორკუთხა ნაგებობის კვალი გაირჩევა.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება. ნახევარწრიულ, ფართოდ გაშლილ აფსიდაში აღმართულია ტრაპეზი სივრცის გადახურავი კამარის საბჯენი თალები პილასტრებზე ყოფილა დაყრდნობილი. ისინი მცირედ არის გამოსული კედლის სიბრტყიდან. აღმოსავლეთით გაჭრილი სარკმელი სწორკუთხაა, მეორე — თაღოვანი მოხაზულობის, ჩრდილოეთ კედელშია. ერთადერთი კარი დასავლეთით არის მოწყობილი. იგი გარედან ვიწრო და სწორკუთხაა, მაღალი ზღურბლით, შიგნით კი თაღით არის დასრულებული. გრძივი კედლების ვასწვრივ ჩამოსაჯდომი საფეხურია. კედლებს მალა თარო შემოსდევს, რომელიც გვიან მოწყობილი ბრტყელი გადახურვისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ერთსაფეხურიან ცოკოლზე მდგარი ეკლესიის საღა ფასადების ერთადერთ მორთულობას, აღმოსავლეთის სარკმლის წყველი ლილვით გაფორმებული საპირე და მარტივად პროფილირებული კარნაში წარმოადგენს. საშენ მასალად გამოყენებულია ერთმანეთზე კარგად მორგებული ქვის კვადრები. თლილი ქვის ყოფილა კარიბჭე და ეზოს ფილაქანიც.

ამავე პერიოდისა უნდა იყოს გალაგნიანი კოშკი სოფ. ლეშკაშში, რომელიც შორიდანვე ლამაზად მოჩანს. იგი ლაჯანურის მარცხენა შენაკადი ღელის შუა წელზეა, მის მარჯვენა სანაპიროზე. ამ ხევს ახლა ციხიანდელეს უწოდებენ.

ციხე მაღალი კოშკისა და გრძელი გალაგნისაგან შედგება. ოთხკუთხა კოშკი (7,4 X 7 მ) ოთხსართულიანია. ნაშენია ყორე ქვით მოჭარბებულ კირის ხსნარზე. ნაგებობაში მოხვედრა ციხის ეზოდან არის შესაძლებელი. კარი მაღლაა მოწყობილი, მეორე სართულის კედელში. სართულშუა გადახურვები ჩატკეულია და მისი ნანგრევები კოშკის ქვემო ნაწილს აესებენ. პირველი სართულის გადახურვა ქვისაა, ჩანს ორკალთიანი უნდა ყოფილიყო. ზედა სართულების გადახურვები ხის ძელებით იყო მოწყობილი. მეორე

სართულის კედლებში სათვალთვალო ღიობები და შეისრულთაღიანი თახჩაა მოწყობილი. ზედა სართული საბრძოლო იქნებოდა.



სურ. 18. ლეშკაშის ციხე. კოშკის II და III სართულის გეგმა.

კოშკის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კუთხეებს ერთვის გალაგანი, რომლის კედლები ზედ ამოსული მცენარეებით არის დაფარული. ჩანს, იგი დიდ ტერიტორიას საზღვრავდა. ციხის ეზოში რამდენიმე ქვევრია, შეინიშნება აგრეთვე ნაგებობის ნაშთები. ციხის ნანგრევები თანადროული უნდა იყოს და ყველა ნიშნით გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

რუსი ელჩების მიერ 1650—52 წ. ჩამოთვლილ ლეჩხუმის ციხეთა შორის დამახინჯებით ჩაწერილი „აშეკაშ“ ლეშკაში უნდა იყოს; „ლეშკაში ციხე ლაჯანურაზე“ იცის გიულდენშტედტმაც. ახლა იქ ნასოფლარია, რომელსაც ვენახებად იყენებენ ლაჯანაში აქედან გადასული მოსახლენი. ხევეალმა, მარცხენა ფერდზე გოგებაშვილთა ნასახლარია. იქვე, სოფლის საჯვარეზე ახლა მუხებია, ადრე ნაეკლესიარი ყოფილა, სადაც ელიობას დღესასწაულობდნენ მაისში.

ლეშკაშში უცხოვრიათ ჩაჩხიანებს, ყვირილიანებს, გოგებაშვილებს. აქედანვე უნდა იყოს გვარი ლეშკაშელი, შესაძლოა სწორედ ამ კოშკის მფლობელი ...

ლეჩხუმის ეკლესიათა შორის დღეს რამდენიმესლა შემორჩა მონატულობა და ყველაზე უკეთ იგი ნაკურალეშისეკლესიაშია დაცული. ნაგებობა სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე დგას. მის გვერდით უზარმაზარი, ასწლოვანი ცაცხვის ხე აღმართული, რომელზედაც ხის სამრეკლო ყოფილა მიშენებული. ამჟამად იგი აღარ არსებობს.

ნაკურალეშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია საშუალო ხუროთმოძღვრების დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს. აშენებულია ყორე ქვეით, შიგნიდან და გარედან შეღესილია. ფსაღები სრულიად მოკლებულია მორთულობას. ეკლესიის შიდა, მაღალი და ხალვათი სივრცე კამარით არის დასრულებული. საკურთხეველი განათებულია სამი სარკმლით. იგი ღრმაა და უსწორო მონახულობის.

ეკლესიის კედლები შიგნით მთლიანად დაფარულია მხატვრობით, რომელმაც დღემდე მცირე დაზიანებებით მოაღწია. მხატვრობა XVII ს-ის ქართული მონუმენტური ფერწერის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. რელიგიური სიუჟეტების ამსახველი სცენები ტრადიციული სქემის მიხედვით არის განლაგებული. საკურთხეველის კონქში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით, დაბლა ზიარების სცენაა, ქვედა რიგში ჩვეულებისამებრ ეკლესიის მამათა ფიგურებია. დანარჩენი კედლების ზედა რეგისტრები საუფლო სცენებს აქვს დათმობილი. ისინი სამხრეთიდან დასავლეთისაკენ ასეთი თანამიმდევრობით იკითხება: „ხარება“, „შობა“, „ნათლისღება“, „მირქმა“, „ფერისცვალება“, „იერუსალიმში შესვლა“, „ჯვარცმა“, „ვოჯოხეთის წარმოტყვევნა“ და „ამაღლება“. დასავლეთ კედლის ქვედა ნაწილში წმ. გიორგის „ცხორების“ სცენებია. კარის მარჯვნივ დიოკლეთიანეს მიერ წმ. გიორგის შეპყრობაა გამოსახული, ხოლო მარცხნივ წმ. გიორგის მიერ გველეშაპის ვანგმირვა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლის ქვედა რიგში, მთელი ტანით წარმოდგენილი დიდი ფიგურების მწკრივი: „მთელი სახლობა ჩიქვანთა გვარისა, რომლიღვანაც მომდინარეობენ უკანასკნელნი სამეგრელოს დადიანები“ [4,73]. ისტორიულ პირთა პორტრეტებს მათი ვინაობის აღმნიშვნელი მხედრული წარწერები ახლავს. ჩრდილოეთ კედელზე მღვდელმთავარი „საყდრის ამის აღმაშენებელი ჭყონდელი ჩიქოანი გაბრიელ“ არის გამოსახული ეკლესიის მოდელით ხელში. მის მარცხნივ — ახალგაზრდა მღვდელმთავარი „ცაგერელი ჩიქუანი სვიმონ“ და ცოლ-ქმარნი: ჩიქუანი ბაკა და ჩარკვიანის ქალი ხვარამზე. „ლენხუმისა და სალიპარტიანოს პატრონი, ოდიშის თავადი. . . ჩიქუანი ბატონი კაცია“ გამოსახულია სამხრეთის კედელზე. აქვეა მისი მეუღლე, „ქართლისა ერისთავთ-ერისთავის ასული ბატონი თამარ“. გვერდით კი ქაიხოსრო ჩიქვანისა და ლაშხიშვილის ქალის, ქეთევანის პორტრეტებია. ფრონტალურად მდგომი ფიგურები ვედრების პოზაში არიან გამოსახული.

დაკანონებული სქემის თანახმად გადაწყვეტილ საუფლო სცენებში, გვიანი ხანისათვის დამახასიათებელი გრაფიკულობა და წე-

რის ერთგვარი სიმშრალე იჩენს თავს, თუმცა კი თავისთავად მოხატულობა საინტერესოა და მიმზიდველი. საერო პირთა პორტრეტების შესრულების მანერა შედარებით თავისუფალია, ხოლო ფერადლოვანი გამა ნათელი.

ეკლესია მოხატული ყოფილა არა მხოლოდ შიგნით, არამედ გარედანაც. ფსაღის ამგვარი ვაფორმების ერთეული ნიმუშებია მოლწეული. დასავლეთ კედლის ზედა ნაწილში მოთავსებული სცენა თითქმის წაშლილია. იგი საიდუმლო სერობას უნდა გამოსახავდეს.

ნაკურალეშის ეკლესიის თარიღს არქიტექტურისა და მხატვრობის თავისებურებების გარდა, აქ გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობაც აზუსტებს. ძმები — გაბრიელ ჭყონდიდელი და კაცია ჩიქვანი ცნობილი მოღვაწენი არიან. ღარიბი გორდელი აზნაურის შვილებმა თანდათან შეძლეს ძალაუფლების მოპოვება. გაბრიელ ჭყონდიდელი ლევან III დადიანთან დაახლოებული პირი იყო. ძმის საშუალებით მოახერხა განდიდება კაცია ჩიქვანმა, რომელსაც ჯერ სალიპარტიანოს ბატონობა უბოძეს, ხოლო მოგვიანებით სადადიანოს ვეზირობა. ვახუშტი ბაგრატიონი მას ასე იხსენიებს — „კაცი მხნე და შემძლებელი საქმეთა“. 1680 წელს, ლევან III დადიანის სიკვდილის შემდეგ ოდიშის სამთავროს, დადიანობაზე მეოცნებე კაცია ჩიქვანი განაგებდა. 1681 წელს კაცია უკვე გარდაცვლილი ჩანს, ვინაიდან ძალაუფლების სათავეში მისი შვილი გიორგი ლიპარტიანია. ამრიგად, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესია XVII ს-ის სამოცდაათიან წლებში უნდა იყოს აგებული და ფრესკებით შემკული.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ხის, ორფრთიანი, ლამაზად მოჩუქურთმებული კარი, რომელიც ნაკურალეშის ეკლესიიდან არის გადმოტანილი.

1772 წ. გიულდენშტედტი იხსენიებს სოფ. ნაკურალეშს „იქვე დიდ ეკლესიას“ [39,327]. ნაკურალეშის ეკლესიას, ლეჩხუმის სხვა მნიშვნელოვან ეკლესიათა მსგავსად, ჰყოლია თემი — საყდრიშვილთა კრებული, რომელიც მოსახლეობაში ღვთისმსახურებას ეწეოდა. 1660 წლის საბუთიდან ჩანს, რომ დედოფალ ნესტანდარეჯანს ალექსანდრე მეფის სულის საოხად ალაბი განუწესებია: „აწი ეს ალაბი არას წელიწადსა არამ ცაგერელმა არ მოშალოს, მარიამობას დღეს თვითან ცაგერელი ჟამს სწირავდეს მისის კრებულით, ცხუკუშერელს, ნაკურალეშელს, ლახეთელს, ამ სამს თემს შეყრიდეს და ხუცესს ჟამს აწირვინებდეს, შეყრიდეს ამ თემებს და ასობდეს, აჭმევდეს, კურთხეულის მეფეთმეფის ალექსანდრეს სუ-

ლისათვი შენდობას ათქმევინებდეს, იმ სუცებს საწირავს მისცემდეს და არას ცაგვრლისაგან ეს აღარ მოიშალოს“ [5,14].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „ცხენის-წყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკვერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად“. დეხვირი სოფელია შუა ლეჩხუმის სერზე, რომელიც ცხენისწყალ-ლაჯანურის ხეობათა გამყოფია. აქ ახლა ციხე აღარაა, ჩანს ერთი ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი და ორ-სამ ადგილას ნაკოშკარები.

კოშკების ეს ერთობლიობა დეხვირის გარშემო, როგორც ჩანს მთლიან სისტემას ქმნიდა, რომელიც აკონტროლებდა ცხენისწყლიდან ლაჯანურისა და რიონის ხეობებში გარდამავალ ყველა გზა-ბილიკს. ამით იგი გაბატონებულ მდგომარეობას იჭერდა და გვიან შუა საუკუნეებში ლეჩხუმის ცენტრიც აქ უნდა ყოფილიყო. ეს იქნებოდა „ლეჩხუმის თავის“, „ლეჩხუმის ბატონის“ ძირითადი საყრდენი. მის მპყრობელს დაემორჩილებოდა მთელი ლეჩხუმი.

თვით დეხვირის ციხეს რომ საკუთარი „ქვეყანა“—სადეხვირო ჰქონდა ზედ მიკრული სოფლებისაგან შემდგარი, ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

რუსი ელჩების მიერ, ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეთა ჩამოთვლა 1650-52 წლებში დეხვირის დასახელებით იწყება. 1772 წ. გიულდენშტენდტი იხსენიებს დეხვირის ციხეს და მის განთქმულ ეკლესიას, რომელიც მცხეთა უნდა იყოს [39,327]. 1802 წ. იმერთა მეფისა და დადიანის ომში ჩანს დეხვირის მეციხოვნე ბეჟან ყრუაშვილი. მაშინდელი ალყის დროს გამოუთხრიათ კედელი და ციხის ნახევარი დაქცეულა [28,188-93]. დეხვირის მსგავსად ცალკე მდგომი კოშკები გვიან შუა საუკუნეებში აუგიათ უცხერსა და ნასპერში.

როგორც უკვე აღინიშნა, ლეჩხუმის უძველეს ციხეებში მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მთავარი კოშკის მოთავსება შემოზღუდული ტერიტორიის შიგნით; უფრო მოგვიანებით შეინიშნება მთავარი კოშკის განაპირება სამი მხრიდან მიუდგომელ ადგილზე, საიდანაც უკეთ შეიძლება კონტროლი ციხესთან გამავალ გზებზე. კოშკი სამი გვერდით ზღუდის გარეთ არის გამოსული და ციხის მისადგომებს იცავს. ეს ნიშნები გამოკვეთილია ჭყვიშის, პეტეკარის და გორდის ციხეებში, რაც განვითარებული შუა საუკუნეებიდან მომდინარე მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. გვიანი შუა საუკუნეების ლეჩხუმის ციხეებში კოშკების ერთი კუთხე გალავანს გარეთ გამოდის (ლეშკაში, ზ. დერჩი).

დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება მშენებლობის ხერხები და კომპიების აგებულება. თუ ადრეულ შუა საუკუნეებში წყობა შესრულებულია თანაბარი ზომის კვადრებითა და სწორხაზოვანი რიგებით, განვითარებულ შუა საუკუნეებში კედლები სხვადასხვა ზომის ქვით, ნაკლებად მოწესრიგებული წყობით არის ნაგები, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში უხეშად დამუშავებული ნატეხი ქვით, მოჭარბებულ კირის ხსნარზე.

ადრეული შუა საუკუნეების ლეჩხუმში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში კომპიების ქვედა ნაწილები ამოვსებულია დიდ სიმაღლეზე. მოგვიანებით კი აქ სათავსო ჩნდება. ჩვენს დრომდე უკეთ მოღწეული გვიანი ხანის კომპიების ურთიერთშედარება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი მსგავსი აგებულებისა იყვნენ.

პირველ სართულს ბევრჯან ქვის, ორკალთიანი გადახურვა აქვს და ქერის კუთხეში მოწყობილი ოთხკუთხა ღიობით უკავშირდება მეორე სართულს. ნასპერის კომპის პირველი სართულის ქერზე აღბეჭდილი შეფიცვრის კვალი წარმოდგენას ვეიქმნის ამ ორკალთიანი გადახურვის შენების წესზე. კედლებში გაღებულ ოთხკუთხა ძელებზე აწყობდნენ შეფიცვრას, რომელზეც ასხამდნენ დულაბს. ასეთივე წესით აგებდნენ წყლის საცავებსაც. კომპის პირველ სართულებს სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა (შესაძლოა სადილეგოდაც იყენებდნენ). ზოგიერთი კომპის ქვედა სართულში წყართა შემოყვანილი. შესასვლელი მოწყობილია მეორე სართულზე. მესამე, საცხოვრებელი სართული ხშირად ოთხივე მხარეს გახსნილია სათვალთვალო ღიობებითა და სარკმლებით. სულ ზემო, საბრძოლო დანიშნულების მქონე სართულიდან მაშვიკულებით იცავდნენ კომპის მისაღვომებს.

ამ მხარის გამგებელთა რეზიდენციები მთავარ გზებზე იყო აღმართული. ეს რთული აგებულების მქონე ციხეები (ქვ. ზუბი, მური, ორბელი, უწვაში) შეიცავენ სხვადასხვა დამხმარე ნაგებობებს. ამ სიმაგრეთა სათავდაცვო სისტემაში შედიან გზების ჩამკეტი დამხმარე ციხეები და ცალკე მდგომი კომპები.

გალავნიანი კომპებისაგან შემდგარი ადგილობრივ აზნაურთა ციხეები შენდება, როგორც ადრეულ, ასევე გვიან შუა საუკუნეებში (შტურო, ლესარო, თაკვერელიანი, ლეშკაში, გორდი, ზ. დერჩი და სხვა).


გვიან შუა საუკუნეებში წარმოქმნილი პალატიანი კომპები აზნაურთა საცხოვრებელი სიმაგრეებია. მათი ნიმუშები ნანგრევ-

ბის სახით დარჩენილია ორხესა და ლუხვანოში. აქ ოთხკუთხა კოშკებს მიშენებული ჰქონდა ერთი, ან ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა. გალავანი არ შეინიშნება. ამავე ხანაში შენდება ცალკე მდგომი კოშკებიც (უცხერი, ნასპერი, ქვ. დერჩი).

ლენჩხუმის ფეოდალური საზოგადოების საცხოვრებელი სახლის ერთადერთი ნიმუში შემორჩენილია ს. ლაჯანაში. იგი ორსართულიან, ქვითკირის დიდ ნაგებობას წარმოადგენს.

XIX ს-ში, როდესაც აღარ იყო გარეშე მტრების შემოსევის საშიშროება, გამაგრებულმა საცხოვრისებმა დაჰკარგეს თავისი სათავდაცვო ფუნქცია. ისინი ხის აივნიათმა სახლებმა შეცვალა, თუმცა ხის საცხოვრებლის არსებობა შუა საუკუნეებშიც ჩანს: გაბრიელ ლაბეჭინელის მინაწერში სხვა ნაგებობათა გვერდით დასახელებულია „შეშის ვოდა“. ლენჩხუმში დღეს ბევრგან შეხვდებით ხითხურობის შესანიშნავ ნიმუშებს: — მოჭრელებულ აივნებსა და წნულ ნალიებს, ბელლებს, ჭიშკრებსა და პატარა წისქვილებს. ხეზე კვეთის ტრადიციას მოწმობს ეკლესიათა მოჩუქურთმებული კარებიც.

ლენჩხუმის XVIII საუკუნის ეკლესიების დიდი ნაწილი დანგრეულია და მათ შესახებ მხოლოდ ცნობებია დაცული. ამ პერიოდის საქართველოს საკულტო მშენებლობაში თავი იჩინა მოწიფუ-



სურ. 19. სპათავორის ეკლესია. გეგმა.

ლი შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ფორმებისა და განსაკუთრებით დეკორატიული მორთულობის განმეორების ტენდენციამ. სწორედ ამ ახალი მნიშვნელოვანი ნაკადის შედეგია მცხეთის

გუმბათიანი ეკლესიის არქიტექტურა და მისი დეკორი, სოფ. ლა-
ჯანაში შემორჩენილი გელოვანთა ეკლესიის სარკმლის საპირე;
აგრეთვე, სპათაგორის ეკლესია, ზემოთ აღნიშნული ლაბეჭინის
ეკლესიის სამხრეთ ფასადის განახლება და თაბორის ეკლესია-კოშ-
კი. დასახლებული ძეგლების ჯგუფს უკავშირდება ნამარნევისა და
ლაილაშის ეკლესიები, რაც ძველი ტრადიციების XIX საუკუნის
პირველ ნახევარში გადატანაზე მეტყველებს.

ლენჩხუმის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია, მცხეთის წმ.
გიორგი აგებული XVIII ს-ში, დგას მთის კონცხზე, მდინარე ლაჯა-
ნურის ხეობის მარჯვენა კალთაზე. ასწლოვანი ცაცხვებით დაბუ-
რული ეს ადგილი ხეობის თითქმის ყველა კუთხიდან იქცევს ყუ-
რადლებას.


ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს საეკლესიო
ცენტრის, დიდი მცხეთის სახელი, ლენჩხუმის ვარდა მეორდება
ოლთისის რაიონშიაც ... ამას ვარდა, ჩვენთვის ცნობილია სოფელ
ერედვში ორი ეკლესია — დაბლა მცხეთის ჯვარი და მაღლა მცხე-
თის ჯვარი; არსებობს აგრეთვე მცხეთის კვირაცხოველი და სხვა.

დღევანდელი ეკლესიის ადგილას აღრიდანვე იქნებოდა რაღაც
სამლოცველო. ამას ადასტურებს თუნდაც წმ. გიორგის ხატი XV—
XVIs-სა, რომელიც აქ უნახავს ექვთ. თაყაიშვილს. მას ხუცური
წარწერა ჰქონია: „მთავარმოწამე მცხეთისა“. მეორე აქაური
ვერცხლის ხატი მთავარმოწამისა, შემდეგ ზემო სვანეთის სოფ.
მურყემერში მოხვედრილა; XVIII ს. ნახელავს წარწერა ჰქონია:
„წმიდაო გიორგი მცხეთისაო, შეიწყალე ჳევი მცხეთისა შენსა
წინაშე შემავალი“. აქ იგულისხმება ლენჩხუმის მცხეთის ეკლე-
სიისადმი დაქვემდებარებული სოფლების მრევლი; ეს უნდა იყოს
ზემოთ აღწერილი სადღეხიროს სოფლები.

დღევანდელი ეკლესია, სიტყვიერი გადმოცემის თანახმად,
ოტია დადიანის მეუღლეს, რაჭის ერისთავის შოშიტას ასულს გულ-
ქანს აუგია. 1728 წელს „ბეჟანის წილ იქმნა დადიანად ძე მისი
ოტია“ [28,175] და მთავრობდა 1758 წლამდე, სიკვდილამდე, ხო-
ლო გულქანი 1761 წელს ისევ ცოცხალი ჩანს. ეკლესიის აშენებაც
1728—1761 წლებშია საგულისხმო, რასაც ხუროთმოძღვრული
თავისებურებანიც ადასტურებს.

მცხეთის წმ. გიორგის ეკლესია თეთრი ფერის თლილი ქვით
არის აშენებული. იგი წარმოადგენს ჯგერულ-გუმბათოვან ნაგებო-
ბას. რვაწახნაგოვანი, მცირე ზომის გუმბათი საკურთხევლის კედ-
ლებსა და ორ ბოძს ეყრდნობა. თითოეულ წახნაგში სარკმელია
ვაჭრილი. თითო სარკმელია საკურთხეველში, გვერდით სათავ-

სოფში — სადიაკვნე და სამკვეთლო, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში. მიუხედავად სარკმლების რაოდენობისა ეკლესიის ინტერიერი სუსტად არის განათებული, რაც მეტად ავლენს შიდა მასების სიმძიმესა და სივრცის სივიწროვეს. ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. საკუთხეველი ძირითადი სივრცისაგან ხის კანკელით არის გამიჯნული, რომელ-




სურ. 20. მცხეთის გუმბათიანი ეკლესია. გეგმა.

ზედაც წმინდანებია დახატული. მარჯვენა შესასვლელის თავზე წარწერაა: „ჩყაღსა [1864 წ.] წელსა აგვისტოს შვიდსა აღმართა კანკელი ესე ამავე ეკლესიის საკუთრებისაგან“.

ეკლესიის ფასადებიდან ძირითადად დეკორირებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის. მათი გაფორმება იდენტურია — ორნამენტირებული საპირით შემკული სარკმლის თავზე რელიეფური ჯვარია, ხოლო ფრონტონის კეხში ვერძის თავია ჩასმული. აღმოსავლეთის სარკმელს ისრულთაღოვანი წყვილი გრეხილი ლილევი, ვარდულების მწკრივი და ფოთლოვანი ორნამენტის ზოლი შემოუყვება. ეს უკანასკნელი გამარტივებული სახით იმეორებს ადრე გავრცელებულ რთულ ფოთლოვან მოტივს. დასავლეთის სარკმელს

ორი გლუვი ლილევი უვლის, ხოლო საპირის ბრტყელი არე მთავარანგელოზის, წმ. გიორგის, ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებით არის შევსებული. მცხეთის ორნამენტული და რე-



სურ. 21. მცხეთის გუმბათიანი ეკლესიის განაკვეთი. ხედი აღმოსავლეთით.

ლიეფური მორთულობის უპირველეს თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი დაშორება ადრინდელი პროფესიული ხელოვნების ტრადიციებისაგან და დაახლოება ხალხურ ხელოვნებასთან, კერძოდ ხეზე კვეთის ტექნიკის შეთვისება ქვაზე ნაკვეთი სახეებისათვის

[45,269]. ვასულ საუკუნეში ეკლესია შეუთეთრებიათ, შიგნიდან შეულესავეთ და სამხრეთის კარი ჯვრისებური მოხაზულობის ჩართით გაუფორმებიათ.

მცხეთის წმ. გიორგის ეკლესია ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოში მიმდინარე საკულტო მშენებლობისა. იგი ავსებს ამ პერიოდის ძეგლების მცირე სიას.

აღსანიშნავია მცხეთის ეკლესიაზე შემორჩენილი წარწერა, რომელიც გვაუწყებს კიდევ ერთი ქართველი არქიტექტორის სახელს. აღმოსავლეთის სარკმლის მარჯვენა კუთხეში გამოკვეთილია ხელი, მას მხედრული წარწერა ახლავს — „ხელი ნასყიდას, კალატოზის ქართლელის“.


ოტია დადიანისა და გულქანის მიერ ლენხუმში ფართოდ გაშლილ სამშენებლო მოღვაწეობაზე მეტყველებს აგრეთვე საირმის ძველი მონასტრის განახლება. მათ შეილს, კაცია II დადიანს (1758—1788 წლებში მთავრობდა) 1766 წ. დაუსრულებია მშობლების მიერ წამოწყებული საქმიანობა.

საისტორიო წყაროებით არ ჩანს, თუ როდიდან არსებობდა საირმის უდაბნო — ძველი მონასტერი. კაცია II დადიანის მშობლებს მხოლოდ სახელილა სმენოდათ მისი ... მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამ XX ს-მდე იარსება; შემდეგ მეწყერისა, თუ მიწისძვრის გამო იგი გააუქმეს და იქაური ნივთები ჭყონდიდის მონასტერში გადაიტანეს, რომელზედაც საირმე იყო მიწერილი.

1772 წ. გიულდენშტედი ასახელებს თაბორს. მდინარე ასკის-წყალსა და ლაჯანურას შორის მთებზე-გაბნეულია ლამაზი სოფლები: ღუ, ლაილაში, სურმუში ... აქვეა თაბორიც. წმინდა მთის—თაბორის სახელი, მრავალ სახელთა მსგავსად (სიონი, ბეთლემი, ათონი ...) ქართულ ტოპონიმიში ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგ იქნა შემოტანილი და დამკვიდრებული. სოფელს ამშვენებს განაპირას, მთის ქიმზე აღმართული კოშკის სილუეტის მქონე ნაგებობა. იგი აშენებულია შირიმის კვადრებით, მეტ-ნაკლებად სწორხაზოვანი წყობით. საშენ მასალად გამოყენებულია ჟამთა ვითარებაში დანგრეული, უფრო ადრინდელი ძეგლის საპირე ქვები.

თ ა ბ ო რ ი ს ძეგლი — ე კ ლ ე ს ი ა - კ ო შ კ ი, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან სამსართულიანია. ქვედა, ყრუ სართული აკლდამა უნდა ყოფილიყო, შუა ნაწილი წარმოადგენს ეკლესიას, ხოლო ზედა სართულს სათავდაცვო დანიშნულება აქვს. ეკლესია გარედან სხვა სართულებისაგან გამოყოფილია დაბლა ლილვისებური ცოკოლით, ხოლო ზემოთ — თარო-კარნიზის მეშვეობით.

შას თითქმის კუბური მოცულობა აქვს, გადახურულია კამარით და აღმოსავლეთით სრულდება ბრტყელი აფსიდით. საკურთხეველში გაჭრილია ერთი სარკმელი, მეორე უფრო მცირე ზომის, სამხრეთის კედელშია. დასავლეთ კედელში მოწყობილი კარი შიგ-



სურ. 22. თაბორის ეკლესია. გვერ. 6.

ნით თალით სრულდება. ნაგებობის ზედა, საბრძოლო სართული დაბალია, გადახურულია ხის ორქანობიანი სახურავით. კედლებში სათოფურებია მოწყობილი.

აღრინდელი ეკლესიის ორნამენტირებულ კარ-სარკმელთა საპირეების და სხვა დეკორის ფრაგმენტები უმეტესად თავმოყრილია სამლოცველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე. მათი განლაგებით მშენებელი ცდილა დეკორატიული კომპოზიციების შექმნას. დანარჩენ ორ ფასადზე ჩუქურთმიანი ქვები უწესრიგოდ არის გაბნეული. ნაგებობის შიგნით, კედლის წყობაში აქა-იქ ჩართულია ძველი, ფრესკის კვალშერჩენილი ქვები. საფიქრებელია, რომ ეს ნაგებობა საგვარეულო საძვალე-სამლოცველო-კოშკს წარმოადგენდა. აქ საინტერესოდ არის შეთავსებული სხვადასხვა ფუნქციის მქონე სათავსოები. ასეთი გადაწყვეტა იშვიათია, იგი დროის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი და ასახავს გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ისტორიულ ვითარებას.

ნაგებობის ჩრდილოეთით მოსწორებული ბაქანია, რომელიც თავდაპირველი ეკლესიის ნაადგილევად შეიძლება მივიჩნიოთ. მის აღმოსავლეთით გაჭრილ კლდეკარს გალავნიკარს უწოდებენ. აქ

მართლაც შეიმჩნევა გალავნის კვალი, ჩანს ქვევრები და სათავის საძირკველიც. თაბორის „კოშკში“ დაცული ძველი ეკლესიის ფრაგმენტების რაოდენობისა და დეკორის ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მისი საერთო სახის წარმოდგენა — ეს უნდა ყოფილიყო თლილი ქვით ნაგები, საშუალო ზომის მოხატული ეკლესია მდიდრულად მოჩუქურთმებული კარ-სარკმლებით. დეკორატიული ელემენტების შესრულების ხასიათი საფუძველს იძლევა მისი აგების თარიღად XIV ს. მივიჩნიოთ.

თაბორის დღევანდელი კოშკისებური ნაგებობა ხალხში ეკლესიად არის მიღებული. მას დედაღვთისას უწოდებენ, დღესასწაულობენ ხვამლობასა და კონინჯვრობას. აქ ჯერ კიდევ 1969 წელს ინახებოდა შენაწირი ვერცხლის სასამისები. მალაქუსლიან თასს მხედრული წარწერა ჰქონდა: „ქრისტე, ჯვარცმის თაბორის შეწირული უხმარი ვერცხლი მე ვავაჭედინე ლაშხიშვილმა ბახუტამ და ისევე მოგვირთმევია ჩვენის სადღენგრძელოდ, სულბის საონად და საცხოვნებლად, ამინ“. მეორე, უფრო მცირე, სახელურიან თასსაც ასევე მხედრულად ეწერა: „მღუდელი დავით ნიკოლოზის ძე ქასელაძე“. წარწერები ხელის მიხედვით XVIII—XIX სს. უნდა ყოფილიყო. ქასელაძენი თაბორში ახლაც ცხოვრობენ, ლაშხიშვილები — აღარ.

ხალხური გადმოცემის თანახმად ლაილაში, სურამში და თაბორი აზნაურ ლაიშხურს ეკუთვნოდა. მას ლაილაშისა და თაბორის მიდამოებში ციხეები ჰქონია. თვითონ თაბორის სასახლეში უცხოვრია. დადიანს გაუწყვეტია ლაიშხურები და მათ სოფლებს დაპატრონებია [2, 20]. სოფელ თაბორში მიკვლეულ იქნა სხვა სახის ჩუქურთმიანი ფრაგმენტებიც. ისინი აღრე აქ არსებულ მდიდრულად გაფორმებულ ნაგებობაზე მიუთითებს.

საყურადღებო სიძველეების შემცველია სოფ. უსახელო, ლაჯანურის მარჯვენა სანაპიროზე. ეს დიდი სოფელი ზედა და ქვედა უსახელოდ იყოფა. საინტერესოა სოფლის სახელწოდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველი სახელი დაიკარგა, დაივიწყეს, ამიტომაც ახალმოსახლეებმა უსახელო უწოდეს.

XVII ს. პირველი ნახევრის საბუთიდან ჩანს, რომ უსახელოში ერთ უბანს ზაგალეთი ერქვა. ცაგერელს აქ ყავდა საეკლესიო გლეხები: ფოჩიანი, მახალდიანი, გიორგობიანი, გოლეთიანი. აქვე მას ადგილი უყიდია და სასახლედ მოუწყვია; ცაგერელი ახსენებს „უსახელოველ თემს“, ნაკურალეშელი და ლახეთელი თემების გვერდით. მისთვის მღვდელთმთავარს დაუთმია გლეხის ბეგარა და გამოსავალი, რომ ამ თემს აღაბი გადაეხადა ცაგერელი ეპისკოპო-

სისათვის. უსახელოველის თემში აქაური ეკლესიის მსახურნი და საყდრისშვილები უნდა ვიგულისხმოთ. უსახელოში ყოლიათ აქმე-
ბი ყიფიანს, გელოვანს, კუჭაიძეს [5,9,14] XVIII ს. ერთ საბუთში
კი იხსენიება ვიორგი ჩიქოვანის ნაქონი სასახლე უსახელოში
[44,919—921].

ქვემო უსახელოში, სოფლის მოსახლის (გ. ფაღავას) ეზოში
შემორჩენილია ძველი ციხის ნანგრევი. იგი დიდი ზომის ოთხ-
კუთხა კოშკისა და გალავნისაგან ყოფილა შემდგარი. დღევანდელ-
ლი მდგომარეობის მიხედვით შეუძლებელია ციხის თავდაპირველი
სახის წარმოდგენა. სახელი — „დადეშქელიანის ციხე“, მას გვიან
აქვს შერქმეული.

მთის კალთაზე შეფენილ უსახელოს ზემო უბანს შესანიშნავი
მდებარეობა უკავია. აქედან მოჩანს ლაჯანურის ხეობის დიდი
მონაკვეთი და ორბელის ციხის მიდამოები. სოფლის სასაფლაოზე,
სადაც დღეს XIX ს-ის ეკლესია დგას ადრე სხვა ნაგებობანი ყო-
ფილა. აქაურობას „სენაკებს“ ეძახიან. წაგრძელებულ დიდ ტერი-
ტორიას ჩრდილოეთის მხრიდან დაახლოებით 70 მ-ის სიგრძის
მქონე ფრაგმენტულად შემორჩენილი გალავნის კედელი მიუყვება
და აღმოსავლეთით კონცხისებურ რელიეფს ზღუდავს. სამხრეთით,
კედლის ძირში კლდეში ნაკვეთი, დღემდე მოქმედი ძველი გზა გა-
დის, რომელიც ლაჯანას ხეობისკენ ეშვება. გზის გაყოლებით
ღრმა ხევში სახრავას წყალი მიედინება. გალავნით შემოსლუდული
მოედნის შუაგულში, შირიმის თლილი ფილებით მოპირკეთებული
კედლების ნაშთი მოჩანს. ეს კედლები ძველ ეკლესიას უნდა ეკუთ-
ვნოდეს. საფლავების სიმჭიდროვის გამო, მოსახლეებს ძველი საყ-
დრის ეზოშიც უთხრიათ, სადაც აღმოჩნდა თიხის კვადრატული ფი-
ლა ასომთავრული წარწერით: „აჰა ღმერთო გეხვეწები მონა თქვე-
ნი მომარდაშვილი სვიმონ და მეუღლე ჩემი ხეცურიანის ქალი
დარეჯან. შემოგწირე მცირე ესე შესაწირი მამული ჩუმაშს, ერთი
ცხვარი ჩემი სახლითგან ჩემს სიცოცხლეში მე ვიხადო და მას
იქეთ ამდენი ნასყიდი მამული დამრჩა, ჩემის ალაგის ბატონი ცხვრის
დაკულას მემართლება. და თუ ვინ იცის ჩემის სულისათვის ეს ერთი
ცხვარი მოშალოს, განკითხვის დღეს ჩემი ცოდვის მზღველი ის
იყოს და ეს მამული თემს უსახელოველისათვის მიგვიბარებია, ნა-
თლისდებას ჩემის სულისათვის საწირავად და მოსახსენებლად.
დახუცესი რამდენიც იქნას ამ თემს იმ დღეს ჩემი სულისათვის ჟამი
სწიროს, ნათავედი ღვინო ნაწირავად წაიღოს ხუცის თავს თითო
დორა; და რომელიც ამ ქვეყნის ხუცესი დაესწრას და იმ დღეს
ჩემთვის ჟამი არ სწიროს, და ან სოფელმან იმ დღეს შენდობა და

მოსხენება მომიშალოს, იმათამც მიეცემა ჩვენი ცოდვა, და ვისი-
თაც ეს მომეშალოს მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის პასუხის
მიმცემი ის იყოს, ამინ“.

წარწერაში დასახელებული პირები უცნობია. მამარდაშვილე-
ბი უსახელოში აღარ არიან, ხეცურიანები ისევ ცნობილები. ჩუმა-
ში, სადაც მამული შეუწირავთ ეკლესიისათვის, ერქვა ადგილს
სასაფლაოს SO მხარეს. იქვე, ხევში ჩუმაშის წყალი სოფლის სასმე-
ლი იყო. მომარდაშვილი (ხან მამარდაშვილი) გლეხი იხსენიება
XVII ს-ის ცაგერლის საბუთებში, იგი იქ ორყურუმის მცხოვრებია.

წარწერიანი ფიქალი XVIII—XIX ს-ით შეიძლება დავათარი-
ლოთ. ქვა ამჟამად ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცუ-
ლი.

* * *

XVIII ს-ის დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ლეჩხუმის
მოურავი ქაიხოსრო გელოვანი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა.
მისი სახელი ისტორიულ საბუთებში ხშირად იხსენიება იმერეთის
მეფის სოლომონისა და დადიანების საგვარეულოს წარმომადგე-
ნელთა გვერდით.


1798 წელს ქაიხოსრო გელოვანს აუგია საგვარეულო ეკლესია
მდინარე ლაჯანურის მარცხენა სანაპიროზე (დღევანდელ სოფელ
ლაჯანაში), რომელიც ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში დაანგრი-
ეს. დღეისათვის ნაეკლესიარის ადგილზე გეგმაც კი არ იკითხება.
მიწაზე დევს სარკმლის საპირე. იგი მთლიან ქვაშია გამოკვეთილი,
შემკულია გრეხილითა და ჩაკვეთილი სამკუთხედების მწკრივით.
სარკმლის საპირის დეკორის მოტივები დიდ მსგავსებას პოუბს
ხალხურ ხელოვნებასთან, ისევე როგორც მცხეთის წმ. გიორგის
ეკლესიის შემკულობა.

ეკლესიის შესახებ ცნობები შემოგვინახა ექვთ. თაყაიშვილმა
[4,39]. ეს ყოფილა დარბაზული ტიპის, შვერილაფსიდიანი ნაგე-
ბობა. საკურთხეველის გამმიჯნავ ხის მოხატულ კანკელს წარწერა
ქონია: „... სარდალ მოურავმან გელოვანმან ქაიხოსრო და მეულ-
ლემან ჩემმან დგებუაძის ასულმან როდამ აღვაშენეთ ეკლესია ესე
... და შევაშენეთ ყოვლითა სამღვდელთა და წიგნებითა და დავ-
ხატვინეთ კანკელი ... ღმერთო შეიწყალე გლახაკი და ფრიად ცოდ-
ვილი მონა შენი დავით ბეჭიაშვილი ქართველი ამინ“. აქ მოხსენიე-
ბული დავით ბეჭიაშვილი კანკელის მომხატველი უნდა იყოს. ქარ-

თველ მხატვართა და არქიტექტორთა სახელები საერთოდ ძალიან ცოტაა შემონახული და მით უფრო დასაინანია ამ კანკელის დაღუპვა. ეკლესიას დასავლეთით უფრო აღრეული ეკვდერი კქონია, რომელიც გელოვანთა საგვარეულო სამარხად ყოფილა გამოყენებული.

ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის, ჯანოულას ხეობაში მდებარეობს სოფელი ჩქუმი. მის დასავლეთით, მთის პლატოზე დგას უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია. მისკენ მიმავალ კლდოვან საურმე გზას ბზის ხეების რიგი მიუყვება. ამ მიდამოებს ნამარნევს (ნაგანებს) ეძახიან.

ხუთწახნაგა შევრილაფსილიანი, დიდი ზომის ეკლესია მოყვი-



სურ. 23. უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია. გვერდი.

თალო შირიმით არის აგებული. კედლების თბილი ფერადოვნება კარგად ეხამება გარემოს. შიგნით ყოველ ქვაა გამოყენებული, მხოლოდ კონსტრუქციულ ადგილებშია ნახმარი შირიმი. ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველში სამი სარკმელია. დანარჩენ სამ კედელში თითო სარკმელი და კარია. ეკლესია შიგნით შელე-

სილი და მოხატული ყოფილა. დღეს ბათქაში მთლად ჩამოცვენილია.

ფასადების წყობა სუფთად არის შესრულებული. ნაგებობას ირგვლივ შემოუყვება პროფილირებული კარნიში. ეკლესიის დასავლეთ კედლის შუა ღერძზე განლაგებულია კარი, სარკმელი, მის თავზე მომრგვალებულმკლავებიანი ფეხარი და სულ ზემოთ, კეხთან, ვერძის თავი. ამ შესასვლელის ტიმპანიც მოხატული ყოფილა, ფერები გაცრეცილია და გამოსახულება არ გაირჩევა. კარსა და სარკმელს შორის კედელში ქვიშაქვის აოსტრიქონიანი მხედრულწარწერიანი ფილაა ჩასმული, საიდანაც ვგებულობთ, რომ უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია აუგია დიდი თავადის, გენერალ-მაიორისა და კავალერის, ზურაბ წერეთლის ასულს — დედოფალ მართას, თავისი მეუღლის — გენერალ ლეიტენანტისა და მთავრის, ლეონ დადიანის, შვილებისა და საკუთარი სულის საოხად, 1822 წელს. სამხრეთის კარის თავზე მოთავსებულ ქვის ფილაზე იკითხება მხოლოდ „მეორისა ალექსანდრე პავლეს ძისა ...“

მართალია წარწერის მიხედვით, მონასტერი 1822 წ. დაუმთავრებიათ, მაგრამ მანამდეც რომ ყოფილა აქ რაღაც ნაგებობა ჩანს ისტორიული საბუთებიდან 1806, 1819, 1820 წლებისა; იქ მოხსენიებულია საირმისა და ნამარნევის უდაბნოები, ნამარნევის მონასტრის მოძღვარი, მონასტრის ძმობა; ყოველ ამათ ლევან დადიანი სწირავს ყმა-მამულს, შემოსავლის ნაწილს. 1828 წ. საბუთებით კი, აძლევს ერთ გლეხს ლენტეხში და უფლებას ისარგებლოს სახასო მამულით ლუხანოს მთაში [29, 126, 131, 133—5].

ლაილაში XIX ს. 80-იან წლებამდე ლეჩხუმის მასრის ცენტრს წარმოადგენდა. იმდროინდელ პრესაში იგი ქალაქად იხსენიება. საუკუნის ბოლოს სამაზრო ცენტრმა ცაგერში გადაინაცვლა. ამჟამად ლაილაში სოფელია.

ქვემო ლაილაში სასაფლაოზე დგას დიდი ზომის, დარბაზული ტიპის ეკლესია. მისი კედლები მოყვითალო შირიმის თლილი კვადრებითაა ამოყვანილი. კამარით გადახურული შიდა სივრცე მაღალია, საკურთხევლის აფსიდა ღრმაა და ნახევრად წლიური მოხაზულობის. ეკლესიაში ოთხი სწორკუთხა, დიდი ზომის სარკმელია, რომლებიც მოგვიანებით ჩანს გადიდებული. სამხრეთის ფასადზე, ფართო და ვიწრო ქვების პორიზონტალური რიგების მონაცვლეობით სუსტი დეკორატიული აქცენტია შექმნილი. დასავლეთის მხარეს, სარკმლის ზემოთ ლილვით შემოხაზული დისკოა. მის შიდა არეში ვერძის თავი იყო ჩასმული, რომელიც ამჟამად ჩამო-

ტეხილია. ეკლესიის კედლებს შემოუყვება ფართო, პროფილირებული კარნიზი.


ლაილაშის სამრეკლო დიდ და საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს. იგი ეკლესიიდან სამხრეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარეობს და აგრეთვე შირიმის თლილი ქვით არის აშენებული. სამრეკლო სამნაწილიანია. პირველი სართული გარედან გამოყოფილია თართ-კარნიზით, აქ მცირე სამლოცველოა მოწყობილი. მას სამი შესასვლელი აქვს. მეორე სართული ოთხი დიდი თალით გახსნილი ფანჯარებია, მესამე — მრავალწახნაგა, თაღოვანი — საკუთრივ სამრეკლოა. იგი დღეს ნაწილობრივ დაზიანებულია. სამრეკლო ორსაფეხუროვან ცოკოლზეა აღმართული. ლაილაშის ეკლესიის არქიტექტურული დეტალები XIX ს-ის დასაწყისის ძეგლებთან პოულობენ მსგავსებას. ამავე პერიოდს ეკუთვნის სამრეკლო.

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ლეჩხუმში ფართოდ გაშლილ საეკლესიო მშენებლობაზე მიუთითებს თითქმის ყველა სოფელში არსებული ამ დროის ეკლესიები. მათ მშენებლებად უმეტესად ადგილობრივ, იშვიათად კი ბერძენ ოსტატებს ასახელებენ. ამ დიდი ზომის კაპიტალური შენობების სიგრძე ზოგჯერ 20 მ აღწევს. დიდი ნაწილი დარბაზული ტიპისაა, აღმოსავლეთით შევრილი, წახნაგოვანი აფსიდით დასრულებული (სოფ. აღვის, მახურას, ისუნდერის, ორხეის, ღუს, საირმის, ლუხვანოს, დერჩის ეკლესიები და სხვა). გვხვდება სამნაწიანი ბაზილიკის მიბაძვით გადაწყობილი შიდა სივრცის მქონე ეკლესიები, სადაც ხის ბრტყელი გადახურვის დასაყრდნობად, ორრიგად ჩამწყობილი ხის სვეტებია აღმართული (სოფ. ლაჯანის, უსახელოს, ნასპერის, ცაგერის ეკლესიები და სხვ). ცალკეულ შემთხვევაში ეკლესიებს პატარა, ხის გუმბათებიც აქვს (სოფ. ლაჯანისა და ლაილაშის ეკლესიები).

საერთო პროპორციები, მაღალი, ფართო კარ-სარკმლები და მათი მოწარჩობა, ფასადთა კუთხეების მორთვა კბილანისებურად დალაგებული თლილი კვადრებით ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ცოცხალ ხუროთმოძღვრულ შემოქმედებას მოკლებული ეს ეკლესიები ეკლექტურია და ევროპიდან რუსეთის გზით შემოსული გვიანი კლასიციზმის აშკარა გავლენას ატარებს.

ცაგერის საკათედრო ტაძარი დღეიანდელი რაიონული ცენტრის შუაგულშია. ეს არის ორქანობიანი სახურავის მქონე დიდი შენობა, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შევრილი აფსიდა აქვს.

ფასადთა ვრცელი სიბრტყეები მოპირკეთებულია შირიმის მკარე
 შომის ფილებით, რომელთა შორის თეთრი ხსნარის მკაფიო ზილე-
 ბია. კარ-სარკმელთა პროფილირებული საპირეებისა და საფეხურ-
 ვანი კარნიზის დამუშავება მშრალია, სქემატური.



სურ. 24. სოფ. ლეს ეკლესია. გეგმა.

ეკლესია, როგორც ჩანს, არაერთხელ ყოფილა განახლებული. რაზედაც მეტყველებს თუნდაც 1863 წ. საბუთი; აქედან ჩანს, რომ ლევან V დადიანს დაუვალეებია მთელი ლეჩხუმის სოფლებისათვის — შეეკრიბათ და გაეთალათ ქვები ლეჩხუმის უმთავრესი ეკლესიის, ცაგერის ღვთისმშობლისათვის [29,245]. 1867 წ. დიმ. ბაქრაძეს ეკლესიის კედლებზე უნახავს დაზიანებული მონასტულობის კვალი, სადაც თამარ მეფისა და ლაშა გიორგის სახეებთან იკითხებოდა „თამარ“, „გიორგი“ [48,109]. 1880 წ. ფრესკული წარწერა იუწყება, რომ ეკლესია 1871 წ. განუახლებია ნიკოლოზ დავითის ძე დადიანს და დედამისს — ეკატერინე ალექსანდრეს ასულს [4,48—49]. შენობამ უთუოდ მაშინ მიიღო დღევანდელი სახე; ძველი ბაზილიკური ტიპის ნაგებობის გეგმის ნაშთი შეიძლება იყოს ქვის დიდი ბაზები, რომლებზედაც ხის სვეტებია აღმართული.

1910 წ. ექვთ. თაყაიშვილს მაღალი ვალავანის გარეთ შეუნამ-

ნავს ქვის ორსართულიანი საეპისკოპოსო სახლის ნანგრევი, რომელიც ახლა აღარ არსებობს.

ცაგერის ტაძარი საუკუნეთა მანძილზე ლეჩხუმისა და სვანეთის ერთი ნაწილის საეპარქიო ცენტრი იყო; სვანეთის მეორე ნაწილი ცაიშელს ექვემდებარებოდა; XIV ს. ცაგერელ ეპისკოპოსს ემორჩილებოდა ქვემო სვანეთიცა და ბაღსზემო (შემდგომი ხანის თავისუფალი) სვანეთიც [8,7]; XVII საუკუნისათვის საცაგერლოდ ითვლება ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი [42,194—195].

ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიას ძველთაგანვე ეკუთვნოდა საეკლესიო მამული, რომელიც ცხენისწყლის ზეობაში, მისსავე სიახლოვეს მდებარეობდა. XVII—XVIII სს. საბუთებიდან ჩანს, რომ „ყუდრეშს, მოაშს და ნამკაშურს აქეთ, რაც რომ ჭალა და ან მამული არის, სულ ყველა პირველად ცაგერისა ღვთისმშობლის საყდრის შეწირული ყოფილიყო“ [6,9] ყველრეში ქვემო სვანეთის სოფელია მურს ზემოთ ცხენისწყალზე, მუაში სახნავეია ლუხვანოში, ნამკაშური კი მისივე ხევი, ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი. ამ ნაყოფიერ ჭალებს ამუშაებდნენ „ცაგეროვანის ხატის ყმები“ — საეპისკოპოსო გლეხები.

ტრადიციულად ცაგერელი ეპისკოპოსი სხვათა მსგავსად იმერეთის კათალიკოსს ემორჩილებოდა, მაგრამ დადიანების მიერ ლეჩხუმის დაპყრობის შემდეგ იგი თანდათან განთავისუფლდა ამ დამოკიდებულებისაგან. გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის დროს, ეს „რამდენიმე წლის წინათ“ მომხდარი ამბავი იყო [39,321].

ცაგერის ეკლესიაში ინახებოდა ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერების საკმაო რაოდენობა, რომელთაგან ზოგი სხვა ეკლესიებიდან იყო მოტანილი. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო იშხნის საწინამძღვრო ჯვარი 973 წლისა, რომელიც XVII ს-ის პირველ მესამედში უკვე ცაგერის ეკლესიაში იყო; ამაზე მეტყველებს 1605—1639 წწ. წარწერა იმერთა მეფისა: „ჩუენ მეფეთ მეფემან პატრონმან გიორგი, მეორედ გაგაკეთედ ჯუარი ესე წარსამართებლად მეფობისა ჩუენისათვის და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად, ამინ“ [4,52].

შემოსხენებული ჯვრის სხვა წარწერებიდან ჩვენთვის ცნობილი ხდებიან სერაპიონ ცაგერელი აბაშიძე და ნიკოლოზ ცაგერელი კუჭაიძე, XVII ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწენი. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ცაგერის საეპისკოპოსო კათედრაზე უმეტესად ჩიქვანთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ცაგერლობას ხშირად ჭყონდიდლობასაც უთავსებდნენ.

როგორც გვაუწყებს ცაგერის ეკლესიის ფრესკული წარწერა, წიგნი კედელზე, 1823 წ-მდე ტაძარი სამიტროპოლიტო ყოფილა, ხოლო ამ წლიდან იგი საარქიმანდრიტო მონასტერი გახდა, 1880 წ. წარწერა გაუკეთებია არქიმანდრიტ ბესარიონ გრიგოლის ძე ახვლედიანს [4,47—48].



ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვეღვენებინა ფეოდალური ხანის ლეჩხუმის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტებისათვის, გვეჩვენებინა ხუროთმოძღვრულ ძეგლთა თავისებურებანი მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ვნახეთ, რომ აღრეფეოდალური ხანიდან მრავლად შემორჩენილი ციხე-კოშკები, გზაჯვარედინზე არსებული მხარის სისხლსავსე ცხოვრების ნაშთია, თუმცა კი ძველი ეკლესიები ნაკლებად შემორჩენილა.

X—XI ს-დან მოყოლებული, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემაჯალ ლეჩხუმშიაც იწყება საკულტო მშენებლობის ახალი ეტაპი; გონის, ლაბეჭინის, ჭაშლეთის, დერჩის ეკლესიები ამის ნათელი დადასტურებაა. გონისა და ჭაშლეთის რელიეფები კი, აღნიშნული პერიოდის ქართული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშებს ეკუთვნიან.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის გზათა ჩამკეტი სიმაგრეები და ფეოდალური რეზიდენციები აქ ერთიან სათავდაცვო სისტემას ქმნიდნენ. ძველ ციხეებს ამ დროს დამატებით გალავანსა და კოშკებს უშენებდნენ. ასეთებია რთული ვეგმარების დიდი კომპლექსები—მური, ორბელი, ზუბი ...

ლეჩხუმელ ჩიქვანთა გადადიანება და იმერეთის სამეფოსაგან ლეჩხუმის მიტაცება დადიანთა მიერ, XVII—XVIII სს. ახალი მშენებლობით აღინიშნება: აიგო ნაკურალეშის, მცხეთის ეკლესიები, განაახლეს ლაბეჭინა, მოიხატა ნაკურალეშისა და დერჩის ეკლესიები.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, XIX—XX სს. საქართველოს საეკლესიო მშენებლობაში თავი იჩინა ევროპული გვიანი კლასიციზმის გავლენამ; ლეჩხუმი არც ამ შემთხვევაში დარჩენილა განზე: მაშინ აშენდა აქ ორ ათეულამდე დიდი ეკლესია.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ლეჩხუმი მუდამ რჩებოდა საქართველოს ერთ-

ერთ უმნიშვნელოვანეს მხარედ; ეს კი სათანადოდ აისახა არქიტექ-
ტურულ ძეგლებში, რომელთა ძირითადი ნიშან-თვისებანი, ზოგი-
ერთ თავისებურებათა მიუხედავად, ეროვნული ხუროთმოძღვრების
განვითარების საერთო ხაზს მიჰყვება.

აქ განხილულ ცალკეულ საკითხებზე არაერთხელ დაწერილა
და კვლავაც დაიწერება; ჩვენი ნაშრომი კი, მათი ერთად მოხმო-
ბის, ურთიერთკავშირში შესწავლის პირველი ცდაა; იგი მხოლოდ
ნაწილობრივ ანაზღაურებს ლეჩხუმის შესანიშნავ მკვიდრთა მიერ
ავტორებისადმი გამოჩენილ გულისხმიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
2. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951.
3. ლ. შარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბ., 1970.
4. ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ., პარიზი, 1937.
5. ს. კაკაბაძე, საცავარლოს გამოსავლის დათარი, ტფ., 1914.
6. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუნებები, II, ტფ., 1929.
7. «ქართლის ცხოვრება», IV, თბ., 1973.
8. ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
9. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., 1935.
10. გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944.
11. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტომონიმიური სახელწოდებანი, წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის „შრომები“, XVIII, ქუთაისი, 1958.
12. მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა-იშ (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1961.
13. ავთ. ნუცუბიძე, ნაშთების არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-80 წწ. ანგარიში (ხელნაწერი).
14. ლ. სახაროვა, ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1976, № 3.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951.
16. მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა-იშ (II-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1961, გვ. 67—77; მ. ჩიქოვანი, ტომონიმიურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949, გვ. 239; მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტომონიმიური სახელწოდებანი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958, გვ. 149—154; ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 100; ქ. მუშკელიანი, ლეჩხუმის სახელწოდებისათვის, „მნათობი“, 1972, № 1, გვ. 148.
17. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
18. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1965.

19. **U. S. სერხიანი**, ლაქათაიანერ გუთ „**სქესორნაყიე-ქ**“, სრ. 1963.
20. **ს. ყაუხჩიშვილი**, გორგია, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941.
21. **К. С. Кекелидзе**, Сведения грузинских источников о **Максиме Исповеднике**, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961.
22. **А. Бриллиантов**, О месте кончины и погребения св. **Максима Исповедника**, Христианский Восток, т. VI, вып. I, 1917,
23. **М. Я. Чиковани**, Образ **Максима Конфессора**... Всесоюзная научн-сесия посвящённая итогам полевых арх. и этногр. исследований 1970 г., Тезисы докладов, Тбилиси, 1971.
24. **დ. შუსხელიშვილი**, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
25. **დ. შუსხელიშვილი**, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
26. **დ. შუსხელიშვილი**, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, I, თბ., 1977; **ჯ. შარაშენიძე**, თაყვერის ციხის ლოკალიზაციისათვის, „ძველის შეგობარი“, 40, თბ., 1976.
27. **В. Т. Маевский**, Кутанская Губерния, Военно-статистическое описание, Тифлис, 1896.
28. **ბ. დიდიანი**, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.
29. **С. С. Какабадзе**, Груз. документы Инст. Нар. Азии, М., 1967; **П. Гнилосаров**, О царе Соломоне и... «Кавказский календарь»; Тифлис, 1859.
30. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
31. **ალ. ჯაფარიძე**, რჩეული ნაწერები, 1949.
32. **თ. უორდანიი**, ქრონიკები, II, თბ., 1897.
33. **ლაბიდარული წარწერები**, I, ვ. სილოგავას გამოც. თბ., 1980.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
35. **რ. სურმაანიძე**, სემი აქარა საქართველოში, „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1967, № 1.
36. **Ал. Соколов**, Путешествие мое в Имеретию, М., 1874.
37. **ალექსი იველივის 1650—52 წწ.** იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გამოც. იასე ცინცაძისა, თბ., 1969.
38. **შ. ბურჯანაძე**, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა, I, თბ., 1959.
39. **გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში**, I, გ. გელაშვილის გამოც., თბ., 1962.
40. **ევან. გაბლიანი**, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.
41. **ს. კაკაბაძე**, დას. საქართველოს სიეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921.
42. **ს. კაკაბაძე**, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 ს., „საისტორიო მოამბე“, I, 1925.
43. **მ. ალავიძე**, გიორგი ინასარიძის ვინაობის საკითხისათვის, წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, IX, 1949.
44. **ის. დოლიძე**, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970.

45. ვ. ბერიძე, წმ. გიორგის ეკლესია სოფელ მცხეთაში, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974.
46. Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962.
47. ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდის რელიეფები, თბ., 1957.
48. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках Христианства, Записки общества любителей кавказской археологии, кн. I, 1875.
49. Н. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1958.
50. ჯ. იოსებიძე, დერჩის ნათლისმცემლის ეკლესიის მონუმენტულობა (ბელნაწერი), 1973.
51. ი. ბანძელაძე, რელიეფები ჰაშლეთის ეკლესიიდან, „ძეგლის მეგობარი“, 56, თბ., 1981.

ბაბულები ადვოკატობა

- I. ცხენისწყლის ხეობა — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- II. ბრინჯაოს მხედარი სოფ. ცაგერადან — ფოტო ლ. სახაროვასი.
- III. ბრინჯაოს ცულსაქაფი ოყურემის განძიდან — ფოტო ლ. სახაროვასი.
- IV. გვესოს კომპლექსი, კოშკი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- V. გვესოს კომპლექსი, ეკლესიის ნანგრევები — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- VI. შურის ციხე, აღმოსავლეთის ცალკე მდგომი კოშკი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- VII. შურის ციხე, კოშკი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- VIII. შურის ციხის ნანგრევები — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- IX. ზუზუნის ციხე — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- X. ორბელის ციხე, საერთო ხედი — ფოტო ლ. ქურდულიასი.
- XI. ორბელის ციხე, ხედი აღმოსავლეთიდან — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- XII. ორბელის ზედა ციხე — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XIII. ორბელის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XIV. ორბელის ციხე, 1910 წ. — ფოტო დ. ერმაკოვისა.
- XV. უწვამის ციხე, კედლის წყობა — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XVI. გონის ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XVII. გონის ეკლესია, სამხრეთის სარკმლის გაფორმება — ფოტო ლ. ქურდულიასი.
- XVIII. გონის ეკლესია, აღმოსავლეთის სარკმლის გაფორმება — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XIX. გონის ეკლესიის კანკელი — ფოტო ი. ზენკოსი.
- XX. გონის ეკლესიის კანკელი, ჩუქურთმითა სახეები — ფოტო ლ. ქურდულიასი.
- XXI. გონის ეკლესიის კანკელი, მთავარანგელოზის გამოსახულება — ფოტო ლ. ქურდულიასი.
- XXII. გონის ეკლესიის კანკელი, მახარებლის გამოსახულება — ფოტო ი. ზენკოსი.
- XXIII. ლაბეჭინის ეკლესია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- XXIV. ლაბეჭინის ეკლესია, აღმოსავლეთის ფასადი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XXV. ლაბეჭინის ეკლესია, აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობა — ფოტო რ. მეფისაშვილისა.



- XXVI. ლაბეჭინის ეკლესია, აღმოსავლეთის ფასადი, დეტალი—ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XXVII. ლაბეჭინის ეკლესია, ასომთავრულწარწერაინი ქვა — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- XXVIII. ლაბეჭინის ეკლესია, სამხრეთის სარკმელი — ფოტო ლ. ჭურღულიასი.
- XXIX. ლაბეჭინის ეკლესია, სამხრეთის ფასადის რელიეფი — ფოტო ლ. ჭურღულიასი.
- XXX. ზოგისის ეკლესიის ნანგრევები — ფოტო ლ. ჭურღულიასი.
- XXXI. ქაშლეთი, რელიეფური ფილა მხატვრების გამოსახულებით — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XXXII. დერჩის ეკლესია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან — ფოტო ფ. გინგულდორფისა.
- XXXIII. დერჩის ეკლესია, კანკელი — ფოტო ფ. ხანდამიროვისა.
- XXXIV. დერჩის ეკლესიის მხატვრობა, ანგელოზის გამოსახულება „ამბულბადან“ — ფოტო ი. პინაევისა.
- XXXV. დერჩის ეკლესიის მხატვრობა, საერო პირის გამოსახულება — ფოტო ი. პინაევისა.
- XXXVI. გულელაშის ეკლესია, ჩრდილოეთის ფასადი — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- XXXVII. ნაყურალეშის ეკლესიის მხატვრობა, ღვთისმშობელი ყრმით — ფოტო ლ. ჭურღულიასი.
- XXXVIII. ნაყურალეშის ეკლესიის მხატვრობა, მღვდელმთავართა გამოსახულებები — ფოტო ფ. გინგულდორფისა.
- XXXIX. ნაყურალეშის ეკლესიის მხატვრობა, საერო პირთა გამოსახულებები — ფოტო ფ. გინგულდორფისა.
- XL. ნაყურალეშის ეკლესიის კარი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLI. უცხერის კოშკი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLII. მცხეთის ეკლესია, ხედი დასავლეთიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLIII. მცხეთის ეკლესია, აღმოსავლეთის სარკმელი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLIV. მცხეთის ეკლესია, დასავლეთის სარკმელი — ფოტო დ. ერმაკოვისა.
- XLV. თაბორის ეკლესია-კოშკი, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLVI. თაბორის ეკლესია-კოშკი, აღმოსავლეთის ფასადი, ფრანგენტი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLVII. წარწერაინი ქვა სოფ. უსახლოდან — ფოტო დ. ბერძენიშვილისა.
- XLVIII. სპათაგორის ეკლესია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- XLIX. სარკმლის საპირე გელოვანთა ნაეკლესიარიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- L. ჩქუმის ეკლესია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- LI. ისუნდერის ეკლესია, დასავლეთის ფასადი — ფოტო რ. მეფისაშვილისა.
- LII. სარეწველას კლდეკარი — ფოტო ლ. ჭურღულიასი.

ს ა ბ ე ღ ე ბ ი





II




III



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՊԵՏԱԿԱՆ ԳԵՂԱՐԱՆ



V



VI







X



НАЦИОНАЛЬНАЯ
БИБЛИОТЕКА
АКАДЕМИИ НАУК
СССР



16
3113





XIII



XIV







XVII

XVIII





XX



XXI










XXIV



XXVI



XXVII



XX VIII



XXIX





7
1913










XXXV



XXXIV



XXXVI

11717






XXXVIII



XXXIX

XI.




XII





XLIII

ՀԱՅԿԵՐԱՆ
ՅՈՒՆԵՍԿՈՅԻ




XLIV






XI VI



XLVII





LI



LII



შინიშნული შეცდომების გასწორება

პერიდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იკოს
	ზემ.	ქვემ.		
14	—	6	მდგარი	მდგარა
54	—	7	მთა-შვერი	მთა-შვერი
76	9	—	ორუბრეში	ორუბრეში
78	—	7	6 ხევრად ქლიური	ნახევრად შრიფლი

„ლეჩხუმი“

38/2

